

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ქეთევან ღუდუშაური

ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი და განხორციელების  
პრობლემები თანამედროვე საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
პროფესორი იოსებ არჩვაძე

თბილისი

2023

## აბსტრაქტი

ქეთევან ღუდუშაური

ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი და განხორციელების პრობლემები  
თანამედროვე საქართველოში

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური პოლიტიკა, საფინანსო სისტემა, საფინანსო  
კონტროლი, ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციები.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საქართველომ მეორედ შეძლო  
დამოუკიდებლობის მოპოვება. 70-წლიანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკა  
ფაქტიურად იმართებოდა მხოლოდ ცენტრალიზებულად და მის ფორმირებაში  
საქართველო ფორმალურად მონაწილეობდა. შესაბამისად, საქართველო მეოცე  
საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის  
ფორმირების მექანიზმებისა და ადეკვატური ინსტიტუტების გარეშე შეხვდა.

საქართველოს მსოფლიო-ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართვა  
მოითხოვდა მყარ საფინანსო სისტემას, რომელშიც ღრმა ცვლილებების განხორციელება  
აუცილებელი იყო.

სიახლეების დანერგვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ განვითარებული  
ქვეყნების საფინანსო სისტემის ფორმირების გამოცდილება, რათა თავიდან იქნეს  
აცილებული ნეგატიური შედეგების დადგომა.

სუვერენული სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია საფინანსო  
კონტროლის სისტემა, რომლის სრულყოფილებაზე, ეროვნული ეკონომიკის  
მდგრადობაა დამოკიდებული. ქვეყნის ჩართვა მსოფლიო სისტემაში, სახელმწიფოს  
ფუნქციების შესრულება და ფორმირება პირდაპირ არის დაკავშირებული საფინანსო  
სისტემასთან.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის შესწავლა უნდა განხორციელდეს, როგორც  
სახელმწიფო დონეზე, ასევე, კერძო კომპანიების ფინანსების კონტროლის კუთხით.  
განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა:  
ფინანსების კონტროლის ფუნქციის მნიშვნელობა; ფინანსური მენეჯმენტის და  
ფინანსური კონტროლის სახეები; სახელმწიფო საფინანსო ეკონომიკური კონტროლის

და საპარლამენტო კონტროლის განხორციელების თავისებურებები; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის არსი და მნიშვნელობა; კერძო კომპანიების ფინანსური კონტროლი; ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სტრუქტურა და მირითადი ფუნქციები.

ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებების და განხორციელების პრობლემების მეცნიერულად დამუშავების აუცილებლობამ, განაპირობა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო თემის შერჩევა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შემუშავებულია საქართველოში ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების სრულყოფის წინადადებები. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული მეცნიერული სიახლეებია:

- დადგენილია ფინანსების საკონტროლო ფუნქციის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო კონტროლის სისტემაში და გამოვლენილია მირითადი ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის კონტროლის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელებას საბიუჯეტო სფეროში;

- განზოგადებულია ფინანსების კონტროლის რეფორმა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ საქართველოში და დასახულია მისი სრულყოფის გზები. აღმოჩენილია ხარვეზები საქართველოს საფინანსო კონტროლის სისტემაში და შემუშავებულია რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად;

- შემუშავებულია ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სტრუქტურისა და მირითადი ფუნქციების ოპტიმალური შესაბამისობისა და სრულყოფის წინადადებები;

- შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო და კორპორატიულ დონეზე.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ საქართველოს საფინანსო სისტემის ევოლუციის ფონზე დაშვებული შეცდომები და ამის საფუძველზე განვსაზღვროთ, რეფორმირების და განვითარების უფრო შედეგიანი და ეფექტური პოლიტიკა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია თანამედროვე საქართველოს ფინანსების კონტროლის ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი თეორიული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაციების ფორმირება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევვდ, ნაშრომში დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: ფინანსების კონტროლის ფუნქციის რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა; დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ საქართველოში ფინანსების კონტროლის სისტემის რეფორმის მნიშვნელობის დაკონკრეტება; საქართველოში ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა, ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები, საფინანსო პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტები, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების და სახაზინო სამსახურების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალური მასალები, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა, ქართველი და უცხოელი ეკონომისტების მონოგრაფიული გამოკვლევები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი, აბსტრაქციის, თვისებრივი ანალიზის, დაჯგუფების, კომპლექსური მიდგომის, მონაცემთა განზოგადების, შედარების, გამოკითხვის, მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური, დიალექტიკური და მეცნიერული კვლევის სხვა მეთოდები.

კვლევის შედეგად წარმოდგენილი წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინება და თანმიმდევრულად განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საფინანსო სექტორის კონტროლის გაჯანსაღებას, საფინანსო სისტემის სრულყოფას, მეტ გამჭვირვალობას და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, მთლიანობაში - საბაზრო ეკონომიკის პოტენციალის უფრო სრულ გამოვლენას და რეალიზაციას.

## Abstract

Ketevan Gudushauri

The peculiarities of the financial control function and the problems in implementing it in contemporary Georgia

**Keywords:** economic policy, financial system, financial control, financial management, organizations in charge of finances.

Georgia won independence for the second time in the 20th century. Georgia's economy centralized throughout its 70-year history, and Georgia has only officially engaged in its development. As a result, towards the close of the twentieth century, Georgia encountered an independent state without the mechanisms and institutions necessary for the formation of economic policy.

Georgia's participation in the global economic development process necessitated a strong financial system, which required significant reforms.

To prevent detrimental consequences, it is critical to consider the experience of developing nations in building their financial systems while introducing innovations.

A financial control system is critical for a sovereign state since it ensures the stability of countries economy. The participation of a nation in the global system and the performance and formation of governmental functions, are all closely linked to, the financial system.

The research of the financial control function should conducted both at the governmental level and in terms of managing the finances of private businesses. The most important topics are - the significance of the financial control function; financial management and financial control types; peculiarities of state financial-economic control and parliamentary control; the essence and significance of governmental internal financial control; private company financial control; the structure and function of organizations in charge of finances.

The presented qualification topic chosen due to the need for scientifically explaining the characteristics of the financial control function and the implementation issues.

While working on the dissertation, suggestions to enhance the implementation of the financial control function in Georgia created based on the research. The following scientific breakthroughs have emerged as consequence of the research:

- The significance of the financial control function in Georgia's state budget control system, established, and the major flaws that impede complete execution of the budget control function have been identified,
- Financial control reform generalized in post-independence Georgia, and recommendations for further development provided. Weaknesses in the financial control system of Georgia identified and recommendations developed to eliminate these shortcomings,
- Approaches for optimum compliance and enhancement of the structure and primary functions of organizations in charge of financial control created,
- Conclusions and suggestions to enhance and strengthen Georgia's financial control system at both the state and corporate levels produced.

We aim to identify the errors committed during the process of the development of the Georgian financial system and, on that basis, create a more effective and efficient reform and development strategy.

The dissertation study's primary goal is to identify the key intentions for enhancing the efficiency of the financial control function in modern Georgia and to provide suitable recommendations. To accomplish this objective, the article assigned the following tasks: identify the scope of financial control function implementation; explain the significance of financial control system reform in post-independence Georgia; analyze the operations of organizations in charge of financial control in Georgia and create suitable suggestions and ideas based on the findings.

Decisions of Georgian legislative and executive bodies, key financial policy documents, information materials of the Ministry of Finance Revenue and Treasury, State Audit Office, Plan for the country's social and economic development, other monographic studies of Georgian and foreign economists are used in the dissertation.

In the research process, quantitative, abstract, qualitative analysis, grouping, complex approach, data generalization, comparison, survey, microeconomic, macroeconomic, dialectical, and other scientific research methods utilized.

Consideration and consistent implementation of the suggestions and recommendations presented, as a result of the research will significantly contribute to the improvement of control over Georgia's financial sector, greater transparency, improvement of the development and formation of the financial system, and, overall, full identification and realization of the market economy's potential.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი.....	ii
Abstract.....	v
ცხრილები.....	ix
დიაგრამები.....	ix
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xiii
შესავალი.....	14
თავი 1. ფულის, ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის და ფინანსური კონტროლის არსი და სახეები.....	30
1.1.                  ფულისა                  და                  ფინანსების                  არსი                  და	
ფუნქციები.....	30
1.2. მენეჯმენტი - როგორც მმართველობითი პროცესი და ფინანსური მენეჯმენტი - როგორც                  მეცნიერება                  ფინანსების                  მართვის	
შესახებ.....	41
1.3.                  ფინანსური                  კონტროლის                  არსი                  და	
სახეები.....	51
თავი                  2.                  შიდა                  სამეურნეო                  და                  საბანკო                  ფინანსური	
კონტროლი.....	64
2.1.                  შიდა                  სამეურნეო                  ფინანსური	
კონტროლი.....	64
2.2.                  საბანკო                  და                  საფინანსო                  სფეროს                  ფინანსური	
კონტროლი.....	76
თავი                  3.                  საერთო                  სახელმწიფოებრივი                  და                  უწყებრივი                  ფინანსური	
კონტროლი.....	93
3.1. სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანოების საქმიანობა.....	93
3.2.                  საგადასახადო                  და                  საბიუჯეტო                  ფინანსური	
კონტროლი.....	115
3.3. უწყებრივი                  ფინანსური                  კონტროლი                  (სახელმწიფო                  შიდა                  ფინანსური კონტროლი).....	137

რეკომენდაციები.....	168		
გამოყენებული ლიტერატურა.....	175		
დოქტორანტის	მიერ	გამოქვეყნებული	სამეცნიერო
ნაშრომები.....	189		
დანართი			N
1.....	191		

## ცხრილები

ცხრილი N 1. ევროპარლამენტის მიერ შემუშავებული ცხრილი, ბაზელის კომიტეტის მიერ ბაზელი III სტანდარტით შემუშავებული ლიკვიდაციის განაკვეთისა და რისკების შეფასებების შესახებ (გვ. 90);

ცხრილი N 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს ჩატარებული აუდიტების სია (გვ. 103);

ცხრილი N 3. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (გვ. 127);

ცხრილი N 4. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (გვ. 128);

ცხრილი N 5. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება (გვ. 129);

ცხრილი N 6. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების ანგარიში (გვ. 129);

ცხრილი N 7. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო (გვ. 130);

ცხრილი N 8. საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტების მიერ ჩატარებული შემოწმებების სახეობები პროცენტულად 2021 – 2022 წლებში (გვ. 162);

ცხრილი N 9. საქართველოს სამინისტროებში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმებები რაოდენობრივად 2020 – 2022 წლებში (გვ. 163).

## **დიაგრამები**

დიაგრამა N 1. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია (გვ. 44);

დიაგრამა N 2. მენეჯმენტის პროცესი (გვ. 46);

დიაგრამა N 3. შიდა ფინანსური კონტროლის ფორმები (გვ. 58);

დიაგრამა N 4. გამოკითხვა - კომპანიებში სადაც ხართ დასაქმებულნი, ფუნქციონირებს თუ არა შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეული? (გვ. 74);

დიაგრამა N 5. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად (გვ. 78);

დიაგრამა N 6. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით (გვ. 78);

დიაგრამა N 7. პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გვ. 80);

დიაგრამა N 8. კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები სახედამხედველო კაპიტალთან (გვ. 80);

დიაგრამა N 9. უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე (გვ. 81);

დიაგრამა N 10. ლიკვიდური აქტივების დონე (გვ. 82);

დიაგრამა N 11. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (გვ. 83);

დიაგრამა N 12. აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის დინამიკა საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში (გვ. 83);

დიაგრამა N 13. საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში (გვ. 84);

დიაგრამა N 14. საქართველოში მოქმედი სესხის გამცემი სუბიექტების (გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) რაოდენობა, მთლიანი აქტივები და საკრედიტო პორტფელი (გვ. 85).

დიაგრამა N 15. 2020 წელს ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით (გვ. 106);

დიაგრამა N 16. 2022 წელს ჩატარებული 14 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით (გვ. 106);

დიაგრამა N 17. 2018 - 2021 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა (გვ. 107);

დიაგრამა N 18. 2018 - 2022 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა (გვ. 108);

დიაგრამა N 19. 2018 - 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (გვ. 108);

დიაგრამა N 20. 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (გვ. 109);

დიაგრამა N 21. 2018 - 2022 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (გვ. 110);

დიაგრამა N 22. 2022 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (გვ. 110);

დიაგრამა N 23. 2018 - 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით (გვ. 111);

დიაგრამა N 24. 2018 - 2022 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით (გვ. 111);

დიაგრამა N 25. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა (გვ. 112);

დიაგრამა N 26. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა (გვ. 113);

დიაგრამა N 27. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012 – 2022 წლებში (გვ. 118);

დიაგრამა N 28. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012 – 2022 წლებში (გვ. 119);

დიაგრამა N 29. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე გადამხდელთა რაოდენობა 2012 – 2022 წლებში (გვ. 121);

დიაგრამა N 30. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი 2015 – 2022 წლებში (გვ. 125);

დიაგრამა N 31. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2004 – 2021 წლებში (მლნ. ლარი) (გვ. 131);

დიაგრამა N 32. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2004 – 2021 წლებში (მლნ. ლარი) (გვ. 132);

დიაგრამა N 33. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სახეების მიხედვით 2008 – 2021 წლებში (მლნ. ლარი) (გვ. 132);

დიაგრამა N 34. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაბრუნებები 2008 – 2021 წლებში (ათასი ლარი) (გვ. 133);

დიაგრამა N 35. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 152);

დიაგრამა N 36. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 152);

დიაგრამა N 37. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 154);

დიაგრამა N 38. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 154);

დიაგრამა N 39. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 156);

დიაგრამა N 40. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 156);

დიაგრამა N 41. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 158);

დიაგრამა N 42. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 158);

დიაგრამა N 43. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 160);

დიაგრამა N 44. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 160);

დიაგრამა N 45. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 161);

დიაგრამა N 46. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები (გვ. 162).

## **აბრევიატურების ჩამონათვალი**

AZOSAI - აზოსაი - უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების აზის ორგანიზაცია

CHU - ჰარმონიზაციის ცენტრი

COSO - ტრედვეის კომისიის დამფინანსებელი ორგანიზაციების კომიტეტი

EU - ევროკავშირი

EURORAI - ევრორაი - სახელმწიფო ფინანსების გარე კონტროლის რეგიონალური ორგანოების ევროპის ორგანიზაცია

EUROSAI - ევროსაი - უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ევროპის ორგანიზაცია

FMC - ფინანსური მართვა და კონტროლი

GDP - მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი

IIA - შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტი

IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

INTOSAI - ინტოსაი - უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია

LCR - ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

TFP - მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

UNO - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

WB

—

მსოფლიო

ბანკი

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში უნიკალური პროცესები განვითარდა, რასაც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის რღვევა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება მოჰყვა. საქართველომ მეოცე საუკუნეში, დამოუკიდებლობის მოპოვება, მეორედ შეძლო. 70 - წლიანი ისტორიის განმავლობაში ფაქტიურად საქართველოს პოლიტიკა ნაკლებად ეყრდნობოდა ეკონომიკურ ფაქტორებს და ძირითადად, იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა. ეკონომიკის მართვა ცენტრალიზებულად ხორციელდებოდა და მის ფორმირებაში ქვეყანა ფორმალურად მონაწილეობდა.

საქართველოს ჩაბმა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესებში, დამოუკიდებლად განვითარება, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება, მყარი საფინანსო სისტემის შექმნის გარეშე, შეუძლებელია. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის მართვის პრინციპებზე გადასვლა და ფინანსების როლის გაძლიერება, საფინანსო სისტემაში ღრმა ცვლილებების აუცილებლობას, წინა პლანზე აყენებს.

ძირეული გარდაქმნები საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის განვითარების პროცესში, უცებ არ ხდება, განვითარების მექანიზმი გულისხმობს: ჯერ ერთი, გარდაქმნებისა და მათი განხორციელების პირობების დიდი ხნის განმავლობაში თანდათან მომწიფებას; მეორე, საზოგადოებაში დამკვიდრებას; მესამე, რეალურ პოლიტიკას, გარდაქმნების ცხოვრებაში განხორციელების მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ცალკეულ ქვეყნებში სწორედ ამ მექანიზმის მოქმედების საფუძველზე მიმდინარეობს.<sup>1</sup>

თანამედროვე პირობებში, აუცილებელია, გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების საფინანსო სისტემის ფორმირების ხანგრძლივი გამოცდილება, რათა თავიდან ავიცილოთ ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ნეგატიური მოვლენები, რომელიც შეიძლება საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარი ნებისმიერი ქვეყნის ხვედრი გახდეს.

<sup>1</sup> ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 14.

საქართველოში დამოუკიდებელი საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება, რთულ მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რადგან, ერთი მხრივ, ჩვენს ქვეყანას, როგორც, საბჭოთა კავშირის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, არ გააჩნდა საკუთარი საფინანსო სისტემა და, მეორე მხრივ, საფინანსო სისტემის რეგულირებისათვის არ არსებობდა სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ელემენტების ფორმირება, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს დაემთხვა.

სუვერენული სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საფინანსო კონტროლის სისტემის მდგრადობას, რომლის სრულყოფილებაზე, ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაა დამოკიდებული. ქვეყნის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სახელმწიფოს ფუნქციების შესრულება, ფირმების, კორპორაციების და ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირება და, საერთოდ, სახელმწიფოს განვითარება პირდაპირ კავშირშია გამართული საფინანსო სისტემის არსებობასთან.

განვლილი პერიოდის ანალიზმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, საქართველოში დამოუკიდებლობის პირველ წლებში განადგურდა არსებული საწარმოო პოტენციალის დიდი ნაწილი, მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდა, რამაც დემოკრატიულ სახელმწიფოსა და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას, რეალური საფრთხე შეუქმნა, გაზარდა ქვეყნის ქრონიკულად ჩამორჩენისა და სხვებზე დამოკიდებულების აღბათობა.

აღნიშნული პრობლემის წარმატებით დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა საფინანსო სისტემას, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და, ზოგადად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მჭიდრო კავშირშია მყარ, საიმედო, უსაფრთხო და ლიკვიდურ საფინანსო სისტემასთან, რომელიც თავის მხრივ ფინანსების კონტროლის გამჭვირვალე სისტემაზეა დამოკიდებული. საფინანსო სისტემის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტორი, რომ თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში პროგრესის დონის მაჩვენებელი იყო მთლიანი შიდა პროდუქტი - GDP მოსახლეობის ერთ სულზე, უკვე

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ასეთ მაჩვენებლად გვევლინება ადამიანისეული განვითარების ინდექსი, წმინდა კეთილდღეობა მოსახლეობის ერთ სულზე და წმინდა ცოდნის დინამიკა. ფინანსების კონტროლის მოქნილი სისტემა კი საწინდარია, ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებლებში ძირეული ცვლილებები შეიტანოს და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ყოფის ყოველმხრივ სრულყოფას.

საფინანსო სისტემას გააჩნია დიდი რეზიუმები, უზრუნველყოს პოსტინდუსტრიული საზოგადოების ორიენტაცია კონკურენტუნარიანობაზე, შესაძლებლობებზე, ცოდნაზე, ადამიანზე, თანამშრომლობაზე, მენეჯმენტსა და მარკეტინგზე. პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორი - ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, ბევრად არის დამოკიდებული, ფინანსური აქტივების გამჭვირვალობაზე, როგორც ფულადი რესურსების ერთ-ერთ წყაროზე. თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფინანსების საკონტროლო ფუნქციის შესწავლა, როგორც სახელმწიფო დონეზე ასევე, კერძო კომპანიების ფინანსების კონტროლის კუთხით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა:

- ფინანსების კონტროლის ფუნქციის მნიშვნელობა;
- ფინანსების კონტროლის არსი და ფორმები;
- ფინანსური მენეჯმენტის და ფინანსური კონტროლის სახეები;
- კონტროლის ფუნქციის კავშირი ფინანსების სხვა ძირითად ფუნქციებთან;
- სახელმწიფო საფინანსო ეკონომიკური კონტროლის განხორციელების თავისებურებები;
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის არსი და მნიშვნელობა;
- კერძო კომპანიების ფინანსური კონტროლი;
- ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები;
- ფინანსების კონტროლის ფუნქციის, ეფექტიანობის ამაღლების სრულყოფის, ძირითადი მიმართულებები.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ თემის აქტუალობას და მნიშვნელობას.

პრობლემის მეცნიერული დამუშავების მდგომარეობა. საყურადღებოა ის საკითხი, რომ საქართველოს, ფინანსების კონტროლის ფორმირებისა და ფუნქციონირების სრულყოფის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე საინტერესო მეცნიერული კვლევები აქვთ ჩატარებული ქართველ მეცნიერებულობისტებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ღრმა და საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები არსებობს, საფინანსო პოლიტიკის, საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების და სრულყოფის ცალკეულ საკითხებზე. ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფილებაზე. გადასახადების თეორია ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებლის უილიამ პეტის მიერ, რომელმაც 1662 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“, რომელშიც მან დაასაბუთა, რომ სამართლიანი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და სტაბილურს ხდის სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

ფიზიკურატიული სკოლის მთავარი იდეოლოგის ფრანსუა კენეს მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, ღირებულების წყაროა მიწათმოქმედება და, შესაბამისად, გადასახადი მხოლოდ მიწიდან მიღებული წმინდა შემოსავლიდან უნდა იქნეს გადახდილი. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურატების თეორიული დებულება ვერ ხსნის გადასახადების თეორიულ არსს, მაინც მათ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს დებულება შემოსავლების ზრდის შესაბამისად გადასახადების გადიდების მიზანშეწონილობის შესახებ.

ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის ადამ სმითის ნაშრომის - „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს სახელმწიფო

ფინანსებისა და გადასახადების გამოკვლევას. მასში დასაბუთებულია, რომ სამეურნეო სუბიექტის შემოსავლების მთავარი წყაროა რენტა, ხელფასი და მოგება, და, შესაბამისად, გადასახადი თანაბრად უნდა იქნეს გადახდილი შემოსავლების ამ წყაროებიდან.

მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა წამოაყენა „ეფექტური მოთხოვნის“ თეორია და დასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების ინსტრუმენტი და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ამერიკელი მკვლევარის, ნობელის პრემიის ლაურეატ პ. სამუელსონის აზრით, ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია შექმნას ხელსაყრელი პირობები ეკონომიკის აღმავლობისა და განვითარებისათვის. აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ.ფრიდმენმა, რომელმაც კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის თეორიას“ დაუპირისპირა „მიწოდების თეორია“ და დასაბუთა ეკონომიკის მართვის რეგულირებაში სახელმწიფოს მინიმალურ დონეზე ჩარევის ეფექტიანობა.

ფინანსების თეორიის და შესაბამისი კონტროლის ბუნებისა და ცალკეული ასპექტების თაობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართველ მეცნიერებს ვ. ჩანტლაძეს, რ. კაკულიას, ი. მესხიას და სხვებს.

აღნიშნული გამოკვლევების არსებობამ, მათმა გათვალისწინებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, თანამედროვე საქართველოში, ფინანსების კონტროლის ფუნქციის, თავისებურებების და განხორციელების პრობლემების შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის კომპლექსურად დამუშავებას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სისტემაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები და ეკონომიკური რეფორმის წინაშე წარმოქმნილი სირთულეები, ახალ ამოცანებს აყენებს პრობლემის მეცნიერული გააზრებისა და სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მიმართულებით. სწორედ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის, თანამედროვე საქართველოში, ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებების და განხორციელების პრობლემების

თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული შესწავლის აუცილებლობამ განაპირობა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო თემის შერჩევა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ჰიპოთეზას წარმოადგენს ვარაუდი მორალური რისკის არსებობაზე, რომელიც ინტერესთა კოლიზიის სახით ვლინდება, ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტისა და მეორე მხრივ, შიდა აუდიტის სახელმწიფო ფინანსების კონტროლის განხორციელების ინსტიტუციურ უზრუნველყოფაში.

ნაშრომის მიზანია, თანამედროვე საქართველოს ფინანსების კონტროლის ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი თეორიული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაციების ფორმირება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომში დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- ფინანსების კონტროლის ფუნქციის, რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა სახელმწიფო საბიუჯეტო, შიდა სამეურნეო და საბანკო კონტროლის სისტემაში;
- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ საქართველოში განხორციელებული ფინანსების კონტროლის, ინსტიტუციური რეფორმის მნიშვნელობის დაკონკრეტება;
- საქართველოში ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სტრუქტურის და საქმიანობის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება.

ვფიქრობთ, აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საფუძველზე, შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, ხელს შეუწყობს საქართველოში საფინანსო სისტემის სრულყოფას, მეტ გამჭვირვალობას და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, მთლიანობაში - საბაზრო ეკონომიკის წარმატებით დამკვიდრებას, მისი იმანენტური უპირატესობების სრულ რეალიზაციას.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია ქვეყნის საფინანსო კონტროლის სისტემის ფორმირების, ფუნქციონირების და განვითარების თავისებურებანი. კვლევის

საგანია ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი და განხორციელების პრობლემები თანამედროვე საქართველოში.

**რით განსხვავდება მოცემული სადისერტაციო ნაშრომი წინა კვლევებისგან.** სადისერტაციო ნაშრომს წინა კვლევებისაგან განსხვავებს ის, რომ შესწავლილია როგორც ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი, ისე განხორციელების პრობლემები თანამედროვე საქართველოში.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, მნიშვნელოვან წინაპირობას, ეფექტიანი ფინანსური სისტემის ფორმირება და ფუნქციონირება წარმოადგენს, რისი მიღწევაც შესაძლებელია ქვეყანაში ფინანსების ფორმირებასთან და მის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების შესწავლით, გაანალიზებით და მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებით. ამის მისაღწევად, გაანალიზებულ უნდა იქნეს, ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელებისას დაშვებული შეცდომები, მათი სამომავლოდ, ხელახალი, რეციდივების თავიდან ასაცილებლად.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.** შესასწავლი პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევა დაიგეგმა ტრიანგულაციური მიდგომის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეთოდების და თეორიული მიდგომების კომბინაციურ გამოყენებას ერთი და იმავე საკითხის შესწავლის პროცესში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა აბსტრაქციის, სტატისტიკური მონაცემების და შემუშავებული კითხვარების, ინტერვიუს შედეგების ხარისხობრივი, რაოდენობრივი, თვისებრივი და შედარებითი ანალიზის, სინთეზის, დაჯგუფების, ინდუქციური და დედუქციური, მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური, დიალექტიკური და მეცნიერული კვლევის სხვა თანამედროვე მეთოდები და განხორციელდა მათი კომბინირებით, დასკვნების გამოტანისთვის საჭირო საფუძვლების გამყარება.

კველვის საწყის ეტაპზე, მოპოვებულ იქნა საერთაშორისო და საქართველოს საფინანსო კონტროლის ორგანიზაციების ფორმირებასთან, განვითარებასთან და მიმდინარე ტენდენციების ანალიზთან დაკავშირებული ქართული და უცხოური ლიტერატურა. ინტერნეტის საშუალებით მოძიებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების

სახელმწიფო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა) კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, რის საფუძველზეც განხორციელდა ლიტერატურის, დოკუმენტებისა და ინფორმაციის ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, შესწავლილ იქნა ფინანსების და მისი ფუნქციების განხორციელების, თეორიის ფუნდამენტური დებულებები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა, ქართველი და უცხოელი ეკონომისტების მონოგრაფიული გამოკვლევები, რომელიც ეხება ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებებს და განხორციელების პრობლემებს, თანამედროვე საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების და სახაზინო სამსახურების, აგრეთვე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საინფორმაციო დოკუმენტები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშები, ევროკავშირის საექსპერტო სამსახურის მიმოხილვები და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენები.

დოკუმენტების ანალიზი გამოყენებულია განცალკევებულ მეთოდად, რომლის საშუალებითაც მოპოვებულ იქნა საკვლევ საკითხებზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შეგროვებული დოკუმენტების შეფასებისა და ვალიდობის დადგენის შემდგომ განხორციელდა მათი შედარება და დასკვნების გამოტანა.

წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნების ძირითად საფუძველს წარმოადგენს კითხვარების და ინტერვიუების საფუძველზე მიღებული შედეგები, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა საქართველოში საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ხარვეზების დადგენა და ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე საქართველოში ფინანსების კონტროლის მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების შედეგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების, სრულყოფის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების ერთ-ერთ მცდელობას. კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად:

- გამოკვლეულია საფინანსო სისტემის ფორმირების და განვითარების თავისებურებანი საქართველოში;
- განზოგადებულია ფინანსების ძირითადი ფუნქციების მნიშვნელობა და საფინანსო სისტემაში მათი გამოყენების ეფექტიანობა;

შემოთავაზებულია საბიუჯეტო დაწესებულებებში კონტროლის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელებისა და ძირითადი ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველმყოფი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებები;

- ჩამოყალიბებულია ფინანსების კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველმყოფი ინსტიტუციური რეფორმის ძირითადი მიმართულებები;
- შემუშავებულია ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სრულყოფის წინადადებები და მათი ძირითადი ფუნქციების შესატყვისი ოპტიმალური სტრუქტურა;
- შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში ფინანსური კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისათვის როგორც ზოგად-სახელმწიფო, ისე უწყებრივ-კორპორატიულ დონეზე.

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ავტორის 10 პუბლიკაციაში და თანაავტორობით გამოქვეყნებულ 1 პუბლიკაციაში, მათ შორის 8 სეს-ის ეკონომიკური სექციის მიერ მითითებული წესით და პირობებით რეფერირებულ კრებულსა და ჟურნალში.

**ლიტერატურის მიმოხილვა.** საქართველოში გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, ფინანსების ფუნქციების თეორიულ და მეთოდურ-ორგანიზაციულ საკითხებს, იკვლევდნენ მეცნიერები ფ.გოგიჩაიშვილი, ნ.ქოიავა, ა.გოკიელი და ვ.ჩანტლაძე.<sup>2</sup>

ფინანსების ფუნქციების კვლევას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები მეცნიერებმა: დ.ალახვერდიანმა, ა.ალექსანდროვმა, ა.ბირმანმა, ვ.დიაჩენკომ, ე.ვოზნესენსკიმ, ი.კირილოვმა, ნ.ლუბიმოვმა, ი.ზლობინმა, ფ.მასარიგინმა, პ.ჯევტიავმა, გერდ გებხარტდმა.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს, ამჟამად, ღრმა და საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები არსებობს საფინანსო პოლიტიკის, საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების და ფინანსური კონტროლის სრულყოფის ცალკეულ საკითხებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით, აღსანიშნავია ქართველი მეცნიერებულობისტების: ი.არჩვაძის, რ.ბასარიას, კ.ბასილაიას, ზ. ლიპარტიას, ბ.ბოლქვაძის, ო.გაბელაიას, კ.გაბელაშვილის, დ.გადელიას, რ.გველესიანის, ლ.გვენეტაძის, მ.ვანიშვილის, ი.ზაქარიაძის, ა.ინგოროვას, ი.კოვზანაძეს, თ.კოპალეიშვილის, ზ.ლიპარტიას, ი.მესხიას, ე.მექვაბიშვილის, დ.ნარმანიას, ც.ოქრუაშვილის, ნ.სანთელაძის, ა.სილაგაძის, შ.ქისტაურის, ზ.ლუდუშაურის, ჯ.შათირიშვილის, ლ.ჩიქავას, მ.ჩიკვილაძის, თ.ციგროშვილის, ნ.ძიმცეიშვილის, გ.ცავას, ნ.ჭითანავას, თ.ხომერიკის, ე.ჯგერენაიას, ა.ჯიბუტის, მ.ჯიბუტის, გ.ჯულაყიძის და სხვათა სამეცნიერო პუბლიკაციები. აგრეთვე, უცხოელი მეცნიერების ჯონ მ.ვაჰოვიჩი უმცროსის, გრეგორი მენქიუს, ჯეიმს ს.ვან ჰორნის და სხვათა ნაშრომები.

ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფილებაზე. ეკონომიკაში საგადასახადო ურთიერთობების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღებაა გამახვილებული, ეკონომიკური თეორიების ისეთი კლასიკოსების ნაშრომებში, როგორიც არიან: ა.სმიტი, დ.რიკარდო, ჯ.მილი, უ.პეტი, ჟ.სისმონდი, მ.მონტესკიე, ვოლტერი, ვ.მირბო. ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო შემადგენელს იკვლევდნენ ჯ.კეინზი, პ.სამუელსონი, მ.ფრიდმენი, ა.ლაფერი.

<sup>2</sup> ჩანტლაძე ვ. ფინანსების თეორიის საკითხები, რუსულიდან თარგმნეს ც.ოქრუაშვილმა და მ.ჭირაქაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 1987, გვ. 214.

სახელმწიფო ფინანსებისა და მათ შორის საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესები განხილულია ჯ.ტობინის, კ.მაკონელის, ჯ.სტიგლიცის, პ.გოდმეს და სხვათა ნაშრომებში.

საგადასახადო დაბეგვრის საკითხები, განხილულია თანამედროვე ქართველი მეცნიერების: ა.სილაგაძის, თ.კოპალეიშვილის, მ.მურჯივნელის, ც.ოქრუაშვილის, რ.ოთინაშვილის, ა.გერსამიას, დ.ჭიოტაშვილის, რ.ბასარიას, ზ.ლიპარტიას, მ.ჩიკვილაძის, ზ.როგავას, ნ.ტერაშვილის, ს.ყამარაულის, გ.ურიდიას, ი.შავიშვილის, მ.მიქელაშვილის, გ.იმედაშვილის, დ.ნარმანიას და სხვათა ნაშრომებში.

ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლის, ადამ სმითის ნამუშევრის - „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ”, ერთ-ერთი დიდი ნაწილი დათმობილი აქვს, სახელმწიფო გადასახადებისა და ფინანსების გამოკვლევას. მასში დასაბუთებულია, რომ შემოსავლების მთავარი წყარო, სამეურნეო სუბიექტისათვის არის რენტა, ხელფასი და მოგება. შესაბამისად, გადასახადების გადახდა თანაბრად უნდა მოხდეს შემოსავლების ამ წყაროებიდან.

გადასახადების თეორიაზე ადამ სმითის მოძღვრება, განავითარა ინგლისელმა ეკონომისტმა დავიდ რიკარდომ, რომლის აზრითაც, გადასახადები აკრეფილ უნდა იქნეს სამეურნეო სუბიექტის ყველა შემოსავლიდან და, ამასთან, მოგების გადასახადის გაზრდა იწვევს პროდუქციისა და მომსახურების ფასების ზრდას. დავიდ რიკარდოს ეს დებულება შემდგომ ეკონომიკურმა პრაქტიკამ დაადასტურა და დღესაც ძალაშია.

ამერიკელი მკვლევარის, ნობელის პრემიის ლაურეატ პ.სამუელსონის აზრით, ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეკონომიკის აღმასვლისა და განვითარებისათვის. აღნიშნული იდეა, კიდევ უფრო, განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ.ფრიდმენმა, რომელმაც კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის თეორიას“ დაუპირისპირ „მიწოდების თეორია“ და ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფოს მინიმალური დოზით ჩარევის ეფექტიანობა, დაადასტურა.

კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის შესახებ, საინტერესო კვლევას გვთავაზობს პროფესორი ზურაბ ლიპარტია სახელმძღვანელოში,

სახელწოდებით: „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგია“.<sup>3</sup> კორპორაციული ფინანსების მთავარი ამოცანა ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფაა. ასევე, მნიშვნელოვანია ოპტიმალური ბალანსის პოვნა ბიზნესის შემოსავლიანობასა და ფინანსურ რისკებს შორის.

პორტფელური ინვესტიციების თანამედროვე თეორია იწყება ნობელიანტი ეკონომისტის გ.მარკოვიჩის პატარა სტატიიდან „პორტფელის არჩევა“. მასში მან შემოგვთავაზა ფასიანი ქაღალდების ოპტიმალური პორტფელის მათემატიკური მოდელი. ასევე, შემოიღო მეთოდები ასეთი პორტფელის შექმნისათვის განსაზღვრულ პირობებში. პორტფელის დივერსიფიკაციის საერთო პრაქტიკის განხილვით მეცნიერმა უჩვენა, როგორ შეუძლია ინვესტორს შეამციროს თავისი რისკი არაკორელაციური აქციების არჩევის გზით. გ.მარკოვიჩის მთავარი დამსახურებაა, თეორიული ალბათობითი ფორმულირების შემოთავაზება „შემოსავლიანობა“ და „რისკი“. ამ მოდელში ინვესტიციების რისკსა და მოსალოდნელ შემოსავლიანობას შორის თანაფარდობის გამოსათვლელად გამოყენებულია ალბათობის განაწილება.

ბოლო საუკუნე განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ფინანსებთან დაკავშირებული თეორიებისა და პოსტულატების ფორმირებაში, რამაც საგრძნობლად გაზარდა ეკონომიკური მეცნიერების როლი და მნიშვნელობა გლობალური ეკონომიკის განვითარებაში. განსხვავებული შეხედულებები ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და შესაბამის ფაქტორებზე (კეინზიანიზმი, მონეტარიზმი და ა.შ.) სცდებოდა აკადემიური დისკუსიის ფარგლებს და გავლენას ახდენდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განვითარების დინამიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამერიკელმა ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა 1976 წელს მოხმარების ანალიზის, მონეტარული ისტორიისა და სტაბილიზაციის პოლიტიკის თეორიისა და სირთულეების შესახებ კვლევისთვის მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკაში. ჯორჯ სტიგლიტან და სხვა ეკონომისტებთან ერთად, ფრიდმანი იყო ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის იმ ინტელექტუალ ლიდერთა შორის, რომლებმაც უარყვეს კეინზიანიზმი მონეტარიზმის მეშევობით, 1970-იან წლებამდე, მანამ სანამ

<sup>3</sup> ლიპარტია ზ. და სხვა. კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგია, ტომი 2, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013, გვ. 291.

აღმოჩნდებოდა, რომ ახალი კლასიკური ეკონომიკა ეფუძნებოდა რაციონალური მოლოდინების კონცეფტს. 1960-იან წლებში ის გახდა კეინზიანური სამთავრობო პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგე და აღწერა მისი მიდგომა, როგორც „კეინზიანური ენისა და სახელმწიფო აპარატის” გამოყენება თავისი წინასწარი დასკვნის უარსაყოფად. ფრიდმანმა წარმოადგინა „მონეტარიზმის” სახელით ცნობილი ალტერნატიული მაკროეკონომიკური ხედვა და ამტკიცებდა, რომ მყარი და დაბალანსებული ფულის მიწოდების მცირედი ზრდა იქნებოდა კარგი ეკონომიკური პოლიტიკა.

ფრიდმანი მხარს უჭერდა თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ სისტემას მინიმალური ჩარევით. 1962 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „კაპიტალიზმი და თავისუფლება”, ფრიდმანი ემხრობოდა ვალუტის თავისუფალ მცურავ გაცვლით კურსს.

1940-იანი წლების მეორე ნახევარში, ფრიდმანმა დაიწყო თანამშრომლობა ანა შვარცთან, რომელიც ეკონომიკის ისტორიკოსი იყო ბიუროში. 1963 წელს მათ გამოაქვეყნეს წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების მონეტარული ისტორია, 1867-1960”. მათი შეხედულებით, რომელიც აღნიშნულ წიგნში დაფიქსირდა დიდი დეპრესია გამოწვეული იყო მკაცრი მონეტარული შემცირებით, საბანკო კრიზისის და არასწორი ფედერალური სარეზერვო პოლიტიკის გამო. რობერტ შილდერის მიერ აღნიშნული წიგნი შეფასდა, როგორც დიდი დეპრესიის „ყველზე გავლენიანი შეფასება”.

ავსტრიელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრიდრიხ ჰაიკი 1920-30-იან წლებში სწავლობდა ბიზნეს ციკლებს, კაპიტალის თეორიასა და მონეტარულ თეორიას, რომლებიც მისი აზრით ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამასთან, ჰაიკი მთავრობათა ინფლაციური პოლიტიკის კრიტიკისას გამოთქვამდა მოსაზრებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირის შესახებ.

ჰაიკის მოსაზრებით, კერძო ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის უკეთესი გზა იყო, ვიდრე ბრიტანეთის მთავრობის მიერ სამთავრობო ხარჯების გაზრდა. ამ პერიოდიდან იწყება მისი კეინზთან პაექრობა. ჰაიკმა 1931 წელს გამოსცა წიგნი „ფასები და წარმოება”. ამ წიგნის შესახებ კეინზის კომენტარი იყო ასეთი - ჩემი აზრით, ეს ბრწყინვალე წიგნია, მორალური და ფილოსოფიური თვალსაზრისით მე ვეთანხმები მის შინაარსს. ასევე, კეინზმა მოუწოდა ჰაიკს დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი იმის

შესახებ, თუ სად უნდა გაივლოს ხაზი სახელმწიფოსთვის ეკონომიკის დაგეგმარებაში. ჰავა ჰავა ამ გამოწვევაზე იყო 1960 წელს გამოქვეყნებული, თავისუფლების კონსტიტუცია”. 1947 წელს შვეიცარიაში ჰავა ჰავა, ფრიდმანმა, მიზესმა, სტიგლერმა და მათმა თანამოაზრებმა დააარსეს მონ პელერინის საზოგადოება, რომელიც უწევდა და დღემდე უწევს პოპულარიზაციას თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას.

ნობელიანტი ეკონომისტი, რობერტ შილერი ცნობილია თავისი მოღვაწეობით აქტივების ფასების თეორიაში. წიგნის „ირაციონალური სწრაფი ზრდა” ორ სხვადასხვა გამოცემაში აღწერა თავდაპირველად ე.წ. „დოტკომ ბუშტი”, ხოლო შემდგომ „უძრავი ქონების ბუშტი”. 2000 წლის გამოცემაში მან ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ სააქციო ბაზრები გადაფასებული იყო და ბუშტის გასკდომა უახლოეს მომავალში გარდაუვალი იქნებოდა, რაც მოხდა კიდევ წიგნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში. 2005 წლის გამოცემაში ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აშშ-ში ბევრგან მედიანური შემოსავალი 6-9-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე უძრავი ქონების მედიანური ფასები, ხოლო უძრავი ქონების ინფლაციაზე კორექტირებული ფასების ამონაგები წელიწადში 1%-ზე ნაკლები იყო. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მან დააანონსა უძრავი ქონების ბუშტის სწრაფი გასკდომა. 2007-2008 წლებში ასეც მოხდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2008-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისში.

ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯოზეფ სტიგლიცი ამსხვრევდა მსოფლიო საზოგადოებაში გავრცელებულ მითებს გლობალიზაციისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სიკეთის შესახებ. ამ საკითხს სტიგლიცი ათობით წიგნში, სტატიებსა თუ ნაშრომებში აანალიზებდა. სტიგლიცმა წიგნებში „როგორ უნდა იმუშაოს გლობალიზაციამ” და „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება”, გააკრიტიკა ბანკებისთვის კომპენსაციის გადახდა.

მან დიდი წვლილი შეიტანა მაკროეკონომიკისა და ფულადი თეორიის, ეკონომიკის განვითარებისა და ვაჭრობის თეორიის, საზოგადოებრივი და კორპორაციული ფინანსების, სამრეწველო ორგანიზაციისა და სოფლის ორგანიზაციის თეორიების, კეთილდღეობის ეკონომიკის და შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილების თეორიებში.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მან დაწერა საკმაოდ პოპულარული წიგნების სერია, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს გლობალური დებატების ფორმირებაში. მისი წიგნი „გლობალიზაცია და მისი უკმაყოფილება” თარგმნილია 35 ენაზე. ამ წიგნში მან ჩამოაყალიბა გლობალიზაციის მართვის გზა, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ. ამავდროულად, მოწეტარული ეკონომიკის ახალი პარადიგმისკენ, ბრიუს გრინვალდთან ერთად, 2003 წელს განმარტა მოწეტარული პოლიტიკის ცდომილებებმა, როგორ შექმნა გადაჭარბებული ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების რისკი.

დასახელებული ავტორების შრომები მხოლოდ ნაწილია იმ სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხასიათის ლიტერატურისა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ფინანსების თეორიისა და ფინანსური კონტროლის ორგანიზაციასა და განხორციელებას, მათ შორის აღნიშნულ საკვალიფიკაციო ნაშრომს.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი თავის, 8 პარაგრაფის, დასკვნების და რეკომენდაციებისაგან. ასევე, ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი მოიცავს ნაბეჭდ 173 გვერდს.

ნაშრომის პირველ თავში აღწერილია ფულის, ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის და ფინანსური კონტროლის არსი და სახეები. განხილულია, ფულისა და ფინანსების არსი და ფუნქციები. შესწავლილია, ზოგადად მენეჯმენტი, როგორც პროცესი და ფინანსური მენეჯმენტი - როგორც მეცნიერება ფინანსების მართვის შესახებ. ასევე, განხილულია, ფინანსური კონტროლის არსი და სახეები საქართველოში.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა, შიდა სამეურნეო და საფინანსო სფეროს ფინანსურ კონტროლს. შესწავლილი და განზოგადებულია, კორპორაციული დონის ფინანსური კონტროლი და საბანკო და საფინანსო სფეროს კონტროლის ძირითადი ასპექტები.

მესამე თავში შესწავლილია, ფინანსური კონტროლი სახელმწიფო დონეზე. გაანალიზებულია, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და შედარებულია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ძირითად მაკონტროლებელ ორგანოებთან. განზოგადებული და განხილულია საგადასახადო კონტროლის

განხორციელების თავისებურებანი საქართველოში და მსოფლიო დონეზე. ასევე, შესწავლილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ძირითადი მიმართულებები და კვლევის შედეგად გამოვლენილია ის ნაკლოვანებები, რაც საქართველოში მოქმედ საბიუჯეტო დაწესებულებებში იკვეთება.

დასკვნების და რეკომენდაციების ნაწილში, წარმოდგენილია კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა სწორად დანერგვაც საქართველოს საფინანსო სექტორის კონტროლის გაჯანსაღებასა და კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს.

## **თავი 1. ფულის, ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის და ფინანსური კონტროლის არსი და სახეები**

### **1.1. ფულისა და ფინანსების არსი და ფუნქციები**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულადი და სასაქონლო ურთიერთობების განვითარება უზრუნველყოფს ფულის, ფინანსების, კრედიტის, მოგების და სხვა ღირებულებითი კატეგორიების გამოყენებას. ფინანსები გვევლინება, როგორც ფინანსური მეცნიერების განხილვის ობიექტი, რომელიც კონკრეტული ღირებულებითი კატეგორიით გამოხატული საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ასპექტებს იკვლევს. ფინანსების კვლევის ობიექტი არის საერთო-სახელმწიფოებრივი ანუ საჯარო ფინანსები და ასევე, ცალკეული საწარმოების და კორპორაციების ფინანსები. საჯარო ფინანსების მეშვეობით ხდება საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირება და გამოყენება და ასევე, აღნიშნული პროცესის რეგულირება. საწარმოების და ორგანიზაციების ფინანსების შესწავლის საგანს, მათი ფულადი ფონდებისა და კაპიტალის წარმოშობა და გამოყენება წარმოადგენს. სახელმწიფო ამ პროცესში ჩართულია როგორც ქონების კონკრეტული ნაწილის საკუთრების სუბიექტი და ასევე, როგორც წარმოების სუბიექტის აგენტი - საქონელთა ექსპორტის, მეურნეობის მნიშვნელოვანი სფეროების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების, კადრების მომზადების, მეცნიერების და სხვა სახის ფინანსური დახმარების გაწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ფინანსები სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია. ფინანსები მისი ფუნქციების მეშვეობით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ განვითარებაზე. ფინანსების არსი მკაფიოდ ვლინდება გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში, როდესაც სახელმწიფოს, საწარმოებს, კერძო ფირმებს და საოჯახო მეურნეობებს შორის ყალიბდება ფინანსური ურთიერთობები.

თანამედროვე პირობებში ტერმინი „ფინანსები” გულისხმობს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებული არის ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებასთან. აღნიშნული ურთიერთობები მოიცავს, როგორც მთლიანად სახელმწიფოს, ისე თითოეულ მეწარმეს.

„ფინანსები” ფართო გაგებით, განეკუთვნება საწარმოო ურთიერთობათა სფეროს. საწარმოთა ფინანსები, დივიდენდები, აქციები და ა.შ. განეკუთვნებიან ფინანსურ ეკონომიკას. ფინანსები, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი, წარმოადგენს ეკონომიკის სფეროს ელემენტს.

ფინანსები წარმოადგენს, როგორც ისტორიულ, ასევე, ეკონომიკურ კატეგორიას. ფინანსები განეკუთვნება ისტორიულ კატეგორიას, რადგან მისი წარმოშობა ისტორიულად კავშირშია სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა წარმოშობასთან, ხოლო, რადგან ფინანსები გამოხატავს ფულადი საშუალებების ფონდების შექმნა-გამოყენების პროცესში წარმოშობილ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ასევე, წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას.

თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, ფინანსების მეცნიერული ახსნა შეუძლებელია ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განხილვის გარეშე. ფული არის გაცვლის უნივერსალური საშუალება, რომელსაც საყოველთაო ეკვივალენტის თვისება გააჩნია და რომლის საშუალებითაც ხდება ყველა სხვა დანარჩენი საქონლის ღირებულების გამოსახვა.

ფინანსები სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია. ფინანსები, როგორც ცნება განიხილებოდა, როგორც „სახელმწიფო ქონების ერთობლიობა და მთელი სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობა” (ს. ვიტე). აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ყველა სახის საწარმოო ურთიერთობები, რომლებიც გამოიხატება ფულადი სახით, ფინანსები არ არის. სახელმწიფო ფინანსები განაწილების პროცესში ყალიბდება, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო.

ფინანსებმა, როგორც ეკონომიკურმა კატეგორიამ, საუკუნეების მანძილზე განიცადა ცვლილებები. ფინანსები სრულფასოვანი სისტემის სახით ჩამოყალიბდა შუა

საუკუნეებში, რაც წარმოების, ვაჭრობის, საბანკო და საბირჟო საქმის განვითარებით იყო განპირობებული. ამ პერიოდისთვის ფული იმენს განსხვავებულ შინაარსს, ფულადი სახსრების მნიშვნელობა ხდება უფრო მრავალმხრივი. სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ფულადი სახსრების მობილიზაცია, სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების შესასრულებლად. იქმნებიან სპეციფიური ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ეროვნულ და უცხოურ ვალუტასა და ფასიან ქაღალდებზე. ამგვარი სახით ფულადი ურთიერთობები სცდება ქვეყნის ფარგლებს და წარმოიქმნება მსოფლიო ფინანსები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო სუბიექტების: ფირმების, საწარმოების, კომპანიების, ბანკების, კერძო მეწარმეების მიერ ფინანსური რესურსების დამოუკიდებლად გამოყენებას. ქვეყნებში, სადაც მოქმედებს შერეული ეკონომიკა, სადაც გაერთიანებულია ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკის და საბაზრო ეკონომიკის ელემენტები, განსხვავებულია ფინანსური სისტემებიც.

ფინანსების როლი აშკარად ვლინდება სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კრიზისული სიტუაციების პირობებში, ეკონომიკური ზრდის, საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში.

სამეურნეო სუბიექტების ფინანსები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია წარმოების განვითარებისთვის, მეწარმეობისა და რენტაბელური საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საბაზრო კონკურენციის პირობებში.

ფინანსების წარმოქმნის და განვითარების ძირეულ საფუძველს, ეკონომიკური კავშირების ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა გავრცელების არეალი წარმოადგენს. რაც უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი ეს სფერო, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსებს. ეკონომიკაში, სადაც ნაღდი ფულადი ბრუნვის მაგივრად ბარტერულ გაცვლას უკავია მნიშვნელოვანი წილი, ურთიერთჩათვლები ავიწროებენ ფინანსურ ურთიერთობებს.

ფინანსების საშუალებით გამოხატული არის, ფულად ურთიერთობები, რომლებიც ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი რესურსების ფორმირებასთან და გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

ფინანსების პრაქტიკაში გამოყენებასთან კავშირში მყოფი, ამა თუ იმ სახელმწიფოს მარეგულირებელი საქმიანობა, წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსურ პოლიტიკას. მისი განხორციელება საფინანსო სისტემის სპეციალური ორგანოების (საქართველოს მაგალითზე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების და სახაზინო სამსახურები, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები და ა.შ.) უფლებამოსილებაა.

საერთო-სახელმწიფოებრივთან ერთად, საკუთრების სხვადასხვა ტიპის სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების, კოოპერატივების, უნიტარული სახელმწიფო საწარმოების, სამრეწველო და საფინანსო ჯგუფების და სხვა დაწესებულებების ფინანსები, ფინანსური სისტემის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. კომერციული საწარმოების ფინანსები ფულადი ურთიერთობების ისეთ სისტემას გამოხატავს, რომელიც სამეურნეო აქტივობების განხორციელების დროს წარმოიქმნება და შემოსავლების, კაპიტალისა და ფულადი ფონდების ფორმირებისათვის არის საჭირო.

„ფინანსები”, როგორც ეკონომიკური კატეგორია განსხვავდება კატეგორია „ფულისგან”. ფინანსები არის ეკონომიკური ურთიერთობები, დაკავშირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) განაწილებასთან, ხოლო ფული – შრომის დანახარჯების გაზომვის საყოველთაო ექვივალენტია.

ფინანსები ფულისგან განსხვავდება შინაარსით და ასევე, ფუნქციებითაც. ფული საქონლის ღირებულების საყოველთაო საზომი ეკვივალენტია, ფინანსები კი – მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილება-გადანაწილების ეკონომიკური ინსტრუმენტია. ფინანსები ლათინურად შემოსავალს, გადასახადს ნიშნავს. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ვლინდება მშპ-სა და ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პროცესში, ხოლო საკონტროლო ფუნქცია –

მშპ-ს შესაბამის ფონდებში მოქცევისა და შემდეგ მისი მიზნობრივი ხარჯვის კონტროლში.<sup>4</sup>

ქართველი მეცნიერის ნიკოლოზ ბაკაშვილის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად ფულის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. პორტატულობა – ფული უნდა იყოს მცირე ზომის, მსუბუქი და მოხერხებული სატარებლად;
2. გამძლეობა – მასალა, რომლისგანაც მზადდება ფული, უნდა იყოს გამძლე;
3. ერთგვაროვნება – ერთი და იგივე ნომინალით გამოხატულ ფულად ერთეულს მსგავსი ღირებულება უნდა ჰქონდეს;
4. გაყოფადობა – ფულის დაყოფა უნდა შეიძლებოდეს ნაწილებად;
5. საცნობარობა – ფული უნდა იყოს ადვილად საცნობი, ანუ მისი გაყალბება ძნელი უნდა იყოს;
6. სტაბილურობა – ფულის ღირებულება დროში მეტ-ნაკლებად სტაბილური უნდა იყოს.<sup>5</sup>

რაც შეეხება ფინანსების დამახასიათებელ ნიშნებს განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი ეკონომისტების ნაშრომებში. ჩვენ ვეთანხმებით ქართველი მეცნიერის ლ. გვენეტამის მიერ ჩამოყალიბებულ კლასიფიკაციას ფინანსების დამახასიათებელ ნიშნებთან დაკავშირებით. ფინანსებს აქვს 4 სახის დამახასიათებელი ნიშანი:

1. ფინანსების მატერიალური საფუძველია ფული;
2. ფინანსების მეშვეობით ხდება ფულადი რესურსების ფონდების ფორმირება და მიზნობრივი გამოყენება;
3. საფინანსო ურთიერთობები სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება;
4. საფინანსო ურთიერთობებში ორი ან ორზე მეტი არათანაბარუფლებიანი სუბიექტი მონაწილეობს.<sup>6</sup>

<sup>4</sup> ლ. ძნელაძე. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ბათუმი., 2013, გვ. 14.

<sup>5</sup> ნ. ბაკაშვილი. ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი, თბ., 2015, გვ: 12-13.

<sup>6</sup> ლ. გვენეტამი. ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 2007, გვ. 22.

„ფულისა” და „ფინანსების” ერთმანეთისგან განსხვავება შესაძლებელია მათი ფუნქციების შესწავლით. ფულისა და ფინანსების ფუნქციების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ეკონომისტების მხრიდან, თუმცა ჩვენი შეხედულებით, ფინანსები ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას, ხოლო ფული ხუთ - ძირითად ფუნქციას.

ინგლისელი მეცნიერის ლ. ხარისის თანახმად, ფულს აქვს 3 ფუნქცია: ფასის მასშტაბის, მიმოქცევის და ღირებულების საზომის ფუნქციები. მაკკონელისა და ბრიუს თანახმად, ფულს 3 ფუნქცია აქვს, თუმცა განსხვავებით ხარისისაგან, ისინი ფასის მასშტაბის ნაცვლად, ფულის დაგროვების ფუნქციას აყალიბებენ. დღესდღეობით ფართოდაა გავრცელებული ფულის ფუნქციების შემდეგი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ფულს აქვს 5 ფუნქცია:

1. ღირებულების საზომის ფუნქცია;
2. გაცვლის ფუნქცია;
3. დაგროვების ფუნქცია;
4. გადახდის საშუალების ფუნქცია;
5. მსოფლიო ფულის ფუნქცია.

ფულს, როგორც ღირებულების საზომს შეუძლია შეაფასოს და გაზომოს ნებისმიერი სხვა საქონლის ღირებულება. ფულის საშუალებით ხდება ფასის მინიჭება ნებისმიერი საქონლისათვის, რაც ადამიანთა შეფასებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ვიგებთ ავეჯის, ტანსაცმლის, აქსესუარების და ა.შ. ფასს, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული პროდუქციის ღირებულების გაზომვა ხდება ფულთან მიმართებაში. ფულით საქონლის ღირებულების შეფასება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ თუ კონკრეტულ საქონელს რა შეფარდებითი ღირებულება გააჩნია. ღირებულების საზომის ფუნქციის მეშვეობით, ფულის საშუალებით ხდება ყველა სხვა საქონლის ფასის განსაზღვრა.

გაცვლის საშუალების ფუნქცია ნათლად ჩანს საქონელ გაცვლის პროცესში. ყიდვა-გაყიდვის დროს ფულის საშუალებით ხდება ერთი საქონლის შესყიდვა მყიდველის მიერ გამყიდველისგან, ხოლო შემდეგ გამყიდველი მიღებული ფულის

საშუალებით ყიდულობს სხვა საქონელს და შესაბამისად, გამოდის მყიდველის როლში და ეს პროცესი ასე გრძელდება. შესაბამისად, ფულის მეშვეობით ხდება სხვადასხვა საქონლის გადაცვლა.

დაგროვების ფუნქცია ფულის შენახვისას ვლინდება. ადამიანები ფულის გარკვეულ ნაწილს არ ხარჯავენ და ინახავენ მომავლისთვის. საზოგადოება ცდილობს დააგროვოს სიმდიდრე, რასაც ფულის საშუალებით ახორციელებენ. ფულის დაგროვება ხდება, როგორც ფიზიკური პირების, ისე იურიდიული პირების და სახელმწიფოს მიერ. ადამიანები ფულს აგროვებენ პირადი მიზნებისთვის, საწარმოებისა და ორგანიზაციების მხრიდან ფულის დაგროვება მომავალი ინვესტიციების განხორციელების საშუალებაა, ხოლო სახელმწიფომ შესაძლებელია შეინახოს რეზერვები ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად.

გადახდის საშუალების ფუნქციის მეშვეობით ხდება გადახდის განხორციელება საქონლის შეძენისას, ვალის დაფარვისას, ბიუჯეტში გადასახადის გადახდისას, დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ხელფასის გადახდისას, სახელმწიფოს მხრიდან პენსიის გადახდისას და ა.შ. შესაბამისად, ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია ვლინდება როგორც მიკრო, ასევე მაკროდონებზე.

გლობალიზაციის პირობებში ფულის მოძრობა გასცდა ქვეყნის ფარგლებს, რაც ფულს წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო ფულს. ფულის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნებს შორის ანგარიშსწორება, გადარიცხვა, საქონლის გაცვლა და სხვა. დომინანტი ვალუტების მეშვეობით, როგორიც არის აშშ დოლარი, ევრო, ჩინური იუანი და სხვა, ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური გარიგებების განხორციელება.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ხუთივე ფუნქცია ერთად წარმოგვიდგენს ფულის მახასიათებლებს.

ქართველი მეცნიერის ნიკოლოზ ბაკაშვილის მოსაზრებით, „ფულის ის მოცულობა, რომელიც ორგანიზაციას გააჩნია თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ფულად რესურსებად იწოდება, ხოლო მასთან დაკავშირებული და მისით განხორციელებული ურთიერთობები – ფინანსებად”.<sup>7</sup> აქედან გამომდინარე ტერმინები

<sup>7</sup> ნ. ბაკაშვილი. ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი, თბ., 2015, გვ: 43-44.

„ფული” და „ფინანსები” განსხვავებული ეკონომიკური კატეგორიებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლითაც გამოიყოფა ფინანსების სამი ფუნქცია:

1. განმანაწილებელი ფუნქცია;
2. მარეგულირებელი ფუნქცია;
3. კონტროლის ფუნქცია.

ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი მის ფუნქციებში ვლინდება. განმანაწილებელი ფუნქცია ფინანსების სახელმწიფო-სამეურნეო დანიშნულებაში ვლინდება: ნებისმიერი მეურნე სუბიექტი, და ასევე, ხელისუფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქციის ობიექტია GDP-ის ღირებულება, ეროვნული შემოსავალი. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია პირველ ეტაპზე ეროვნული შემოსავლის განაწილებისას ვლინდება, როდესაც წარმოებს პირველადი შემოსავლების ფორმირება. პირველადი შემოსავალი ვერ ქმნის ისეთი ოდენობის ფულად ფონდებს, რომელსაც ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ფინანსური რესურსებით სრულად დაკმაყოფილება შეეძლება. ამიტომ, ეროვნული შემოსავლის მეორადი განაწილების აუცილებლობა დგება. აღნიშნული პროცესი, რესურსების დარგებსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის განაწილებასთან არის დაკავშირებული, რომლის მონაწილეც უკვე სახელმწიფო ხდება. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია სირთულეებით და მრავალფეროვნებით ხასიათდება. ფინანსები განაწილების სხვადასხვა ეტაპებს ემსახურება, რადგან მონაწილეობს მთლიანი შიდა პროდუქტის როგორც პირველად, ასევე, მეორად განაწილებაში ანუ გადანაწილებაში. ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში, ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ქმნის 3 სახის ფონდის ფორმირების პირობებს: საბიუჯეტო, დაგროვების ანუ წარმოების საშუალებების და მოხმარების ფონდის.

მიკროეკონომიკურ დონეზე განმანაწილებელი პროცესები გვხვდება საწარმოს შიგნით, რაც წარმოჩინდება, როგორც მესამე რიგის განაწილება.

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე გამოყოფს ფინანსების შემდეგ 3 ფუნქციას: განმანაწილებლობითს, მეურნეობრივი ანგარიშიანობის და საკონტროლოს.

ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციიდან წარმოდგება სამი ფორმა:

1. ბიუჯეტური ფონდების ფორმირება განაწილების საშუალებით;
2. წარმოების საშუალებების დაფინანსება განაწილების საშუალებით;
3. მოხმარების საგნების ფონდის დაფინანსება განაწილების საშუალებით.

განმანაწილებლობითი ფუნქციის პირველ ეტაპზე ბიუჯეტური ფონდების ჩამოყალიბება სრულდება განაწილების საშუალებით, გაცვლის გარეშე. დაგეგმვის ეფექტიანობა ხორციელდება ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციით.

ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქციის მეორე ფორმა – წარმოების საშუალებების დაფინანსება არის საბოლოო პროდუქტის უკან დაბრუნებული დაფინანსება, რა დროსაც გადანაწილება წარმოგვიდგება ფულადი ფორმით.

მოხმარების საგნების დაფინანსება ხორციელდება განაწილებისა და გადანაწილების საშუალებით, რომელიც სრულდება მოხმარებით.

ფინანსების განმანაწილებლობითი ფუნქცია დაკავშირებულია წმინდა ფულად ურთიერთობებთან, ხოლო მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფუნქცია – საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებულ ფულად ურთიერთობებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსების განმანაწილებელი ფუნქციის როლი მნიშვნელოვანია, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. თითოეულ ეტაპზე განმანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით ფინანსები მშპ-ს რაციონალურ განაწილებას უწყობს ხელს.

ფულის მოძრაობა, რომელიც კავშირშია გეგმიურ განაწილებასთან გამოხატავს ფინანსების მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფუნქციას. საწარმოს ფულადი ფონდების გამოყენებისას წარმოების საშუალებების შესაძენად ხდება ღირებულებების გაცვლა, რა დროსაც ფულადი ფონდები ფუნქციონირებს არა როგორც უბრალოდ ფული, არამედ როგორც ფინანსები და შესაბამისად ვლინდება ფინანსების მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფუნქცია.

ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსების საშუალებით წარმოების პროცესის რეგულირებას უკავშირდება.

მარეგულირებელი ფუნქციის მეშვეობით ხდება ფულადი ნაკადების რეგულირება. ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირება, სახელმწიფო საბიუჯეტო დაგეგმვა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, საგადასახადო და საბაჟო რეგულირება და სხვა.

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული განმანაწილებლობით და მეურნეობრივი ანგარიშიანობის ფუნქციებთან. ბიუჯეტის ფონდების მოძრაობა დაკავშირებულია ფინანსების საკონტროლო ფუნქციასთან. საწარმოს რესურსების კონტროლი, მნიშვნელოვანია დასახული მიზნის მისაღწევად. ფული, როგორც განმანაწილებლობითი და მეურნეობრივი ანგარიშიანობის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონტროლი, იმენს საკონტროლო ფუნქციას და გადაიქცევა ფინანსებად.

ფინანსების კონტროლის ფუნქცია პირდაპირ კავშირშია მის განმანაწილებელ ფუნქციასთან. ფინანსების კონტროლის ფუნქცია ვლინდება GDP-ის სხვადასხვა ფონდებში მოქცევასა და შემდეგ მიზნობრივი განაწილების მონიტორინგში. საბიუჯეტო სახსრების ბრუნვა და ზოგადად ბიუჯეტის პროცესი მთლიანად – საბიუჯეტო პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების, შესრულების და კონტროლის ეტაპები ფინანსების საკონტროლო ფუნქციასთან არის დაკავშირებული. ფინანსების კონტროლის ფუნქციის ამოცანები არის: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის სრული დაცვის შემოწმება; საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულების მონიტორინგი; ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის გადასახდელებისა და ანგარიშსწორებათა შესრულების კონტროლი. ფინანსების კონტროლის ფუნქციის საფუძველს, ფინანსური რესურსების მოძრაობა წარმოადგენს, ხოლო რეალიზაციის ინსტრუმენტი კი – საფინანსო ინფორმაციაა, რომელიც საბუღალტრო, სტატისტიკურ და ოპერატიულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ მონაცემებს მოიცავს.

კონტროლის ფუნქციის მეშვეობით ხორციელდება ფირმის ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილების და გამოყენების მართლზომიერების გაკონტროლება.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ამოცანებია: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურებისა და ბანკების მიერ საბიუჯეტო სისტემის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი. ასევე, ფინანსების კონტროლის ფუნქციის ამოცანებს განეკუთვნება საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების და ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ფინანსური კონტროლის სახეები შესაძლებელია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

1. შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი;
2. საბანკო და საფინანსო სფეროს ფინანსური კონტროლი;
3. საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლი;
4. საგადასახდო და საბიუჯეტო ფინანსური კონტროლი;
5. უწყებრივი (სახელმწიფო შიდა) ფინანსური კონტროლი.

სწორედ აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ სადისერტაციო ნაშრომში. ფინანსების განმანაწილებელი და საკონტროლო ფუნქციები, კანონებისა და სამართლებრივი აქტების საფუძველზე ვლინდება. ასევე, სამართლებრივი ნორმების, დებულებების, აქტების საშუალებით ვლინდება ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია.

„ფულისა“ და „ფინანსების“ დამახასიათებელი ნიშნებისა და ფუნქციების განხილვის საფუძველზე კარგად ჩანს მათ შორის განსხვავება, როგორც მიკროეკონომიკის, ასევე მაკროეკონომიკის პირობებში, რაც დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ „ფული“ და „ფინანსები“ განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინებია.

## **1.2. მენეჯმენტი - როგორც მმართველობითი პროცესი და ფინანსური მენეჯმენტი - როგორც მეცნიერება ფინანსების მართვის შესახებ**

მენეჯმენტის შესახებ განსხვავებულ განმარტებებს ვხვდებით, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი ეკონომისტების ნაშრომებში. მენეჯმენტი ეს არის ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის კოორდინირება, რომელიც მიმართულია ეფექტიანობისა და შედეგიანობის მიღწევისაკენ.

ეფექტიანობა ეს არის არსებული შეზღუდული რესურსების ფარგლებში მაქსიმალური მწარმოებლურობის მიღწევა. რადგანაც რესურსები შეზღუდულია, ამიტომ მენეჯერები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ აღნიშნული რესურსებიდან. მწარმოებლურობის ამაღლება ასევე დამოკიდებულია ხარჯებისა და დანაკარგების შემცირების მოცულობაზე. შესაბამისად, ეფექტიანობა შესაძლოა განვსაზღვროთ, როგორც „შესაძლებლობების მაქსიმუმის გაკეთება”.

შედეგიანობა ეს არის კარგად დაგეგმილი ქმედებების შედეგი, რათა მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის მიზნები. შედეგიანობაზე ორიენტირებულობა აუცილებელია ნებისმიერი ფორმისა და ტიპის საწარმოსათვის. შედეგიანობის არსი შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, შედეგიანობა ეს არის - „საქმის სწორად კეთება”.

ეფექტიანობა და შედეგიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანახარჯებს, ადვილად შესაძლებელია,

რომ ის გახდეს შედეგიანი და ასევე, შესაძლოა ორგანიზაცია იყოს ეფექტიანი, მაგრამ არაშედეგიანი.

მეცნიერულად „მართვა” და „მენეჯმენტი” ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია. „მართვა” „მენეჯმენტთან” შედარებით უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს მას. მენეჯმენტი ეს არის სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და სისტემების მართვა, რომელიც მიმართულია საწარმოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. მენეჯმენტის მთავარი მიზანია ფირმის მიერ წარმოების მაღალი ეფექტიანობისა და რესურსული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიღწევა.

მენეჯმენტი პროფესიულ-მმართველობითი საქმიანობის ისეთი სახეობაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ნებისმიერი ფირმის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისა და მიზნის მისაღწევად არის მართული, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით. მენეჯმენტი აუცილებელია ფირმის იმ კატეგორიისათვის, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, მიუხედავად ამ საქმიანობის მიმართულებისა.<sup>8</sup>

ამასთან, ჩვენი აზრით, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო ფირმებთან ერთად, მენეჯმენტის სფეროში მოქცეულია კომერციული ბანკიც, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. ამიტომ, ჩვენი სამეცნიერო კვლევის სფეროში, კომერციული ბანკის ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელებაც მოიაზრება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენეჯმენტის ზოგად პრინციპებს მიეკუთვნება:

1. მენეჯმენტის ლეგიტიმურობა;
2. მართვის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა;
3. მართვის პროცესების სპეციალიზაცია და უნივერსალიზაცია;
4. მართვის ობიექტისა და სუბიექტის ორგანიზაციული ერთიანობა;
5. სამმართველო გადაწყვეტილების ალტერნატიულობა;
6. ორგანიზაციის მენეჯმენტის გარემოს მიმართ მდგრადობა;
7. მართვის პროცესის მობილურობა;

<sup>8</sup> ც. ოქრუაშვილი, კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ., 2009, გვ. 14.

8. მენეჯმენტის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკურობა;
9. მართვაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამება;
10. მართვის პროცესის დემოკრატიზაცია;
11. ორგანიზაციის მართვაში უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეთანაწყობა;
12. ინდივიდუალური ინტერესებისა და ორგანიზაციული მიზნების დაბალანსება;

13. მენეჯმენტის მუდმივი განვითარებადობა და სხვა.<sup>9</sup>

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენეჯმენტის პროცესს ახორციელებენ ადამიანები რომელთაც მენეჯერებად მოვიხსენიებთ. ინგლისური სიტყვა „მენეჯერი”, რომელიც ქართულად მმართველს ნიშნავს, ასოცირდება ადამიანთან, რომელსაც უკავია ხელმძღვანელი თანამდებობა ორგანიზაციაში. ამასთან, როდესაც ამბობენ მენეჯერს, მხედველობაში აქვთ პროფესიონალი მმართველი, განსაკუთრებული პროფესიის წარმომადგენელი და არა უბრალოდ მეთაური. მენეჯერი არის ხელმძღვანელი, რომელსაც გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მომზადება.

პროფესორ თემურ ხომერიკის მოსაზრების თანახმად, თანამედროვე მმართველთა მიერ მენეჯმენტის კლასიკური სკოლის რაციონალიზმზე უარის თქმამ – ორგანიზაციის შინაგან ფაქტორებზე სამმართველო ზემოქმედებამ პირველობა დაუთმო წარმოების მოქნილობასა და ორგანიზაციის მუდმივად ცვალებადი გარემოსადმი ადაპტაციას. შესაბამისად, ანრი ფაიოლის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის მართვის პრინციპები შეიცვალა თანამედროვე მენეჯმენტის პიტერ დრაკერისეული დებულებებით:

1. მენეჯმენტის მთავარი ფიგურა ადამიანია, ამიტომაც სისტემის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ამ ადამიანთა ძალისხმევის ეფექტიანობაზე დამყარებული ერთობლივი საქმიანობა და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები;

---

<sup>9</sup> თ. ხომერიკი. მენეჯმენტი, თბ., 2006, გვ. 215.

2. რადგან მენეჯმენტი დამყარებულია ორგანიზაციაში გაერთიანებულ ადამიანთა ინტეგრაციაზე, იგი მყარად ეფუძნება მათ კულტურას. მენეჯერები რასაც აკეთებენ ევროპაში, ამერიკასა და აზიაში, არსით ერთნაირია, მაგრამ თუ როგორ აკეთებენ ამას შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს. ამიტომაც განვითარებადი ქვეყნების მენეჯერებისათვის უმთავრესია საკუთარ ტრადიციებში, ისტორიასა და კულტურაში მოიძიონ და გააცნობიერონ ის ელემენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მართვის მოდერნიზებული სისტემის ასაგებად;

3. ყოველი ორგანიზაცია მენეჯმენტისაგან მოითხოვს მარტივ, ზუსტად ჩამოყალიბებულ და ერთიან ამოცანებს, რათა დარაზმოს მუშავები საერთო მიზნის ირგვლივ;

4. მენეჯმენტის ამოცანას წარმოადგენს ისიც, რომ ორგანიზაცია და მისი თითოეული წევრი ავითარებდეს როგორც თავის მოთხოვნილებებს, ისე მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. ამასთან, ადამიანის მომზადება და განვითარება უნდა ხდებოდეს ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე;

5. ორგანიზაციაში განსხვავებული სახის სამუშაოთი დაკავებული ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებინ განვითარების დონითა და უნარ-ჩვევებით. ამიტომაც, ორგანიზაციის სისტემა უნდა ეყიდვებოდეს მომუშავეთა შორის კომუნიკაციების არსებობასა და მათ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

6. მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია ერთი ან რამდენიმე მახასიათებლით, რადგან ორგანიზაციის ქმედითუნარიანობისთვის საჭიროა სისტემის კომპონენტების მრავალი საშუალებით უზრუნველყოფა, რომელთა მხოლოდ კომპლექსური გამოყენებით მიიღწევა მაღალი შედეგები;


7. ორგანიზაციაზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ორგანიზაცია შედეგებს აღწევს განსაზღვრულ გარემოში, ხოლო თვით ორგანიზაციაში კი არსებობს ღირებულებათა შემქმნელი ცენტრები.<sup>10</sup>

ბიჰევიორისტულმა სკოლამ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სრულყოფის მეთოდიკის შემუშავებაზე გააკეთა აქცენტი.

<sup>10</sup> თ. ხომერიკი. მენეჯმენტი, თბ., 2006, გვ: 213-214.

მასლოუმ მუშათა ქცევებზე დაკვირვების საფუძველზე ააგო მოთხოვნილებათა იერარქიული სქემა (დიაგრამა N 1).

**დიაგრამა N 1. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია**



წყარო: თანამედროვე მენეჯმენტი (ქართულად თარგმნეს: ბოჭორიშვილი ქ; წიკლაური თ; ციმაკურიძე ს.).  
– 2015

აღნიშნული იერარქიის საფუძველზე ადამიანთა მოტივაციის საფუძველია მოთხოვნილებათა კომპლექსი, სადაც ინდივიდთა საჭიროებები დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით. მასლოუ გამოყოფს მოთხოვნილებების ხუთ საფეხურს:

ფიზიოლოგიური; უსაფრთხოების; სოციალური; პატივისცემის და თვითგამოხატვის მოთხოვნილებები.


აღნიშნული თეორიის მიხედვით პირველად უნდა დაკმაყოფილდეს დაბალი დონის მოთხოვნილებები და მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდებათ ადამიანებს მისწრაფება მაღალი დონის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანები მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას იწყებენ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან და მაქსიმალურ საფეხურს აღწევენ თვითგამოხატვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი პროცესი, აუცილებელია ყველა ტიპის დაწესებულებაში. მენეჯმენტის პროცესი ხორციელდება ადამიანთა მიერ, რომლებსაც მენეჯერებს ვუწოდებთ.

მენეჯერები ის ადამიანები არიან, რომლებიც ორგანიზაციული მიზნების განხორციელებისათვის ზედამხედველობასა და ორგანიზებას უწევენ ადამიანური და სხვა რესურსების გამოყენებას. ორგანიზაციის რესურსებს განეკუთვნება: მუშახელი, მანქანა-დანადგარები, ნედლეული, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი და სხვა.

მენეჯერი, როგორც მმართველი რგოლის წარმომადგენელი მიღებულ შედეგებსა და მიღწევებზე არის პასუხისმგებელი. მენეჯერი მიზნების მისაღწევად რესურსების დაგეგმვას, ანალიზს, რეგულირებას და კონტროლს ახორციელებს. აქედან გამომდინარე მენეჯმენტის პროცესი შეგვიძლია გამოვსახოთ სქემის სახით (დიაგრამა N 2).

## დიაგრამა N 2. მენეჯმენტის პროცესი



## კონტროლი

წყარო: თანამედროვე მენეჯმენტი (ქართულად თარგმნეს: ბოჭორიშვილი ქ; წიკლაური თ; ციმაკურიძე ს.). – 2015

დაგეგმვა – ეს არის ორგანიზაციის მიზნების, შედეგების და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო რესურსების სწორად განსაზღვრა, რომელიც ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, გეგმების სტრუქტურის შემუშავებასა და საქმიანობის კოორდინირებას მოიცავს. დაგეგმვა გულისხმობს ორგანიზაციის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაგეგმვა ვადების მიხედვით შესაძლებელია იყოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი.

ანალიზი – ეს არის მიზნების მისაღწევად შესასრულებელი აქტივობების დაჯგუფება და თანამშრომელთა პასუხისმგებლობების განსაზღვრა. მენეჯმენტის პროცესის ამ ეტაპზე მენეჯერების მიერ ხდება საჭირო ამოცანების გაანალიზება და რესურსების განაწილება.

რეგულირება – ეს არის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე პროცესების დარეგულირება, თანამშრომელთა მოტივაცია და ეფექტური კომუნიკაციის არხების შერჩევა, ორგანიზაციის დასახული მიზნების მისაღწევად.

კონტროლი, როგორც მენეჯმენტის პროცესის დამამთავრებელი ეტაპი მოიცავს შედეგების მონიტორინგს, დადგენილი და მიღწეული სტანდარტების შედარებას და შემდგომი ღონისძიებების გატარებას.

სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი იყოფა გარეგან და შიდა კონტროლად. გარე კონტროლს ახორციელებენ გარე აუდიტორები, ხოლო შიდა კონტროლის ორგანიზება ხდება თვით ფირმის მიერ. სწორედ შიდა კონტროლი წარმოადგენს ფირმის მენეჯმენტის ნაწილს. აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებენ მენეჯერები, მათი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე, შიდა აუდიტის ორგანოები. შიდა საფირმო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ფირმის საქმიანობაში უარყოფითი ტენდენციების და ნაკლოვანებების გამომჟღავნების ოპერატიული სისტემის შექმნა, მათი აღმოფხვრის

ღონისძიებების მიღების მიზნით. შიდა საფირმო კონტროლი უკავშირდება გარე კონტროლს და ფირმის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, შიდა საფირმო ინსტრუქციების და წესების, გარე მაკონტროლებელი ორგანოების მოწერილობების დაცვის შემოწმებას მოიცავს.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მენეჯმენტის მიღწეულ დონეზე. რადგან, ფირმის მენეჯმენტის ძირითადი ნაწილებია: დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი, ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელებაც ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური კონტროლის მეშვეობით განისაზღვრება თუ რამდენად მყარია კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. ფინანსური კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების მონაცემები.

ამ მიმართულებით ეკონომიკური თეორია მნიშვნელოვნად წინ წასწიეს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სლოუნის მენეჯმენტის სკოლის პროფესორმა რობერტ მერტონმა, რომელმაც შეიმუშავა საპენსიო მენეჯმენტთან დაკავშირებული განსაზღვრულ სარგებელსა და შენატანურ გეგმებთან დაკავშირებულ ხარვეზების საპენსიო მენეჯმენტის გადაწყვეტის სისტემა, ილინოისისა და მელონის უნივერსიტეტისა და სლოუნის მენეჯმენტის სკოლის პროფესორებმა ფრანკო მოდილიანმა და მერტონ მიღერმა, რომლებმაც შექმნეს სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზა და თეორემა კორპორატიული ფინანსების შესახებ, აგრეთვე მიღტონ ფრიდმანმა და დევიდ მეისელმანმა შრომებით მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსების საკონტროლო ფუნქციის წარმატებით განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული მენეჯერთა პერსონალზე.

ფინანსური მენეჯმენტი არის პროცესი, რომელიც მოიცავს ფინანსური რესურსების ფორმირებასა და გამოყენებას, კაპიტალისა და ფულადი ნაკადების მართვას კომპანიის ფუნქციების შესრულების მიზნით. ფინანსური მენეჯმენტი კომპანიის ფინანსების მართვის ხელოვნებაა გარეგანი და შინაგანი გარემოს ზემოქმედების პირობებში, რაც დაკავშირებულია შემოსავლებთან და ხარჯებთან.

ფინანსური მენეჯმენტი კომპანიების ფინანსური აქტივების ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების და მეთოდების სისტემაა.

ფინანსური მენეჯერი ვალდებულია, ჩატაროს ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება. ფინანსების მართვის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა იქონია ინფორმაციული სისტემების განვითარებამ და კომპიუტერების დანერგვამ მართვის ყველა დონეზე. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ანალიზის ინსტრუმენტის სახით ყველა დონის მენეჯერს უმარტივებს საქმიანობას, რადგან მათ საშუალება ეძლევათ გამოიყენონ მონაცემთა ბაზები გადაწყვეტილებების მომზადების, დაგეგმვის და კონტროლის განხორციელების ეტაპებზე.

„ფინანსური მენეჯმენტი“ ცენტრალიზებულ – გეგმიანი სისტემის მქონე ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილად განიხილებოდა. თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტი განიხილება, როგორც გამოყენებითი ეკონომიკის ცალკე მიმართულება. თანამედროვე ეტაპზე „ფინანსური მენეჯმენტი“ გულისხმობს სხვადასხვა სახის ფინანსური პროცესის ჩამოყალიბებას და რეგულირებას კორპორაციაში. ფინანსური მენეჯენტი მოიცავს: დაგეგმვას, ფულადი ბრუნვის ოპერატიულ მართვასა და კონტროლს. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად კომპანიის ხელმძღვანელობა იყენებს ინფორმაციის ისეთ წყაროებს, როგორიცაა: ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების, ოპერატიული და ფინანსური ბიუჯეტების, კომპანიის ნორმატივები, ცენტრალური ბანკის მონაცემები, საფონდო და სავალუტო ბირჟების მონაცემები, კომპანიის ხელშეკრულებები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან და სხვა.

კონტროლი ფინანსების სფეროში, როგორც მართვის ფუნქცია დამყარებულია სახელმწიფო კონტროლის სისტემის საერთო პრინციპებზე, ფინანსური კონტროლის სახეების ჩამოყალიბება კი - სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის მოთხოვნილებებზე არის დამოკიდებული. სახელმწიფოს ფინანსები, ფულადი სახსრების ფონდების ყველა სახეობას მოიცავს. შესაბამისად, ფინანსური კონტროლი მრავალდონიანი ზემოქმედების ბერკეტის სახით გვევლინება.

სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური კონტროლი, გამოიყენება ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის და მის მიერ ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, იგი ყველა დონის ბიუჯეტებისა და სხვა ფონდების დამუშავების, დამტკიცებისა და შესრულების კონტროლს გულისხმობს.

არასახელმწიფო სექტორის ფინანსების კონტროლი მრავალი სახის ურთიერთობას გულისხმობს, მაგალითად: სახელმწიფოს წინაშე ფულადი ვალდებულებების შესრულებას, საწარმოებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სუბსიდიებისა და კრედიტების გახარჯვაში კანონიერების დაცვას, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფულადი ანგარიშსწორების, აღრიცხვის და ანგარიშგების განხორციელების წესების დაცვას და სხვა.

ფინანსების მართვა ხორციელდება ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებისა და მართვის სპეციალური საფინანსო ორგანოების მიერ. საქართველოში ფინანსების მართვას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი ახორციელებს. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს ქვეყნის ბიუჯეტს, ასევე, კანონებს გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სავალდებულო გადახდების შესახებ.

ქვეყნის ფინანსების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ფინანსთა სამინისტროს და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის დონეზე ერთიანი საფინანსო, საბიუჯეტო, საგადასახადო და სავალუტო პოლიტიკის განმსაზღვრელი და აღნიშნულ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობის მაკომინირებელი ორგანოა.

როგორც აღვნიშნეთ, მენეჯმენტის ძირითადი ნაწილებია: დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი. მენეჯმენტის პირველ სამ ელემენტთან შედარებით, ავტორების მიერ ნაკლებადაა დამუშავებული მეოთხე ელემენტი – კონტროლი და განსაკუთრებით ფინანსური კონტროლი, რომელიც წარმოადგენს ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების საშუალებას. საქმიანობის პროცესი კომერციული ფირმის ხელმძღვანელობა ძირითადად უნდა ითვალისწინებდეს როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ ფაქტორებს.

მენეჯმენტი ქმნის პირობებს ფინანსების კონტროლის ფუნქციის ეფექტიანი განხორციელებისათვის. ამასთან, ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების საშუალება, წარმოადგენს ფინანსების მართვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს.

### 1.3. ფინანსური კონტროლის არსი და სახეები

ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციების სისტემაში მნიშვნელოვანი როლი, საწარმოში ფინანსური კონტროლის განხორციელებას ეკუთვნის. ფინანსური კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირება. შიდა ფინანსური კონტროლი მოიცავს საწარმოს მმართველობითი გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის შემოწმების პროცესს.

ფინანსური სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ პირობას ფინანსური კონტროლი წარმოადგენს, რომელიც ერთიანი სახელმწიფო კონტროლის ნაწილია. ფინანსური კონტროლის ობიექტს ფინანსური რესურსების ფორმირებისას და გამოყენებისას წარმოშობილი ფულადი ურთიერთობები წარმოადგენს. ფინანსური კონტროლის არსი მის ამოცანებში გამოიხატება. ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ფინანსური რესურსების მდგომარეობაზე კონტროლია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების გამოყენების შემოწმებას გულისხმობს. ამ დროს ფინანსური კონტროლის მეშვეობით მოწმდება გადასახადებით დაბეგვრის, სავალუტო ოპერაციების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და სხვა სფეროებში მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დაცვა. ფინანსების საკონტროლო ფუნქცია ფინანსური კონტროლის ობიექტური საფუძველია, რომლის საშუალებითაც ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებასა და არსებული რესურსების დაბალანსებას უზრუნველყოფს. ფინანსურ კონტროლში იგულისხმება ფინანსური ოპერაციების კანონიერებისა და უტყუარობის დადგენა.

სახელმწიფო კონტროლის სისტემაში ფინანსური კონტროლის მნიშვნელობა კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით არის განპირობებული.

სახელმწიფო ფინანსები მოიცავს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ მმართველობით საქმიანობას, ასევე ბუნებრივი რესურსების განკარგვასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, წარმოების, განაწილების და მოხმარების სფეროს სუბიექტების სამეურნეო და საწარმოო საქმიანობას. სახელმწიფო ფინანსების ამგვარად ჩამოყალიბებისას ცხადი ხდება, რომ მისი ობიექტები არა მხოლოდ ის ორგანიზაციებია, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ფინანსდებიან, ის ორგანიზაციებიც, რომელნიც ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ. ამრიგად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი არის შემოწმება ეროვნული სიმდიდრის ფორმირებაზე, გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე.

1990-იან წლებში, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საწარმოების ფინანსებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ. ფინანსური ურთიერთობების გლობალურ მასშტაბში განხორციელება საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას აუმჯობესებს. არსებობდა და იარსებებს ისეთი საწარმოები, რომლებიც მხოლოდ ეროვნულ ბაზარზე იქნებიან წარმოდგენილნი, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წარმატებული საქმიანობისთვის ფართო არეალი იქმნება იმ საწარმოთათვის, რომლებიც ბიზნესს გლობალურ მასშტაბებში ახორციელებენ. საწარმოთა ფულადი ფონდების მობილიზებასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანა კორპორაციის პასივებისა და აქტივების სწორად განსაზღვრაში მდგომარეობს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საფინანსო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებზე ღრმა და საინტერესო მეცნიერულ გამოკვლევებს წარმოადგენენ ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები.

ა.ინგოროვამ და გ.ცაავამ სახელმძღვანელოში „ფინანსური მენეჯმენტი” განიხილეს ფინანსური კონტროლინგის არსი. მათი მოსაზრებით „ფინანსური კონტროლინგი საწარმოს ფინანსური საქმიანობის ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მისი ფაქტიური შედეგების გათვალისწინებულისგან გადახრების

დროული გამოვლენისა და მისი ნორმალიზაციის უზრუნველყოფელი ოპერაციული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებით, საკონტროლო ქმედებების კონცენტრაციის უზრუნველყოფის კონტროლის სისტემას წარმოადგენს”.

კ. ბასილაია და ზ. ლიპარტია სახელმძღვანელოში „ფინანსური კონტროლი” აღნიშნავენ, რომ შემსრულებელთა საკონტროლო ანგარიშების ფორმების სტრუქტურამ უნდა ჩამოაყალიბოს საკონტროლო ინფორმაციის ეფექტიანი სისტემა. მათი მოსაზრებით, ფინანსური კონტროლინგის გამართული სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: კონტროლირებადი მაჩვენებლების ფაქტიურად მიღწეული მნიშვნელობა; კონტროლირებული მაჩვენებლების ფაქტიურად მიღწეული დონის გადახრის სიდიდის გაზომვა გათვალისწინებულთან შედარებით; გადახრის სიდიდის ფაქტიური დაშლა; უარყოფითი გადახრების მიზეზების ახსნა მთლიანად მაჩვენებლისათვის და მისი ცალკეული შემადგენლისათვის; იმ პირების გამოვლენა, ვინც დამნაშავეა მაჩვენებლის უარყოფით გადახრაში; შემსრულებლის სტანდარტული საკონტროლო ანგარიშის ფორმის დიფერენცირება მისი ბიუჯეტის შინაარსთან შესაბამისობაში.

ამერიკული პროფესორი გრეგორი მენქიუ მოიაზრება, როგორც ახალი კეინზიანელი ეკონომისტი. მის ნაშრომში „მცირე მენიუს ხარჯები და დიდი ბიზნეს ციკლები: მონოპოლიის მაკროეკონომიკური მოდელი”, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა, შედარებულია ფირმის სტიმული, შეეცვალა ფასები ნომინალური მთლიანი მოთხოვნილებების მიხედვით. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ მთლიანი მოთხოვნის გაფართოებამ შეიძლება გაზარდოს კეთილდღეობა ან შეამციროს იგი, მაგრამ კეთილდღეობის შემცირების მიუხედავად ფასები არასდროს არის ძალიან დაბალი.

მენქიუს, რეისისა და ჯასტინ ვოლფერების 2003 წელს ერთობლივად გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია მონაცემები ინფლაციური მოლოდინების შესახებ და გამოვლენილია არსებითი დისბალანსი მოსალოდნელი ინფლაციის შესახებ. ნაჩვენებია, რომ ეს დისბალანსი დროთა განმავლობაში იცვლება ინფლაციის, ინფლაციის ცვლილების აბსოლუტური მნიშვნელობისა და ფასის ფარდობითი

ცვალებადობით. მოდელი ასევე შეესაბამება ინფლაციის მოლოდინების სხვა დაფიქსირებულ გადახრებს სრული რაციონალობიდან, მათ შორის ავტოკორელირებული პროგნოზის ხარვეზები და არასაკმარისი მგრძნობელობა ბოლო მაკროეკონომიკური სიახლეების მიმართ, რაც მაკორეკონომიკური სტაბილიზაციისა და ქვეყნის მასშტაბით ფინანსების კონტროლის კუთხით რისკებს ქმნის.

მენჯიუს ერთ-ერთი ფართოდ ციტირებული ნაშრომი „A Contribution to the Empirics of Economic Growth”, რომელიც გამოაქვეყნა დევიდ რომერთან და დევიდ ვეილთან ერთად, მოიცავს ადამიანური კაპიტალის როლს და გონივრულად ხსნის საერთაშორისო განსხვავებებს ცხოვრების სტანდარტებში.

მენჯიუს მთავარი ნაშრომებია „ეკონომიკის პრინციპები” და „მაკროეკონომიკა”. სახელმძღვანელოში „მაკროეკონომიკა” მენჯიუს განხილული აქვს ფინანსების კონტროლის ძირითადი ასპექტები. მენჯიუს შეხედულების მიხედვით ფინანსური კონტროლის ასპექტები არსებითი და მნიშვნელოვანია, როგორც ფირმის მენეჯმენტის დონეზე ასევე, სახელმწიფო ფინანსების კონტროლის კუთხით.

ფინანსების კონტროლისთვის საწარმოში მნიშვნელოვანია ფინანსური მართვის შემდეგი საკითხები: საქმიანობის ფინანსური მხარის დაგეგმვა და პროგნოზირება; ფულადი სახსრების ინვესტირების პროცესში მიზანდასახული გადაწყვეტილებების მიღება; საწარმოს ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა სამსახურებთან თანამშრომლობა; საფინანსო ბაზარზე კაპიტალის მობილიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება. საწარმოს ხელმძღვანელობამ ასევე უნდა გაითვალისწინოს რისკის ხარისხი ახალი კაპიტალური დაბანდებების განხორციელების დროს და სახსრების შენატანებიც, რათა მაქსიმალურად იქნას არიდებული დანაკარგები და მიღწეული იქნას ეფექტიანობა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა ფინანსების მართვის სისტემა. ფინანსების მართვაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ჩართულია სახელმწიფო აუდიტის სამსახური, დამოუკიდებელი აუდიტორული ფინანსური კონტროლის სამსახურები და სხვა.

ფინანსური კონტროლი ხორციელდება შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვაზე. ფინანსური კონტროლი დამახასიათებელია როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის. მატერიალური წარმოების სფეროში კონტროლის არსი არის ის, რომ გაკონტროლდეს ძირითადი საწარმოო ფონდების და სხვადასხვა საბრუნავი საშუალებების წრებრუნვის ეფექტიანობა; ასევე, გამოვლინდეს პროდუქციაზე დანახარჯების მინიმიზაციის, არამწარმოებლური დანახარჯების აღმოფხვრის და მოგების გაზრდის შესაძლებლობები; უზრუნველყოფილი იქნეს მოგების რაციონალურად განაწილება და გამოყენება. თანამედროვე პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია:

1. საფინანსო სისტემის სხვადასხვა რგოლებში მიღებული შემოსავლებისა და ასევე გაწეული ხარჯების შემოწმება კანონიერების კუთხით;
2. საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციის სისრულის შესწავლა;
3. საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის სისწორის შემოწმება;
4. აღრიცხვა-ანგარიშგების სფეროში არსებული საკანონმდებლო აქტების დაცვის შემოწმება.

ფინანსური კონტროლის არსის დაყვანა მხოლოდ ფინანსურ სფეროში კანონიერების დაცვაზე არ არის სწორი. ფინანსურმა კონტროლმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ფინანსური რესურსების გამოყენებაზე და უზრუნველყოს ფინანსური სისტემის რგოლების ოპტიმალური ფუნქციონირებისადმი ხელის შეწყობა. ფინანსური კონტროლის დანიშნულებაა ფინანსური პოლიტიკის სრულყოფილად რეალიზაციისა და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა.

ფინანსური კონტროლის თავისებურებაა, საფინანსო სისტემაზე მისი უკუქმედების ფუნქცია, როდესაც მმართველი სისტემა იღებს ინფორმაციას სამართავი სისტემის მდგომარეობის შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის ღონისძიებებს მისი ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლი მოიცავს: ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში ოპტიმალურობის პრინციპის დაცვას, საბიუჯეტო კონტროლს, საბიუჯეტო დაწესებულებების შრომით, მატერიალურ და

ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე ზედამხედველობას, საგადასახადო ურთიერთობათა კონტროლს.

ფინანსური კონტროლის საგანს წარმოადგენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

კონტროლის მეთოდები კონტროლის ფუნქციების განხორციელების მიზნით განსაზღვრული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას გულისხმობს, რის საფუძველზეც დგინდება მატერიალური რესურსების ხარჯვის კანონიერება და მიზანშეწონილობა.

ტერმინი „კონტროლი“ ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს ზედამხედველობას. ასევე, მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვით გამოიყენება ტერმინები „აუდიტი“ და „რევიზია“, თუმცა ეს არ არის სწორი, რადგან მათ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ.

ჩვენ ვეთანხმებით პროფესორ ვ. მოსიაშვილის შეხედულებებს „კონტროლის“, „აუდიტის“ და „რევიზიის“ განმარტებასთან მიმართებაში.

კონტროლი - ეკონომიკური ობიექტისა და პროცესების მართვის შემადგენელი ნაწილია, რაც მდგომარეობს ობიექტების დაკვირვებაში იმ მიზნით, რომ შემოწმდეს რამდენად შეესაბამება ობიექტის მდგომარეობა სასურველ და აუცილებელ მდგომარეობას, რაც გათვალისწინებულია კანონებით, ნორმატიული საკანონმდებლო აქტებით, გეგმებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, დადგენილებებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

რევიზია - საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, თანამდებობის პირების სამსახურებრივი ქმედებების, ჩანაწერების შემოწმებაა რწმუნებული ორგანოების მიერ, რათა გაკონტროლდეს კანონების და ინსტრუქციების დაცვა, დარღვევების არ არსებობა და დოკუმენტების ნამდვილობა.

აუდიტი - საწარმოების, ორგანიზაციების, ასოციაციების, ფონდების, კავშირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო კონტროლი, ფინანსური ანალიზი და

რევიზიაა, რომელსაც დამოუკიდებელი სამსახურების კვალიფიციური სპეციალისტები ატარებენ.<sup>11</sup>

საფინანსო კონტროლი მოიცავს ქვეყნის ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, ფინანსურ საქმიანობაზე განხორციელებულ კონტროლს, სპეციალურად შექმნილი დაწესებულებების მიერ.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების ფორმა სწორედ ფინანსური კონტროლია.

იქიდან გამომდინარე, რომ საფინანსო სისტემა მოიცავს ყველა დონის ფულადი ფონდების ფორმირების პროცესს, ფინანსური კონტროლი წარმოადგენს მრავალდონიან პროცესს. ფინანსური კონტროლის კლასიფიცირება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ჩატარების ვადების, კონტროლის სუბიექტების, საფინანსო საქმიანობის სფეროს, ჩატარების ფორმის, ჩატარების მეთოდების მიხედვით.

ჩატარების ვადების მიხედვით გამოყოფენ წინასწარ, მიმდინარე და შემდგომ კონტროლს.

კონტროლის სუბიექტების მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახის შემოწმება, მაგალითად: ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლი, აუდიტორული კონტროლი, შიდა სამეურნეო კონტროლი, უწყებრივი კონტროლი.

ფინანსური საქმიანობის სფეროს მიხედვით ხორციელდება საბიუჯეტო, საგადასახადო, სადაზღვევო, საინვესტიციო და საბანკო კონტროლი.

ჩატარების ფორმის მიხედვით განასხვავებენ გარე და შიდა კონტროლს.

ჩატარების მეთოდების მიხედვით არსებობს შემოწმება, ზედამხედველობა, ფინანსური საქმიანობის ანალიზი, რევიზია და აუდიტი.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი. შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი ტარდება საწარმოების მიერ, რათა შეფასებულ იქნას შიდა ოპერაციების სანდოობა. შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი იყოფა ოპერატიულ და სტრატეგიულ კონტროლებად.

<sup>11</sup> ვ. მოსიაშვილი., მ. ჭელიძე. ფინანსები, თბ., 2016, გვ. 377.

ოპერატიული შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი ხორციელდება საბუღალტრო სამსახურის მიერ ყოველდღიურად აღრიცხვის სწორი ორგანიზაციისა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე კონტროლის მეშვეობით.

სტრატეგიული შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლის საფუძველზე ხორციელდება ფინანსური რესურსების გამოყენებისა და კაპიტალდაბანდებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.


საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ფართოდ გავრცელდა კომპანიებსა და ფირმებში შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც „კონტროლინგის“ სახელით მოიხსენიებენ. საწარმოებში კონტროლინგის საერთო სისტემაში ცალკე გამოიყოფა ფინანსური კონტროლინგი.

ფინანსური კონტროლინგი მმართველობითი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ურთიერთკავშირის კოორდინაცია, ინფორმაციული ბაზის ფორმირება ფინანსურ ანალიზს, ფინანსურ დაგეგმვასა და ასევე, შიდა ფინანსურ კონტროლს შორის, რომელიც საწარმოს ფაქტიური შედეგების გათვალისწინებულიდან გადახრის დროულ გამოვლენას და სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.

ფინანსების კონტროლის ფუნქციებიდან აშკარად ჩანს, რომ ფინანსური კონტროლინგი მარტო შიდა კონტროლის განხორციელებას არ გულისხმობს და დაწესებულებაში ინფორმაციული ბაზის ფორმირებას, ფინანსურ ანალიზს და შიდა ფინანსურ კონტროლს შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის სისტემას წარმოადგენს.

შიდა ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია ძირითადად 3 ფორმით ხორციელდება: წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი ფინანსური კონტროლი (იხ. დიაგრამა N 3). აღნიშნული ფორმები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და თანმიმდევრობით ხორციელდება.

**დიაგრამა N 3. შიდა ფინანსური კონტროლის ფორმები**  
**შიდა ფინანსური კონტროლი**



წინასწარი

მიმდინარე

შემდგომი

ფინანსური

ფინანსური

ფინანსური

კონტროლი

კონტროლი

კონტროლი

წყარო: ფინანსური კონტროლი - ბასილაია კ., ლიპარტია ზ. თბ., 2012

წინასწარი ფინანსური კონტროლი ხორციელდება ფინანსური გეგმების და ბიუჯეტების დაგეგმვის ეტაპზე, რა დროსაც ხდება ცალკეული მაჩვენებლების დასაბუთებულობის და ჩატარებული გათვლების სიზუსტის შემოწმება. წინასწარი კონტროლი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების თავიდან აცილებასა და სახსრების არარაციონალურად გამოყენების აღმოფხვრას ემსახურება. წინასწარი კონტროლი ზემდგომი ორგანოების მიერ ხორციელდება, რომელნიც მოწოდებულნი არიან მაქსიმალურად შეამცირონ არასწორი ქმედებების განხორციელების რისკი. წინასწარ ფინანსურ კონტროლს ატარებენ ფინანსური ოპერაციების განხორციელებამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური დარღვევები.

მიმდინარე ფინანსური კონტროლი, სხვადასხვა დონის ფინანსური გეგმებისა და ბიუჯეტების პროცესში მიმდინარე ღონისძიებების გატარების მიზნით ტარდება, დაგეგმილი მაჩვენებლების შესასრულებლად. მიმდინარე კონტროლი, რომელსაც ოპერაციული კონტროლის სახელითაც მოიხსენიებენ ყოველდღიურად ხორციელდება ფინანსური დარღვევების თვიდან აცილების მიზნით. მიმდინარე კონტროლის ობიექტი ფულადი სახსრების გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაა. მიმდინარე ანუ ოპერატიული კონტროლი ხორციელდება ფინანსური ოპერაციების განხორციელების დროს.

შემდგომი ფინანსური კონტროლი, ფინანსური საქმიანობის შედეგების შეჯამების დროს ხორციელდება. შემდგომი კონტროლი გარე და შიდა კონტროლის სახით ხორციელდება. შემდგომი კონტროლი ანგარიშგებისა და ბალანსის ანალიზის, შემოწმებისა და რევიზიის ჩატარების გზით ხორციელდება. დასკვნითი ფინანსური კონტროლი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება, რათა გამოვლინდეს კონკრეტული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც წინასწარი და მიმდინარე კონტროლის განხორციელებისას იყო დაშვებული.

კონტროლის როლი და ასევე, კავშირი მენეჯმენტის სხვა ფუნქციებთან მენეჯერული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებისას ვლინდება. კონტროლის პროცესში ვლინდება მმართველობითი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გადახრები, მათი გამომწვევი მიზეზები და ისახება შემდგომში გასატარებელი ღონისძიებები არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

კონტროლის ფუნქციები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. შესამოწმებელი ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის განსაზღვრა და ანალიზი;
2. ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან შედარება;
3. კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობის შეფასება, მათ საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების დადგენა და შეფასება;
4. გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა შემუშავება, რათა ობიექტის მომავალ საქმიანობაში არ განმეორდეს და თავიდან იქნეს აცილებული ადრე დაშვებული ხარვეზები.<sup>12</sup>

ფინანსური მონიტორინგის როლი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში განპირობებულია სამეწარმეო აქტივობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობით, რის საფუძველზეც ქვეყნის მატერიალური და ფინანსური დოკუმენტაციების ეფექტიანი გამოყენების პროცედურებზე კონტროლის მნიშვნელობა იზრდება.

<sup>12</sup> კ. ბასილაია., ზ. ლიპარტია. ფინანსური კონტროლი, თბ., 2012, გვ. 53.

ყველაზე არსებითი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს შიდა კონტროლის ადეკვატურობის უზრუნველყოფა, შეიძლება იყოს:

1. ბიზნეს პროცესების მუდმივი სრულყოფის (ოპტიმიზაციის) აუცილებლობა;
2. ორგანიზაციის რისკისადმი დაქვემდებარების ხარისხის ცვლილება;
3. ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნილებების ცვლილება;
4. სუსტი წერტილების აღმოჩენა და საკანონმდებლო ცვლილებები;
5. ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან ნდობის გაღრმავების აუცილებლობა;
6. კონტროლის ღონისძიებების არასაკმარისი გამჭვირვალობა;
7. მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის რეკომენდაციები და სხვა.

განვითარებული ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მიწოდებული და ორგანიზაციაში აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, პროცედურების, მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მმართველობას გარკვეული ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ეხმარება.

ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას, რათა მიღწეულ იქნეს დამოუკიდებელი, გამჭვირვალე, ობიექტური და საჯარო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანი როლი ფინანსური პოლიტიკის წარმართვაში სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭება. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტები, მათი კომპეტენციის მასშტაბები, თუმცა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მთავარი განმახორციელებელი სტრუქტურა სახელმწიფო აუდიტის სამსახურია.

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის კონტროლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა და სახელმწიფოს ერთიანი ფინანსური სტანდარტების განსაზღვრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფინანსური კონტროლი არა მარტო საბიუჯეტო სახსრების მიღება-გამოყენებას

უნდა მეთვალყურეობდეს, არამედ მისი მეშვეობით უნდა განხორციელდეს საფინანსო დარღვევების აღკვეთისათვის, შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საქართველოში განსაზღვრულია კონსტიტუციითა და საბიუჯეტო კოდექსით.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი შესაძლებელია იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი და უწყებრივი.

საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდება და მისი ძირითადი მიზანი საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებაა. საქართველოში საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის მთავარი განმახორციელებელი ორგანოებია პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ფინანსების მართვაში მთავარი როლი ფინანსური კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოებს აკისრია, რომელიც დამოუკიდებელი არიან მთავრობისაგან და ანგარიშს აბარებენ პარლამენტს. მაგალითად, აშშ-ში ასეთია მთავარი საკონტროლო სამმართველო, დიდ ბრიტანეთში - სახელმწიფო კონტროლის სამმართველო, საფრანგეთში - საანგარიშო პალატა, გერმანიაში - ფედერალური საანგარიშო პალატა და ა.შ.

საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების როლი.

საბანკო კონტროლის პროცესის ძირითადი განმახორციელებელი დაწესებულება ცენტრალური ბანკია, რომელიც ახორციელებს, როგორც საზედამხედველო საქმიანობას, ასევე ადგენს სავალდებულო ლიმიტებსა და ნორმატივებს. საბანკო კონტროლი საფინანსო საქმიანობის შემოწმების ფორმაა, რომელიც ხორციელდება ფულადი ოპერაციების, დაკრედიტების და სხვა საბანკო ოპერაციების მიმდინარეობისას.

საბანკო საქმიანობის კონტროლი იყოფა გარე და შიდა კონტროლად. გარე კონტროლის განხორციელება ეროვნული ბანკისა და გარე აუდიტორების უფლებამოსილებაა. შიდა კონტროლის ორგანიზაცია ხდება თვით ბანკის მიერ. სწორედ შიდა საბანკო კონტროლია ბანკის მენეჯმენტის ნაწილი. მის ფუნქციებს ახორციელებენ

მენეჯერები, მათი დაქვემდებარების შესაბამისად, აგრეთვე შიდა აუდიტის ორგანოები. შიდა საბანკო კონტროლის მთავარ დანიშნულებას ბანკის საქმიანობაში ნაკლოვანებების და უარყოფითი ტენდენციების გამომჯღავნების ოპერატიული სისტემის შექმნა წარმოადგენს, მათი აღმოფხვრის ღონისძიებების მიღების მიზნით. შიდა საბანკო კონტროლი უკავშირდება გარე კონტროლის და ეროვნული ბანკის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, შიდა საბანკო ინსტრუქციების და წესების დაცვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო მენეჯმენტის შინაარსი კონკრეტულ გამოხატულებას მართვის სფეროს მუშაობაში პოულობს.<sup>13</sup>

საქართველოში ბოლო პერიოდში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბიუჯეტო პროცესში დაინერგა სახაზინო სისტემა, რის საფუძველზეც ბიუჯეტის შესრულების შემოწმებისას ახალი მეთოდების დამკვიდრება განხორციელდა.

საქართველოში ფინანსური კონტროლის რეფორმა აუცილებელი მოთხოვნაა და ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ობიექტურად განხორციელდეს ფინანსური კონტროლის სისტემაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება. ყურადსალებია ის ფაქტი, რომ რაოდენ წარმატებულიც არ უნდა იყოს უცხოეთის გამოცდილება, მისი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში პირდაპირ გადმოტანა, სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების, ტრადიციებისა და სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, დაუშვებელია.

სახელმწიფო კონტროლის სისტემაში შიდა ფინანსური კონტროლის მეთოდოლოგიური სრულყოფით მიღწეული იქნება საჯარო დაწესებულებებში საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა და აუდიტორული საქმიანობის სრულყოფის სტრატეგიის შემუშავება.

<sup>13</sup> ც. ოქრუაშვილი, კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ., 2009, გვ. 21.

## **თავი 2. შიდა სამეურნეო და საბანკო ფინანსური კონტროლი**

### **2.1. შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი**

შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი ნებისმიერი კომერციული საწარმოსათვის აუცილებელია. შიდა ფინანსური კონტროლის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად, მიიღწევა კომპანიის ხარჯების მინიმიზაცია და მაქსიმალური მომგებიანობა.

კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია შიდა საფირმო კონტროლი, რომელიც მართვის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს.

აუდიტის სტანდარტები აუდიტორებისგან ითხოვს პროცედურების იმგვარად განხორციელებას, რომ ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმისას მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სინამდვილესთან აზრის შეუსაბამობის რისკი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სწორად შედგენილ ანგარიშებს. ჯამური აუდიტორული რისკი თითოეულ ანგარიშთან დაკავშირებული არსებული შემოწმების მიმართ რისკების კომბინაციას წარმოადგენს. უმეტესად აუდიტორულ რისკს განიხილავენ ბუღალტრულ ანგარიშებთან მიმართებაში.

აუდიტორულ რისკს ძირითადად სამი შემადგენელი ელემენტი გააჩნია: თანდაყოლილი რისკი, კონტროლის რისკი და შეუმჩნევლობის რისკი.

თანდაყოლილი რისკი მოიცავს ცალკეულ ანგარიშებში არსებული უზუსტობის და შეცდომების არსებობის აღბათობას, ხოლო კონტროლის რისკი არის აღბათობა

იმისა, რომ კონტროლის სტრუქტურები ვერ შეძლებენ ხარვეზების დროულად აღმოფხვრას.

შეუმჩნევლობის რისკი გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი უზუსტობები აღმოუჩენელი დარჩება აუდიტორული შემოწმების დროს.

რისკის შეფასებისათვის აუდიტორს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კლიენტის შესახებ. აუდიტორი კლიენტის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს სხვადასხვა წყაროებიდან, მაგალითად: სტატისტიკური მონაცემები, ჟურნალები, კლიენტის დოკუმენტები, აუდიტორული შემოწმების ანგარიშები, საწარმოს საქმიანობის შესახებ ანგარიშები და სხვა.

აუდიტორის მიერ წარმოდგენილი დასკვნები, განსაზღვრავს აუდიტის პროცედურების ხასიათს, შინაარსს და მასშტაბს. აუდიტორმა ისეთი სტრატეგია უნდა შეარჩიოს, რომელიც შეამცირებს ალბათობას იმისას, რომ დოკუმენტაციაში ცდომილებათა არსებობის შემთხვევაში აუდიტორის აზრი შესაცვლელი არ იქნება.

აუდიტორი რისკის შეფასებისას იყენებს საკონტროლო ტესტებს. თუ ასეთი შემოწმება დადებით შედეგს იძლევა, აუდიტორი ამცირებს შემოწმებისთვის დაგეგმილი მოთხოვნების მოცულობას. შემდეგ აუდიტორი იღებს გადაწყვეტილებას, საჭიროა თუ არა დამატებითი საკონტროლო შემოწმებები.

კონტროლის ტესტების ხუთი ტიპია: შიდა კონტროლის სისტემის შედეგების აღქმის პროცედურები, საკონტროლო მომენტების ტესტები, სამეურნეო აქტივობების არსებითობის შემოწმება, ანალიტიკური პროცედურები და სალდოს ელემენტების არსებითობის შემოწმება.

კონტროლის ტესტების მეშვეობით აუდიტორები გარანტირებულნი არიან, რომ დაწესებული კონტროლის პოლიტიკის და პროცედურების პრაქტიკაში გამოყენებით მიიღწევა ეფექტიანობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონტროლის ტესტები თავისთავად არ მეტყველებს უზუსტობის არსებობაზე, მირითადი ტესტების მეშვეობით კი ვლინდება, ფინანსური ანგარიშების კონკრეტულ თანხებში არსებული უზუსტობები.

აუდიტორის მიერ შიდა რისკისა და კონტროლის რისკის შეფასება, ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს შემოწმების გეგმაზე. ასევე, მნიშვნელოვანი

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს აუდიტორული შემოწმების გეგმაზე, არის საკონტროლო შემოწმებების ჩატარების ღირებულება, არსებითობაზე შემოწმების პროცედურების ჩატარების ღირებულებასთან შედარებით. დანახარჯები მოიცავს, როგორც აუდიტორის მიერ დახარჯულ საათებს, ასევე, პერსონალის გამოყენებას, კლიენტის მხრიდან მხარდაჭერის ხარისხს და სხვა. 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვანია კომპიუტერული რესურსების გამოყენებაც, პირველ რიგში, დანახარჯების შემცირების მიზნით.

წინასწარი გადაწყვეტილებები სპეციალური პროცედურების ხასიათის, ხანგრძლივობისა და მოცულობის შესახებ ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს შემოწმების გეგმაზე. გადაწყვეტილების მიღებამ იმის თაობაზე, რომ უარყოფითი მტკიცებების გამოყენება უმჯობესია, დადებითი მტკიცებების გამოყენებასთან შედარებით, შესაძლოა გამოიწვიოს დებიტორთა ანგარიშების უფრო დიდი რიცხვი, რადგანაც არდადებული უარყოფითი მტკიცებები უფრო მეტად ნაკლებად დამაჯერებელია, ვიდრე დადებითი მტკიცებები.

კლიენტის მოლოდინს აუდიტორის მიერ კონტროლის სტრუქტურის შესწავლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია შემოწმების გეგმაზე. აუდიტორმა უნდა იცოდეს, რომ კლიენტის თხოვნის შედეგად არ წარმოიშობა დამატებითი პასუხისმგებლობა.

აუდიტორის უნარი, მიიღოს დამატებითი მტკიცებები ბუღალტრული სისტემის გარეთ ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორული შემოწმების გეგმაზე. აღნიშნული გულისხმობს იმ ფაქტს, რომ აუდიტორმა ინფორმაცია შესაძლოა მიიღოს პერსონალისაგან, რომელიც ჩართულია კონკრეტულ საქმიანობაში, ან რომელიც ფლობს შესაბამის ინფორმაციას.

როდესაც აუდიტორი დაადგენს, რომ არსებული პირობები ხელსაყრელია კონტროლის პროცედურების განსახორციელებლად, ეს ნიშნავს, რომ კონტროლის სტრუქტურის ღონისძიებებისა და პროცედურების არაეფექტურობის რისკი ნაკლებია. მსგავსი დასკვნა აუდიტორს დაეხმარება განსაზღვროს შემოწმების სხვა პროცედურების რეალიზაციის თავისებურებები.

დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემის შეფასებისათვის, ძირითადი ფაქტორი მისი ადეკვატურობაა, ანუ რამდენად ზუსტად უზრუნველყოფს შიდა კონტროლი ორგანიზაციის მიზნების მიღწევას. დაწესებულებები უნდა ცდილობდნენ აკონტროლონ შიდა კონტროლის ეფექტიანობა.

დახვეწილი ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა წარმოგვიდგება, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მოწოდებული და მენეჯერების მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, ღონისძიებების და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას.

ას 315 აუდიტორებს სთავაზობს COSO-ზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას. COSO მოდელის შესაბამისად, შიდა კონტროლის პროცესს ახორციელებს დირექტორთა საბჭო, მენეჯერები და სხვა კადრები, რათა გარანტირებულ იქნეს დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევა. აღნიშნული მიზნებია:

- ა) საქმიანობის ეფექტიანობა და ეფექტურობა;
- ბ) ფინანსური ანგარიშგების სანდოობა;
- გ) კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობა.

აღნიშნული სამგანზომილებიანი მოდელი ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, მოდელი თავის სპეციფიკას მოარგოს.

COSO მოდელი გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შეფასებას ხუთი ელემენტის მიხედვით:

ა) კონტროლისა და ადმინისტრირების გარემო - აღნიშნული ელემენტი ფოკუსირებულია ისეთ ადამიანურ ფაქტორებზე როგორიცაა აღიარებული ღირებულებები, დამოკიდებულება მონიტორინგის მექანიზმებთან, მენეჯმენტის სტილი, ურთიერთობა კონტროლის მექანიზმებთან.

ბ) კონტროლისა და ადმინისტრირების პროცედურები - დეკლარირებული და ფაქტობრივად არსებული კონტროლის პროცედურების განსხვავების შეფასება. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დეკლარირებული და ფაქტობრივი კონტროლის ეტაპები. აღნიშნული პროცედურები შესაძლებელია იყოს პრევენციული, აღმომჩენი და მაკორექტირებელი.

გ) რისკის მართვა - ხელის შეწყობა მენეჯმენტისათვის, რათა დროულად მოხდეს შესაფერისი კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და აღმოფხვრილ იქნას ის რისკები, რომლებიც ხელს უშლიან დაწესებულებას დასახული მიზნების მიღწევაში. რისკის მართვის მეშვეობით დროულად უნდა განხორციელდეს კონტროლის საჭირო ღონისძიებები. სწორი კონტროლის მართვის პროცედურები გულისხმობს ყველა შესაძლებლობის რეალიზაციას.

დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია - მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადრესატს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია, რათა მინიმუმადე იქნეს შემცირებული მცდარი მენეჯერული გადაწყვეტილებები. რაც უფრო დროულად და სრულად ხდება ინფორმაციის მიწოდება ადრესატისათვის, მით უფრო მცირდება არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკი. აუცილებელია ორგანიზაციაში არსებობდეს მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის, შეგროვების და გადაცემის დამოუკიდებელი მექანიზმი.

ე) მონიტორინგი - დირექტორთა საბჭო დარწმუნებული უნდა იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობაში. ზოგადად, დაწესებულებაში მონიტორინგის ფუნქციას ახორციელებს შიდა აუდიტის ერთეული, რომელიც ახორციელებს შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისუსტეების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ შიდა კონტროლის სისტემა შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიზნებთან. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას აუდიტორები აწვდიან რეკომენდაციებს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

როგორც უურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს 2015 წლის N 4 ნომერში ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ციური ოქრუაშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში აღვნიშნავთ, COSO-ს წარმოდგენილი ხუთკომპონენტიანი მოდელი წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში. 2004 წელს COSO-ს დავალებით აუდიტორულმა კომპანია PricewaterhouseCoopers-მა გამოაქვეყნა R-მოდელი, რომლის შესაბამისადაც COSO-ს სამ მიზანს და ხუთ ელემენტს დაემატა 1 ახალი მიზანი - სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია და 3 ახალი კომპონენტი:

1. მიზნის განსაზღვრა - რისკის აღებაზე მზადყოფნა, სტრატეგიის განსაზღვრა;
2. მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება - მეთოდოლოგისა და ტექნიკის შემუშავება, რისკების და შესაძლებლობების განსაზღვრა, მოვლენების ურთიერთკავშირი;
3. რისკზე რეაქცია - რისკის მიმართ რეაგირებისათვის ღონისძიებების ჩამოყალიბება.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, შესაძლებელია სტრატეგიული და ოპერატიული ღონისძიებების დაკავშირება შესაბამის რისკებთან, რაც საშუალებას იძლევა, რომ მენეჯერებმა დროულად მოახერხონ რისკის იდენტიფიკაცია.

აუდიტორული საქმიანობის სფეროს ერთ-ერთი ნაწილია შიდა აუდიტის სისტემა, რომლის ამოცანასაც საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის დახვეწილად მუშაობის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება და შეფასება წარმოადგენს.

შიდა აუდიტი მოიცავს, როგორც საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობას ასევე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციებია: ფინანსური და საწარმოო ინფორმაციის სანდოობის შემოწმება, კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის შეფასება, გადამოწმდეს აქტივების შენახვის და დაცვის წესები, გაკონტროლდეს რესურსების ხარჯვის ეკონომიურობა, გამოვლინდეს სიმძლავრეების არასრული დატვირთვის, ზედმეტი დანახარჯების არსებობა, პროგრამების შემოწმება იმის გასარკვევად, რომ დადგინდეს მიმდინარეობს თუ არა ოპერაციები და პროგრამები გეგმის შესაბამისად.

სამეწარმეო პრაქტიკაში კონტროლის ერთ-ერთ კონცეფციად შიდა აუდიტის სისტემაა მიჩნეული. შიდა კონტროლის სისტემაში მოიაზრება ის პროცედურები, რომლებიც ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, დასახული ამოცანების მისაღწევად.

აუდიტორს არ ევალება სანქციების განხორციელება ხელმძღვანელობის წინააღმდეგ დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში. აუდიტორი ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების ფაქტზე წერს უარყოფით დასკვნას.

რესურსების ეფექტურად მართვისათვის, მნიშვნელოვანია ფინანსური მართვის მექანიზმის დანერგვა და შემდგომ მასზე კონტროლის დაწესება.

შიდა კონტროლის სისტემაში მოიაზრება ის პროცედურები, რომლებიც დადგენილია ხელმძღვანელობის მიერ.

ორგანიზაციაში შიდა აუდიტი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სახით:

ა) ორგანიზაციის შიგნით არსებული შიდა აუდიტის სუბიექტის სახით, რომელსაც ევალება საწარმოს მუშაობაზე კონტროლი და შემდეგ დასკვნის წარდგენა;

ბ) შიდა აუდიტის განხორციელება, ინდივიდუალურ აუდიტორთან ან აუდიტორულ ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმების გზით. ამ შემთხვევაში აუდიტორები ახორციელებენ სამუშაოების ნაწილს, რაც შიდა კონტროლის პროცედურებით არის გათვალისწინებული;

გ) ორგანიზაციები, რომლებიც მცირე ზომისაა და ვერ ახერხებენ შიდა აუდიტის ერთეულის ჩამოყალიბებას, მიმართავენ როტაციის მეთოდს. ამ შემთხვევაში, არც ერთი კადრი დამოუკიდებლად არ წარმართავს ოპერაციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ხდება თანამშრომელთა გადანაცვლებები. თუმცა, აღნიშნული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებას.

შიდა კონტროლის სისტემა საწარმოს მართვის სისტემის ნაწილია. ფინანსური კონტროლინგის ძირითადი ფუნქციებია: ფინანსური ოპერაციების მიმდინარეობაზე დაკვირვება, ფინანსური საქმიანობის მიღებული შედეგების დაგეგმილისაგან გადახრის ხარისხის ანალიზი, ფინანსური განვითარების მაჩვენებლების კორექტირება პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით.

ქვეყნებში, სადაც ხორციელდება აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო დონის დოკუმენტების მომზადება, ფუნქციონირებს სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტები.

თუ წინა პერიოდებში, შიდა აუდიტი მხოლოდ ფინანსური ოპერაციების კონტროლს გულისხმობდა, ამჟამად იგი მოიცავს ოპერატიული კონტროლის ყველა საშუალებას და მისი სარგებელი პრობლემების გამოსწორებაში მდგომარეობს.

მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტორმა აუდიტის ჩატარებისას გაითვალისწინოს ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ცოდნა, ადამიანებთან დახვეწილი კომუნიკაცია, პროფესიული დამოუკიდებლობა, ქცევის ნორმების დაცვა, წესებისა და პროცედურების დაცვა.

დაწესებულების ხელმძღვანელობას უნდა ესმოდეს, რომ შიდა აუდიტის სუბიექტის ეფექტიანი ფუნქციონირება მისი პასუხისმგებლობაა და ამისათვის მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მის მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა აუდიტი დაწესებულების კონტროლის სისტემის განუყოფელი ნაწილია, მისი მიზნები და ამოცანები მნიშვნელოვნად განსხვავდება გარე აუდიტისაგან. შიდა აუდიტის სამუშაო პროგრამის შედგენა ხდება ხელმძღვანელების მიერ, ხოლო გარე აუდიტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს შესამოწმებელ საკითხებს. შიდა აუდიტის მიზანია მენეჯერებს გაუწიოს დახმარება კონტროლის განხორციელებისას, ხოლო გარე აუდიტის მიზანია სუბიექტის საქმიანობაზე მიუკერძოებელი დასკვნის შედგენა.

გარე აუდიტორმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა გამოხატოს აზრი შიდა აუდიტის კონტროლის საქმიანობასთან დაკავშირებით. გარე აუდიტორმა სამუშაო დოკუმენტაციაში უნდა ასახოს დასკვნები, რომელიც შიდა აუდიტორის სამუშაოს ეხება. გარე აუდიტორს, ხელმძღვანელობამ და შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია რაც შემოწმების ჩასატარებლად არის საჭირო. იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორი ვერ მოიპოვებს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ესაჭიროება შემოწმებისათვის, ამ შემთხვევაში აუდიტორი განიხილავს პირობითობის საკითხს.

ასს მოითხოვს, რომ გარე აუდიტორი კარგად გაერკევს შიდა აუდიტის საქმიანობაში, შიდა აუდიტორთა მიერ წარდგენილ დასკვნებში, რათა გაუადვილდეს საქმიანობა და ეფექტურად ჩაატაროს აუდიტი. გარე აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს დასკვნები შიდა აუდიტის სამუშაოს შესახებ.

თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ დამკვეთის კონტროლის პროცედურები სრულყოფილად მუშაობს, მას შეუძლია აქტიურად გამოიყენოს დაწესებულების შიდა აუდიტორთა მიერ მომზადებული დოკუმენტაცია. აუდიტორმა ასევე, უნდა განიხილოს საკმარისია თუ არა მისთვის მიწოდებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია აუდიტის სრულყოფილად ჩასატარებლად და განსაზღვროს, რა პროცედურების ჩატარება სჭირდება, საჭირო დოკუმენტაციის შესაგროვებლად.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესაფასებლად, მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ადეკვატურობა. შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა კავშირშია ორგანიზაციის მიზნებსა და რისკებთან. შიდა კონტროლის ადეკვატურობას უზრუნველყოფს: ბიზნეს პროცესების სრულყოფის აუცილებლობა, ორგანიზაციის რისკისადმი დაქვემდებარების ხარისხი, სუსტი მხარეების აღმოჩენა, ცვლილებები კანონმდებლობაში, აუდიტორების რეკომენდაციები, მომხმარებლებისა და მომწოდებლების რეკომენდაციები.

სუვერენული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია საფინანსო სისტემა, რომლის სრულყოფილი მუშაობაც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის მდგრადობას. საფინანსო სისტემის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში პროგრესის დონის მაჩვენებლად გვევლინება ადამიანის განვითარების ინდექსი.

კორპორაციული ფინანსების მთავარი ამოცანა ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფაა.

კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგება, ემყარება სხვადასხვა პრინციპებს, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

ფინანსური კონტროლინგის სისტემის წარმართვა ხორციელდება, კორპორაციის მიერ შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მეშვეობით. იმისათვის, რომ შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი იყოს ეფექტური, უნდა ატარებდეს სტრატეგიულ ხასიათს.

მნიშვენლოვანია განვიხილოთ შიდა ფინანსური კონტროლის მრავალფუნქციონალურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა განხორციელდეს

კონტროლი არა მარტო საწარმოში, არამედ მისი ცალკეული ცენტრების ჭრილშიც და უზრუნველყოს, ურთიერთკავშირი ფინანსურ მაჩვენებლებსა და შიდა სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლებს შორის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, შიდა სამეურნეო კონტროლინგის სისტემაში არის ორიენტირებულობა რაოდენობრივ სტანდარტებზე. საგრძნობლად იზრდება კონტროლის ეფექტიანობა, როდესაც კონტროლირებადი სტანდარტები გამოხატულია რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ანუ ხარისხობრივი ასპექტები წარმოდგენილია რაოდენობრივი სტანდარტების სისტემაში.

ფინანსური კონტროლინგის მეთოდების ფინანსური ანალიზისა და ფინანსური დაგეგმვის მეთოდების სპეციფიკასთან შესაბამისობა, უზრუნველყოფს გამართული კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას.

კონტროლის სისტემის დროულობა გულისხმობს არა მაკონტროლებელი ფუნქციების მაღალ სიჩქარეს, არამედ ქმედებების შესაბამისობას ოპერაციების განხორციელებისას, რაც მჭიდროდ უკავშირდება ფინანსური საქმიანობის შედეგების ფორმირებას. დროული ფინანსური კონტროლი საშუალებას იძლევა აცილებულ იქნას გადახრები მანამ, სანამ ისინი სერიოზულ ზიანს მიაყენებენ დაწესებულებას.

კონტროლის სისტემა უნდა აიგოს რაც შეიძლება მარტივი ფორმით, რათა მომავალში მენეჯერების ნაკლები ძალისხმევა იყოს საჭირო. ფინანსური კონტროლის სისტემის აგების სირთულე, მოითხოვს ინფორმაციის ნაკადის გაზრდას მისი განხორციელებისათვის.


კონტროლის სისტემის ეკონომიურობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის მთლიანი დანახარჯების მოცულობაზე. ხარჯების მოცულობა, რომელიც გაიწევა კონტროლის განხორციელებისას, არ უნდა აჭარბებდეს იმ ეფექტს, რომელიც მიიღწევა მისი განხორციელების შედეგად.

ჩვენს მიერ გამოკითხულ იქნა საქართველოს საწარმოების ბუღალტრები, ფინანსური მენეჯერები და დირექტორები, მათ საწარმოებში შიდა კონტროლის სუბიექტების არსებობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ იქნა, საქართველოს ყველა რეგიონის, 200-მდე საწარმოს წარმომადგენელი. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში -

კომპანიებში სადაც ხართ დასაქმებულნი, ფუნქციონირებს თუ არა შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეული (შიდა აუდიტის სამმართველო/სამსახური, შიდა კონტროლის სამსახური/დეპარტამენტი ან სხვა მაკონტროლებელი ერთეული)?

**დიაგრამა N 4. გამოკითხვა - კომპანიებში სადაც ხართ დასაქმებულნი, ფუნქციონირებს თუ არა შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეული?**

## გამოკითხვა - კომპანიებში სადაც ხართ დასაქმებულნი, ფუნქციონირებს თუ არა შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეული?



■ კომპანიებში, სადაც დასაქმებულნი არიან საერთოდ არ ფუნქციონირებს შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები

■ დასაქმებულნი არიან რამოდენიმე კომპანიაში და აღნიშნული კომპანიების მხოლოდ 10%-ში ფუნქციონირებს შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები

■ კომპანიებში, სადაც დასაქმებულნი არიან ფუნქციონირებს შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები, თუმცა მათი საქმიანობა ძირითადად ზედაპირული საკითხების შემოწმებით შემოიფარგლება, რაც შორს არის შიდა აუდიტორული პროცედურებისაგან

■ კომპანიებში, სადაც დასაქმებულნი არიან შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები აქტიურად არიან ჩართულნი სამუშაო პროცესში

წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით  
დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა 45%  
აღნიშნავს, რომ მათ საწარმოებში საერთოდ არ ფუნქციონირებს შიდა კონტროლის  
განმახორციელებელი ერთეულები. ასევე, 45% გვპასუხობს, რომ დასაქმებულნი არიან

რამოდენიმე კომპანიაში და აღნიშნული კომპანიების მხოლოდ 10%-ში ფუნქციონირებს, შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები. გამოკითხულთა 4% აღნიშნავს, რომ მათ კომპანიებში ფუნქციონირებს შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები, თუმცა მათი საქმიანობა ძირითადად ზედაპირული საკითხების შემოწმებით შემოიფარგლება, რაც შორს არის შიდა აუდიტორული პროცედურებისაგან. ხოლო, რესპონდენტთა 6% აღნიშნავს, რომ კომპანიებში სადაც ისინი არიან დასაქმებულნი, შიდა კონტროლის განმახორციელებელი ერთეულები აქტიურად არიან ჩართულნი სამუშაო პროცესში.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, საქართველოში მოქმედი კომპანიების ნაწილში არ კონტროლდება შიდა სამეურნეო პროცესები, რაც საფუძველია იმ ფაქტისა, რომ რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენება, არაეფექტურად და არაეკონომიურად ხდება.

## 2.2. საბანკო და საფინანსო სფეროს ფინანსური კონტროლი

მე-20 საუკუნის მიწურულს, მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, რასაც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის რღვევა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება მოჰყვა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში.

საქართველოს პოლიტიკა 70 - წლიანი ისტორიის განმავლობაში ეკონომიკურ ფაქტორებს ნაკლებად ეყრდნობოდა. შესაბამისად, საქართველო მეოცე საუკუნის ბოლოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მექანიზმების გარეშე შეხვდა.

სუვერენული სახელმწიფოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო სისტემას. საქართველოს ჩართვა მსოფლიო სისტემაში, საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირება და ზოგადად, სახელმწიფოს განვითარება პირდაპირ კავშირშია საბანკო სისტემასთან.

იმისათვის, რომ საქართველოში დროულად განხორციელდეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელი ღონისძიებები, მნიშვნელოვანი როლი საბანკო სისტემას აკისრია, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მაკროეკონომიკური სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საიმედო, მყარ და ლიკვიდურ საბანკო სისტემასთან. საბანკო სექტორის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტორი, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში პროგრესის დონის მთავარი მაჩვენებელი ადამიანის განვითარების ინდექსი, წმინდა კეთილდღეობა მოსახლეობის ერთ სულზე და წმინდა ცოდნის დინამიკა. საბანკო სისტემას გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვები უზრუნველყოს საზოგადოების ორიენტაცია კონკურენტუნარიანობაზე, შესაძლებლობებზე, ცოდნაზე, ადამიანზე, მენეჯმენტსა და მარკეტინგზე.

საბანკო კონტროლი, ძალზედ მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საბანკო საქმიანობის კონტროლი იყოფა შიდა და გარე კონტროლად. გარე კონტროლი ტარდება ეროვნული ბანკისა და გარე აუდიტორების მიერ. შიდა კონტროლი წარიმართება ბანკის მიერ. შიდა საბანკო კონტროლი ბანკის მენეჯმენტის ნაწილია. აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებენ მენეჯერები და შიდა აუდიტის ორგანოები. შიდა საბანკო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ბანკის საქმიანობაში ნაკლოვანებების გამომჟღავნება და მათ გადასაჭრელად ოპერატიული სისტემის შექმნა. შიდა საბანკო

კონტროლი უკავშირდება გარე კონტროლს და ეროვნული ბანკის საკანონმდებლო აქტების, და ასევე, შიდა საბანკო ინსტრუქციების დაცვის შემოწმებას მოიცავს.

კომერციული ბანკი არის ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი ერთეული, რომელიც შუამავალია კრედიტორებიდან მსესხებლებისკენ და გამყიდველებიდან მყიდველებისკენ ფულადი სახსრების მოძრაობაში.

კომერციული ბანკი, საკრედიტო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ბანკი საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს: ანაბრების მოზიდვას, მოზიდული სახსრების საკუთარი სახელით და ხარჯებით დაბრუნებადობის, ვადიანობისა და ფასიანობის პრინციპებით განთავსებას, იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშების გახსნასა და მომსახურებას და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, მისი ფინანსური ანგარიშგების სისწორის შემოწმება. ბანკის აუდიტორული შემოწმების დროს უნდა მოხდეს მისი საქმიანობის ყველა სფეროს გაანალიზება. საბანკო აუდიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებებით: საბანკო საქმიანობის კონტროლი საკანონმდებლო დოკუმენტებთან, ბანკის წესდებასთან შესაბამისობის კუთხით; კაპიტალის ფორმირებისა და განთავსების ხარისხისა და მიზნობრიობის შეფასება; ბანკის სააქციო კაპიტალის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი და სხვა.

აუდიტორმა შემოწმების დაწყებისას უნდა შეადაროს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, რათა დარწმუნდეს ბუღალტრული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებში ასახვის სისწორესა და ნაშთის უტყუარობაში.

შემოწმება შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი პროცედურული მიმდევრობით:


1. სალაროსა და სალაროს ოპერაციების შემოწმება;
2. საწესდებო ფონდის სისწორის გაკონტროლება ფორმირების კუთხით;
3. საკორესპონდენტო ანგარიშებისა და საბუღალტრო ანგარიშების შესწავლა;
4. საანგარიშებო და საკრედიტო ოპერაციების შემოწმება;

5. ბანკის შემოსავლების და გასავლების შესწავლა და ასევე, გადასახადების გადახდის სისწორის გადამოწმება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას.

კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ეროვნული ბანკი ბაზელ III-ის შესაბამისად, მათ პირველადი კაპიტალის და საზედამხედველო კაპიტალის ჯამურ მოთხოვნებს უსაზღვრავს. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს დიაპაზონში გამოთვლილმა პირველადი კაპიტალის კოეფიციენტმა 17,06% შეადგინა, ხოლო საზედამხედველო კაპიტალი კი 20,25% იყო. აღნიშნული მაჩვენებლები, კაპიტალის ადეკვატურობის ჯამურ მოთხოვნებზე 3,88%-ით და 3,47%-ით მეტია (იხ. დიაგრამა N 5).


#### დიაგრამა N 5. კაპიტლის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის დასასრულს, საბანკო სფეროს მთლიანი საკრედიტო პორტფელი 45 მილიარდი ლარით განისაზღვრა და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, მისმა წლიურმა ზრდამ 13% შეადგინა. საკრედიტო პორტფელის (გარდა ბანკთაშორისი სესხებისა) შედგენილობაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა (იხ. დიაგრამა N 6).

#### დიაგრამა N 6. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2021 წლის განმავლობაში, გაგრძელდა წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის კალიბრაციის პროცესი. 2020 წლისთვის, ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, ამ ბუფერის განსაზღვრისა და გაანგარიშების ჩარჩოს დამატებითი ფორმალიზება განხორციელდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზედამხედველო სტრეს-ტესტების ფარგლებში გამოთვლილი კაპიტალის მოთხოვნა კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერების ჯამურ მოთხოვნაზე მეტი ოდენობით განისაზღვრება.

2021 წელს, 2020 წლის მსგავსად, ბანკების მხრიდან განხორციელებული სტრეს-ტესტების შედეგად, ეროვნული ბანკის მიერ წმინდა სტრეს ტესტების ბუფერი არ დადგენილა, რადგან კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მხრივ ცენტრალური ბანკის პოზიცია, მოთხოვნების გავრცობას კონტრციკლურად ნიშნავს - ბუფერების დაზოგვას ეკონომიკის აღმავლობის პირობებში და შემდეგ გამოთავისუფლებას სტრესული პერიოდების დროს, 2021 წელი კი, პანდემიის გავლენით საბანკო სფეროსთვის მძიმე პერიოდი იყო. 2018 წლისთვის ამოქმედებული იქნა წმინდა GRAPE ბუფერი და განიხილება რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი პროცესის ფარგლებში. მის მიზანს კომერციული ბანკების რისკების შეფასება წარმოადგენს. GRAPE-ის მიხედვით ხდება, კომერციული ბანკების რისკის პროფილის შეფასება. 2022

წლის ზაფხულში ეროვნულმა ბანკმა განაახლა წმინდა GRAPE ბუფერების მოცულობა და ინდივიდუალური GRAPE ბუფერების მოცულობა, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1,3 პროცენტიდან 9,3 პროცენტამდე დიაპაზონში განისაზღვრა.

#### დიაგრამა N 7. პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიმართ 2022 წლის 31

##### დეკემბრის მდგომარეობით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის დასასრულს, კრებსითი სავალუტო პოზიცია 1,6 პროცენტის ფარგლებშია და რადგან აღნიშნული პოზიციის დათვლისას აქტივებში მიმდინარე პერიოდში ნაწილობრივ ისევ გაითვალისწინება მთლიანი სესხები, შესაბამისად, ბანკების რეალური პოზიცია მოკლეა. შედეგი არის ის რომ, ლარის კურსის გაუფასურება იწვევს ზარალს. ასევე, რადგან სააქციო კაპიტალი ლარით არის წარმოდგენილი, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გადაფასებისას, საგრძნობლად მცირდება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, ლარის გაუფასურების დროს და აღნიშნული რისკის წინაშე ბანკები უფრო მეტად სუსტდებიან.

#### დიაგრამა N 8. კომერციული ბანკების საბალანსო და კრებისთი სავალუტო


##### პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის მონაცემებით, საშუალო კაპიტალსა და აქტივებზე უკუგებამ, შესაბამისად 24,7% და 3,2% შეადგინა. აღნიშნული, წინა წლის მაჩვენებლებზე, 30,7%-ზე და 3,6%-ზე, მნიშვნელოვნად დაბალია. თუმცა, აღსანიშნავია რომ საბანკო სისტემის მაჩვენებლები სტაბილურობით ხასიათდება და კაპიტალზე უკუგების მისაღებ დონეს აკმაყოფილებს.


#### დიაგრამა N 9. უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის მანძილზე, ლიკვიდური აქტივების მოცულობა საკმაოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდა და ლიკვიდურმა აქტივებმა მთლიანი აქტივების 23% შეადგინა, რაც არასაბანკო დეპოზიტების თითქმის 37%-ის დასაფარავად იყო საკმარისი.


#### დიაგრამა N 10. ლიკვიდური აქტივების დონე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლისთვის, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ჯამურად მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. 2020 წლის პირველი მაისიდან, ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ ერთი წლის განმავლობაში, ლარის ლიკვიდობის მართვის უზრუნველსაყოფად უცხოური ვალუტის ბუფერები გამოეყენებინათ და ამის საშუალებით ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნის დაცვა უზრუნველეყოთ, რათა ლიკვიდობის მართვის მხრივ მეტი სარგებელი მიეღოთ. 2022 წლის, მეორე ნახევარში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა დეპოზიტების ზრდასთან იყო დაკავშირებული. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) მაღალ დონეს ინარჩუნებდა და 2022 წლის ბოლოს 133,6%-ის ფარგლებში იყო.

## დიაგრამა N 11. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საფინანსო სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ. ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, აფასებს მათ სტაბილურობას.

## დიაგრამა N 12. აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის დინამიკა

საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის დეკემბრის თვიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შესაბამისად, მიკროსაფინანსო

ორგანიზაციებს დაუწესეს, კაპიტალის აღეკვატურობისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის კოეფიციენტების მოთხოვნები. საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის ზრდა 2022 წელს, გაუნაწილებელი მოგების ზრდამ განაპირობა.


### დიაგრამა N 13. საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა საქართველოში მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ორგანულ კანონში „ეროვნული ბანკის შესახებ“, 2017 წელში შესული ცვლილებების შესაბამისად, ცენტრალურ ბანკს უფლებამოსილება მიეცა, სესხის გამცემი სუბიექტების (გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) საქმიანობის ზედამხედველობა განახორციელოს. აღნიშნული, სესხის გამცემი სუბიექტების რეგისტრაციის უფლებას, გაუქმებას, შემოწმებას და რეგულირებას გულისხმობს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანების შესაბამისად, სესხის გამცემი სუბიექტების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი დამტკიცდა, რომლის საფუძველზეც 2018 წლის 20 დეკემბრიდან, სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციაზე განცხადებების მიღება დაიწყო. 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, დარეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა 198-ს შეადგინდა, 2021 წელს - 183-ს, ხოლო 2022 წელს - 176-ს.

**დიაგრამა N 14. საქართველოში მოქმედი სესხის გამცემი სუბიექტების (გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) რაოდენობა, მთლიანი აქტივები და საკრედიტო პორტფელი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის წმინდა GRAPE ბუფერის ამოქმედება არის საკმაოდ კარგი წინ გადადგმული ნაბიჯი, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების რისკების შეფასებისა და კონტროლისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საბანკო სექტორში, სავალუტო რისკის ფაქტორი საქართველოს ბანკებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა, აუცილებელია ცენტრალური ბანკის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს, ბანკებში სავალუტო რისკის შიდა მოდელების განვითარებას და სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, ძალზედ კარგი წინ გადადგმული ნაბიჯია ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის კაპიტალის ადეკვატურობისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის კოეფიციენტების დაწესება. აღნიშნული გრძელვადიან პერიოდში, საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდურობასა და სტაბილურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მონაცემების შესწავლიდან კარგად ჩანს, რომ მათ მიერ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური

ნორმატივების შესრულების მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, რაც ქვეყნის დონეზე საბანკო სფეროს სტაბილური და გადახდისუნარიანი მუშაობის წინაპირობაა.

ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესებს. მათი ლიკვიდობის მხარდასაჭერად ადგენს ეკონომიკური ნორმატივების სიდიდეს. კომერციული ბანკი ლიკვიდობის ასამაღლებლად, აგრეთვე, მეანაბრეების, მეპაიეების, აქციონერების ინტერესების დასაცავად ქმნის სავალდებულო ფონდებს. აუდიტის განხორციელების პროცესში უნდა შემოწმდეს სავალდებულო რეზერვების, დეპოზიტების, სადაზღვევო ფონდების გაკოტრებისგან დასაზღვევი ფონდების შექმნის სისრულე.

საანგარიშსწორებო ურთიერთობების აუდიტი, ანგარიშსწორების დაჩქარების გზების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ბანკის პასუხისმგებლობის მოხსნა გადასახადების დაგვიანებისთვის ჯარიმის დარიცხვასა და გადახდევინებაზე, გადასახადების კალენდარული თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოსთან შეთანხმებით, საგადასახდო მოთხოვნებით ანგარიშსწორების შეზღუდვა და სხვა.

მიზანშეწონილია, ყურადღება მიექცეს ბანკის დაცვაზე გაწეული დანახარჯებისა და შენობის საიჯარო გადასახდის ფულადი ანაბრების ინდექსაციაზე დანახარჯების და გამოთვლითი ცენტრების მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის ტენდენციის შესწავლას.<sup>14</sup>

ბანკის ზედამხედველობის საკითხებს არეგულირებს აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის 1004-ე და 1006-ე დებულებები.

აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის 1004-ე დებულება ეხება ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ურთიერთობის დარეგულირების საკითხებს. აღნიშნული დებულება შემუშავდა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის ჩართულობით.

1004-ე დებულება მოიცავს ბაზელის კომიტეტის ძირითად პრინციპებს ბანკის ზედამხედველობასთან მიმართებაში. ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ბანკს

<sup>14</sup> ც. ოქრუაშვილი, კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ., 2009, გვ: 169-172.

მოპოვებული უნდა ჰქონდეს საზოგადოების ნდობა. ეროვნული და საერთაშორისო საბანკო სფეროს მდგრადობა ზოგადად საზოგადოებრივი ინტერესის საგანია.

1004-ე დებულება განსაზღვრავს ზედამხედველებისა და დირექტორთა საბჭოს მოვალეობებს და ასევე, განიხილავს გარე აუდიტორთა ფუნქციების ძირითად თავისებურებებს. ამასთან, დებულება განიხილავს ზედამხედველთა ფუნქციების ძირითად თავისებურებებს და აუდიტორთა და ზედამხედველთა ურთიერთობებს.

1997 წელს, ბაზელის კომიტეტმა გამოაქვეყნა ბანკის ზედამხედველობის პრინციპები, რომელსაც ეყრდნობიან WB და IMF ქვეყნების შეფასებისას.

ბევრ ქვეყანაში, ჩამოყალიბდა აუდიტის კომიტეტი იმ პრობლემების გადასალახავად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შიდა კონტროლის სისტემის შექმნის პროცესში. ასეთი ტიპის კომიტეტი უზრუნველყოფს შიდა და გარე აუდიტის სისტემის ძლიერ სტრუქტურას. შიდა და გარე აუდიტორებს საშუალება უნდა მიეცეთ დაესწრონ აუდიტის კომიტეტის შეხვედრებს.

იმ ქვეყნებში, სადაც ახლო ურთიერთობა გარე აუდიტორებსა და ზედამხედველებს შორის დიდი პერიოდის განმავლობაში არსებობს, თითოეული მხარე აქტიურად სარგებლობს მეორე მხარის ნამუშევრით და მათი საქმიანობაც უფრო ეფექტურია.

აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის 1006-ე დებულება ეხება ბანკების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, რომელიც გამიზნულია აუდიტორებისათვის დახმარების გასაწევად.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად მოწმდება ბანკის ბალანსის, მოგება-ზარალის უწყისის, ფულადი ნაკადების მოძრაობის და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშებში მოცემული მონაცემები, რის საფუძველზეც აუდიტორების მიერ გაიცემა რეკომენდაციები რისკებისა და საფრთხეების ასაცილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მრავალ პროფილიან საქმიანობას ეწევიან, ბანკისთვის ძირითად ფუნქციად დეპოზიტების მობილიზება, სესხება-გასესხების ოპერაციები რჩება. 1006-ე დებულების მთავარი მიზანია, ასეთი ტიპის საქმიანობის შესახებ მითითებების მიცემა აუდიტორებისათვის.

1006-ე დებულების შესაბამისად ბანკის ზედამხედველობის საკითხების განხილვისას, მნიშვნელოვანია ბანკის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, მომგებიანობა გრძელვადიან პერიოდში. აღნიშნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული ბანკის სტაბილურობა. რაც უფრო მაღალია ბანკის საიმედოობა, მით უფრო მატულობს მომხმარებელთა ნდობა საკრედიტო დაწესებულების მიმართ, რაც სესხებისა და დეპოზიტების ზრდაში გამოიხატება.

კომერციული საბანკო სფეროს ზედამხედველობის მიზანს, საქართველოში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების, საქმიანობის რეგულირების გზით, საბანკო სექტორის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი არსი მეანაბრეების დანაკარგების რისკის შემცირებასა და ბანკების მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის განმტკიცებაში ვლინდება.

ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ირაკლი კოვზანაძის მოსაზრებას რომლის თანახმად - კომერციულ ბანკში შიდა აუდიტის სამსახურის შექმნისას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება არა ფორმალური, არამედ პირიქით, ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, რომელთაც, თავის მხრივ დაეფუძნება ბანკის ფუნქციონირება. ეს პრინციპებია: 1) დამოუკიდებლობა; 2) კომპეტენტურობა; 3) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა; 4) რესურსებით უზრუნველყოფა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ძალზედ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის შიდა აუდიტორული საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის, რაც აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციების მაღალ ხარისხსა და აუდიტის ობიექტის მიერ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, ბანკის საქმიანობის გაუმჯობესებაში ვლინდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, არსებული საბანკო ზედამხედველობის პრინციპები, ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ბაზელი III დანერგვა, მონიტორინგის მთელი სისტემის დანერგვას გულისხმობს, რომელსაც კომიტეტი ახორციელებს. ანალიზები და კვლევები წელიწადში ორჯერ ტარდება, ივნისისა და დეკემბრის თვის ბოლოს. ევროპაში მონიტორინგი პირველად

2014 წლის 1 იანვარს განხორციელდა. კვლევის ჩატარება განხორციელდა გერმანიაში მოქმედ 36 კომერციულ ბანკში, რომელთა შორის შვიდი არის საერთაშორისო დონის მსხვილი ბანკი, რომელთა საწესდებო კაპიტალი 3 მილიარდ ევროზე მეტია. ყველა კატეგორიის ბანკის მიერ, კმაყოფილდება კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები (12,8% და 17,1%). ამასთან, კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის სისტემაც შესრულებულია, რომლის განხორციელებაც 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა. პირველი ჯგუფის ბანკებისთვის კოეფიციენტი 3,7%-ია, ხოლო მეორე კატეგორიის ბანკებისთვის კი - 4,7%. კაპიტალის და ლიკვიდობის მაჩვენებლების გასამყარებლად, საჭირო მაჩვენებლები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და ევროპისათვის 2019 წელს შემდეგია:

ამერიკის შეერთებული შტატები:

- 600 მილიარდი აშშ დოლარი - კაპიტალი;
- 800 მილიარდი აშშ დოლარი - მოკლევადიანი ლიკვიდობა;
- 2,2 ტრილიონი აშშ დოლარი - გრძელვადიანი ლიკვიდობა.

ევროპა:

- 800 მილიარდი აშშ დოლარი - კაპიტალი;
- 1200 მილიარდი აშშ დოლარი - მოკლევადიანი ლიკვიდობა;
- 2,3 ტრილიონი აშშ დოლარი - გრძელვადიანი ლიკვიდობა.

მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო და ფინანსური სექტორი, უფრო მეტად ძლიერია და სანდოობის ხარისხითაც უფრო მაღალი დონით გამოირჩევა ევროპასთან შედარებით. 2008 წლის ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ლიკვიდობის კუთხით აშშ-ის საბანკო სექტორი, სტაბილურობას ინარჩუნებს, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს საფინანსო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი აშშ-ში მოძრაობს და საბანკო კრიზისების არიდების შესაძლებლობაც უფრო მაღალია.

მნიშვნელოვანია, ევროპარლამენტის მიერ შემუშავებული ცხრილი, ბაზელის კომიტეტის მიერ ბაზელი III სტანდარტით შემუშავებული ლიკვიდაციის განაკვეთისა და რისკების შეფასებების შესახებ (იხ. ცხრილი N 1).

**ცხრილი N 1. ევროპარლამენტის მიერ შემუშავებული ცხრილი, ბაზელის  
კომიტეტის მიერ ბაზელი III სტანდარტით შემუშავებული ლიკვიდაციის განაკვეთისა  
და რისკების შეფასებების შესახებ**

ქვეყანა	სარისკო კაპიტალის რეგულაციათა შეფასება	LCR რეგულაციების შეფასება
არგენტინა	მოქნილი	მოქნილი
ავსტრალია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
ბრაზილია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
კანადა	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
ჩინეთი	მოქნილი	მოქნილი
ევროკავშირი		ძალზე მოქნილი
ინდოეთი	მოქნილი	ძალზე მოქნილი
ინდონეზია	ძალზე მოქნილი	მოქნილი
იაპონია	მოქნილი	მოქნილი
კორეა	ძალზე მოქნილი	მოქნილი
რუსეთი	მოქნილი	მოქნილი
საუდის არაბეთი	მოქნილი	ძალზე მოქნილი
სინგაპური	მოქნილი	მოქნილი
სამხრეთ აფრიკა	მოქნილი	მოქნილი
შვეიცარია	მოქნილი	ნორმაზე დაბალი
თურქეთი	მოქნილი	მოქნილი
აშშ	ძალზე მოქნილი	მოქნილი

წყარო: European Parliament

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ზედამხედველობის განხორციელების შედეგები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. გასაკვირი არ არის, რომ კაპიტალის რისკისა და ლიკვიდაციის მაჩვენებლების ნორმები, აშშ-სა და ევროკავშირში სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო დამაკმაყოფილებელია.

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანო დამოუკიდებელი იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან, რათა გადაწყვეტილებების მიღება განხორციელდეს ობიექტური პრინციპების შესაბამისად.

უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით - ბოლო პერიოდში, საბანკო საქმიანობის გართულება, ახალი საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ფინანსური გლობალიზაცია და მჭიდრო ბანკთაშორისი ურთიერთობების დამყარება ხორციელდება მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, რაც დღის წესრიგში აყენებს კომერციული ბანკების საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემების გაძლიერების საკითხს. ამ მხრივ შიდა აუდიტი რჩება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად.<sup>15</sup>

შიდა აუდიტის გაძლიერება საქართველოს კომერციული ბანკებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა მათ შეძლონ ქვეყანაში და მსოფლიო დონეზე მიმდინარე ფინანსური ცვლილებებისა და არასტაბილური ფაქტორების მიმართ გამკლავება.

ეროვნული ბანკი, საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ხელს უწყობს საფინანსო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და რისკების შემცირებას.

ეროვნულ ბანკს სრული უფლება აქვს, გააკონტროლოს კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, საფონდო ბირჟის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და სხვა სუბიექტების საქმიანობა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად, ეროვნული ბანკი გამოსცემს ბრძანებებსა და დადგენილებებს.

ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის განხორციელებისას, გასცემს და აუქმებს ლიცენზიებს, გასცემს წერილობით მითითებებს, აწესებს შეზღუდვებს, ითხოვს ინფორმაციას კომერციული ბანკების კაპიტალის წარმოშობისა და მათი მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრეთა შესახებ, ამოწმებს კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო

<sup>15</sup> ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრიძე. თანამედროვე საბანკო საქმე. თბილისი, 2022, გვ. 681.

სადეპოზიტო დაწესებულებებს, უზრდის მათ სავალდებულო რეზერვების ნორმებს და ა.შ.

ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ ხორციელდება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არის არჩეული, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მხოლოდ ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული და კაპიტალურ ხარჯები მოწმდება.

მნიშვნელოვანია, ბანკის ზედამხედველებს აქტიური კონტაქტი ჰქონდეთ ბანკის მენეჯერებთან, რადგან კონკრეტული ბანკების თავისებურებებიდან გამომდინარე, ბანკის მენეჯერები მათთან შედარებით უფრო კომპეტენტურები არიან. ამასთან, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბანკის მენეჯერების ცნობიერების ასამაღლებლად დამატებითი შეხვედრებისა და ტრეინინგების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ ზედამხედველთათვის სრული და ზუსტი ინფორმაციის უპრობლემოდ მიწოდებას.

### **თავი 3. საერთო სახელმწიფოებრივი და უწყებრივი ფინანსური კონტროლი**

#### **3.1. სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის**

##### **განმახორციელებელი უმაღლესი ორგანოების საქმიანობა**

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ძირითადი ასპექტები და მასთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კონსტიტუციითა და საბიუჯეტო კოდექსით არის განსაზღვრული.

საქართველოს პარლამენტში იქმნება სპეციალური კომიტეტები და კომისიები სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელების მიზნით. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებას ამოწმებს და აგრეთვე, ბიუჯეტის შესრულების სისწორეს. პარლამენტს უფლება აქვს მოითხოვოს მთავრობის საქმიანობის გადამოწმება, როდესაც ხორციელდება საბიუჯეტო სახსრების დამტკიცებულთან შედარებით მეტად ხარჯვა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ხორციელდება, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ, რადგან ისინი აკონტროლებენ მათსავე დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების ფინანსურ საქმიანობას.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებისა და აღსრულების პროცესის პარალელურად ახორციელებს ფინანსების, ფულისა და კრედიტის სფეროში ერთიან პოლიტიკას; აკონტროლებს სამინისტროების, უწყებების და მათ დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური ფინანსური კონტროლის ორგანოებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომელიც ქვეყნის ფინანსურ პოლიტიკას შეიმუშავებს და ასევე, აკონტროლებს მის შესრულებას. ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები აკონტროლებენ ფინანსურ ურთიერთობებს. ფინანსთა სამინისტროს კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემუშავება და შესრულება, ასევე, ფინანსთა სამინისტრო მონაწილეობას იღებს სავალუტო კონტროლის

განხორციელებაში, აკონტროლებს სახელმწიფო ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობას და ა.შ.

ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ხაზინა, ახორციელებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აკონტროლებს ბიუჯეტის შემოსავლებსა და ასევე, სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. აღსანიშნავია, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის როლი ფინანსური კონტროლის განხორციელებაში.

2012 წლის 1-ლი ივლისიდან, საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა, გამოყენებასა და ხარჯვას, ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე, შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლე.<sup>16</sup>

უწყებრივი ფინანსური კონტროლი ხორციელდება სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებით. უწყებრივი ფინანსური კონტროლის მეშვეობით ხდება მატერიალური და ფინანსური სახსრების დაცვა, მფლანგველობისა და მიწერების ფაქტების დაფიქსირება, ფინანსური აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა ჰარმონიზაციის ცენტრი - CHU. CHU-ს მთავარი ამოცანაა შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება, შიდა აუდიტის პროცესების შემუშავება, შიდა აუდიტორებისთვის ტრეინინგების ჩატარება და სხვა.

ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის და ფინანსთა მინისტრის მიერ.

<sup>16</sup> ვ. მოსიაშვილი., მ. ჭელიძე. ფინანსები, თბ., 2016, გვ. 391.

2011 წელს განხორციელდა „სახელმწიფო შიდა აუდიტის და ინსპექტირების შესახებ“ კანონის მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება, რის საფუძველზეც აღნიშნულ კანონში განხორციელდა დამატებების შეტანა და შეიცვალა კანონის სათაურიც, რომელიც შემდეგი სახით ჩამოყალიბდა - საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

ფინანსთა სამინისტრო, უზრუნველყოფს შიდა საფინანსო მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას სახელმწიფოს დონეზე, ხოლო CHU აღნიშნული საკითხების ჰარმონიზაციას სამდივნოს მეშვეობით უზრუნველყოფს.

სახელმწიფო შიდა საფინანსო კონტროლის სისტემაში, ცენტრალურია შიდა აუდიტის როლი. შიდა აუდიტორთა მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, იზრდება სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობა და ხდება მოსალოდნელი რისკების მინიმიზება.

საერთო სახელმწიფოებრივ ფინანსურ კონტროლზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ ფინანსების ნაკადების ფორმირებას და მათი გადანაწილების კონტროლს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის - UNO-ს სარევიზიო საბჭო - არის გაეროს საფინანსო საქმიანობის მაკონტროლებელი სარევიზიო ორგანო, რომელიც სამი კონტინენტის პალატების სამსახურებს აერთიანებს. საბჭო დამოუკიდებელია საკონტროლო-საფინანსო ღონისძიებების გატარებაში.

საბჭოს ერთ-ერთ ამოცანას არგუმენტირებული ინფორმაციის მომზადება წარმოადგენს, UNO-ს ფინანსების ადმინისტრირების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რენტაბელობის კონტროლს, პირველ რიგში მოწმდება ანგარიშების წარმოების სისწორე.

ზოგადად UNO-ს შემუშავებული აქვს პროგრამა (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP), რომლის საშუალებითაც ეხმარება სხვადასხვა ქვეყნებს. UNDP-ის დახმარებით ბევრ ქვეყანაში შეიცვალა მდგომარეობა დადებითობისკენ.

უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტოსაი - INTOSAI) - 1953 წელს ქ. ჰავანაში შეიქმნა. 1992 წელს ქ. ვაშინგტონში მიიღეს INTOSAI-ს წესდება, რომლის თანახმად, INTOSAI არის არაპოლიტიკური, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის ოფისიც ქ. ვენაში მდებარეობს და მის შემადგენლობაში არიან გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოს, კონტროლის უმაღლესი ორგანოები. INTOSAI-ს უმაღლესი ორგანოა კონგრესი.

კონგრესის ამოცანებია:

- 1) ფინანსური კონტროლის საკითხებზე რეკომენდაციების მიღება;
- 2) მმართველთა საბჭოსა და გენერალური სამდივნოს ამოცანების განსაზღვრა;
- 3) მუდმივი კომისიების შექმნა;
- 4) წესდების შემუშავება და შემდგომ მასში ცვლილებების შეტანა;
- 5) 3 წლიანი ბიუჯეტის, წლიური ანგარიშის და გენერალური სამდივნოს ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;
- 6) მორიგი კონგრესის გამართვისათვის, წინადადებების განსაზღვრა;
- 7) საერთაშორისო თანამეგობრობის მაკონტროლებელი ერთეულების საკითხების გადაწყვეტა;
- 8) ორგანიზაციის აუდიტორული საბჭოს წინადადებების დამტკიცება;
- 9) სხვა გადაწყვეტილებების მიღება.

უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (ევროსაი - EUROSACI) - 1990 წელს ქ. მადრიდში დაფუძნდა, სადაც მიიღეს ევროსაის წესდება.

EUROSACI-ს ამოცანებია:

- 1) ინტოსაის სხვა რეგიონალურ ჯგუფებსა და ევროსაის წევრებს შორის ურთიერთგამოცდილების გაზიარების გაძლიერება;
- 2) ნაციონალური და საერთაშორისო ორგანოების მხარდაჭერა;
- 3) ევროსაის წევრების ინფორმირება, კანონმდებლობის ნორმებში მომხდარი, ისეთი ცვლილებების შესახებ, რომელიც კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას უკავშირდება;
- 4) კონტროლთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების შესწავლა;

5) ევროსაის წევრი ინსტიტუტებისა და წევრი ორგანოების სემინარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სწავლებით სარგებლობა;

6) გაცვლითი ინფორმაციებითა და დოკუმენტებით სარგებლობა, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების კონტროლის თემატიკის საკითხებზე;

7) ევროსაის კონგრესებზე მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დაწერგვა;

8) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის კუთხით ტექნოლოგიების დაწერგვა;

9) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

ევროსაის წევრი ორგანოები შესაძლებელია იყვნენ როგორც ევროგაერთიანების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ასევე, ინტოსაის წევრებიც.

ევროგაერთიანების საანგარიშო პალატა დაფუძნდა 1975 წელს და მისი ძირითადი ამოცანაა შეისწავლოს ევროკავშირის - EU-ს სისტემის უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობა. ევროგაერთიანების საანგარიშო პალატა ზედამხედველობას უწევს გაერთიანების ფინანსურ საქმიანობას და უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს პალატა აქვეყნებს ანგარიშს, რომელიც გაერთიანების წევრთა უმრავლესობით მტკიცდება.

მაასტრიხის ხელშეკრულებით ევროგაერთიანების საანგარიშო პალატა ვალდებულია შეამოწმოს გაერთიანებისა და მისი ორგანოების ყველა დაწესებულების შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშები. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს პალატა აქვეყნებს ანგარიშს, რომელსაც გაერთიანების წევრთა უმრავლესობა ამტკიცებს.

სახელმწიფო ფინანსების გარე კონტროლის რეგიონალური ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (ევრორაი - EURORAI) - შეიქმნა 1992 წელს.

EURORAI-ს ამოცანებია დახმარება გაუწიოს კონტროლის ორგანოებს:

- 1) კორპორაციის გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლაში;
- 2) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის წარმართვაში;
- 3) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების წარმართვაში;

4) კონტროლის უზრუნველსაყოფად უნიფიცირებული ტექნოლოგიების დაწერგვაში.

ევრორაის უმაღლესი ორგანოა გენერალური ანსამბლეა, რომელიც შედგება ფინანსური კონტროლის უმაღლესი სახელმწიფო მაკონტროლებელი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელებისგან და გადაწყვეტილებას იღებს მის შემადგენლობაში მყოფი წევრების ხმათა უმრავლესობით.

უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების აზის ორგანიზაცია (აზოსაი - AZOSAI) - დაარსდა 1979 წელს.

AZOSAI-ს ამოცანებია:

- 1) წევრების დახმარება ურთიერთთანამშრომლობაში, იდეების და გამოცდილების გაცვლაში;
- 2) სახელმწიფო რევიზორების დახმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- 3) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მხრივ გამოცდილებათა გაცვლა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელი საბჭო - შეიქმნა 2000 წლის 3 ნოემბერს, ქ. მოსკოვში, სადაც დამტკიცდა საბჭოს რეგლამენტი. რეგლამენტის შესაბამისად, საბჭო თავის საქმიანობას განსაზღვრავს სადამფუძნებლო დოკუმენტების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გაფორმებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნებს შორის ინტოსაის, ევროსაის და აზოსაის პრინციპებით.

საბჭოს სხდომებზე ხორციელდება გამოცდილებათა ურთიერთგაცვლა, აქტუალური საკითხების განხილვა, საკითხთა ინტეგრაციის მიმართულებების განსაზღვრა.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო კონტროლის მართვის სისტემაში, ფინანსური კონტროლის მექანიზმის დაკვიდრება, ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირების რეგულირების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საქართველოში ბოლო პერიოდში, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანიზაციული სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. დაინერგა სახაზინო სისტემა,

რის საფუძველზეც დღის წესრიგში დადგა ბიუჯეტის შესრულების პროცესის შემოწმების ახალი მეთოდების გამოყენება. ფინანსური კონტროლის განხორციელების პროცესში, გამოიყენება შემდეგი მეთოდები: აუდიტი, რევიზია, შემოწმება, ანალიზი, სამეურნეო დავა და ა.შ. საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე ეფექტიანი ფორმა აუდიტია.

თანამედროვე ეტაპზე საჯარო კონტროლის სისტემასთან ერთად მოქმედებს კერძო კონტროლი, რომელიც აუდიტის მეშვეობით ხორციელდება.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ძირითადად საფინანსო კონტროლის შემდეგი სქემა გამოიყენება:

- 1) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანო (კონტროლის პალატა), რომლის მთავარი დანიშნულება, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ გამოყენებასა და ხარჯვაზე კონტროლია;
- 2) საგადასახადო უწყებები, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შედიან და კონტროლს უწევენ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმების შესრულების უზრუნველყოფას;
- 3) სამინისტროებში და დაწესებულებებში მოქმედი კონტროლის ერთეულები, რომელთაც ევალებათ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე კონტროლის განხორციელება;
- 4) დამოუკიდებელი აუდიტორული ფინანსური კონტროლი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება და ამოწმებს საბალანსო მონაცემებს, ოპერაციების კანონიერებას და სათანადო კონსულტაციას უწევს კერძო სექტორის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფინანსების სფეროში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად, საქართველოში თანდათან იზრდება მოთხოვნილება აუდიტორულ კონტროლზე. აღნიშნული გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ფინანსური ფონდების შექმნის აუცილებლობა, მეწარმეობის ბაზრის განვითარება, ორგანიზაციების თვითრეგულირებისაკენ მისწრაფება.

საქართველოში ფინანსური მართვა და კონტროლი - FMC ხორციელდება, დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დაწესებულებისადმი

დაქვემდებარებული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ. აღნიშნული პროცესი შიდა კონტროლის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეფუძნება, რომელიც ხორციელდება შემდეგი კომპონენტებით: а) კონტროლის გარემო; б) რისკის მართვა; გ) კონტროლის ღონისძიებები; დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია; ე) მონიტორინგი და შეფასება.

საქართველოში სახელმწიფო ფინანსური რეფორმა კონტროლის კუთხით, ობიექტური აუცილებლობაა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ობიექტურად მოხდეს მოქმედი ფინანსური კონტროლის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება.

ამრიგად, სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიური სრულყოფით შესაძლებელი გახდება საჯარო დაწესებულებებში საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა, აუდიტორული საქმიანობის სრულყოფის სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

კონტროლი არის, არა მხოლოდ, მართვის შემადგენელი ელემენტი, არამედ მისი მნიშვნელოვანი ფუნქციაც.

კონტროლი, სახელმწიფოს მხრიდან, ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების საშუალებაა, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს პირველად საქმიანობას და იგი „წარმოებული“ ხასიათის მატარებელია. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსები. ვიწრო გაგებით სახელმწიფო ფინანსები გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო ფართო გაგებით სახელმწიფო ფინანსები მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს, არამედ იგი მოიცავს სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს ქმნიან. სახელმწიფო ფინანსების ასეთი გაგებით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არეალი ფართოვდება და მის ობიექტებში მოიაზრება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მხარჯავი ორგანიზციები, ასევე, ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ეროვნული სიმდიდრის ცალკეულ ელემენტებს იყენებენ.

სახელმწიფო კონტროლის სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

- 1) კონტროლის სუბიექტი;
- 2) კონტროლის ობიექტი;
- 3) კონტროლის საგანი;
- 4) კონტროლის პრინციპები;
- 5) კონტროლის მეთოდები;
- 6) კონტროლის მექანიზმი;
- 7) კონტროლის სისტემა.

როდესაც ვსაუბრობთ სუბიექტებზე ვინც ახორციელებენ კონტროლს, მოიაზრებიან ის ადამიანები, რომლებიც ატარებენ აუდიტს. ფინანსური კონტროლის სუბიექტებს ის ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ. ამ ორგანიზაციების დაყოფა შესაძლებელია კონტროლის სახეების - შიდა და გარე და ასევე, მართვის დონის მიხედვით - სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი.

ფინანსური კონტროლის ობიექტები ის ორგანიზაციებია, რომელთა შემოწმებაც ხორციელდება. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი კერძო ბიზნესის საქმიანობაზეც ვრცელდება, ამდენად, ფინანსური კონტროლის ობიექტი არა მხოლოდ საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროა, არამედ საბაზრო ეკონომიკაში ჩართული სუბიექტების ფინანსური და სამეურნეო აქტივობების სრული პროცესი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტებია:

- 1) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
- 2) სახელმწიფო ორგანიზაციები და საწარმოები, ასევე, სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;
- 3) სახელმწიფო არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო ფონდები;
- 4) ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები;

- 5) საწარმოები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებს იყენებენ ან სახელმწიფო შეღავათებით სარგებლობენ;
- 6) საზოგადოებრივი გაერთიანებები და არასახელმწიფო ფონდები იმ ნაწილში, რომლის ფარგლებშიც ეს ორგანიზაციები სახელმწიფო შეღავათებით სარგებლობენ;
- 7) სამეწარმეო სუბიექტები იმ ნაწილში, რომელიც უკავშირდება გადასახადების გადახდას და კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეს არის ქვეყნის დონეზე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში ჩარევა და მისი საქმიანობის კონტროლი დაუშვებელია, მისი საქმიანობა არის დამოუკიდებელი და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მთავარი მიზანია, სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების დაცვისა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი არის გენერალური აუდიტორი. გენერალურ აუდიტორს 5 წლით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. გენერალური აუდიტორის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სახის პირობებით, არავის აქვს უფლება მის გადაწყვეტილებაზე მოახდინოს ზეგავლენა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება ვრცელდება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების, საკანონმდებლო ორგანოებზე, სსიპ-ებსა და თვითმმართველობის ერთეულებზე, ცენტრალურ ბანკზე, სახელმწიფოს მიერ, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის და ავტონომიური რესპუბლიკის მიერ 50% და მეტი წილით დაფუძნებულ კომპანიებზე, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაფინანსება, ხორციელდება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს,

წელიწადში ერთხელ ატარებს, საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული დროებითი კომისია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2021 წელს 49 აუდიტორული შემოწმება ჩაატარა რაც 2020 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებზე 11-ით ნაკლებია, ხოლო 2022 წელს 47 აუდიტორული შემოწმება. 2022 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმა ჯამურად 20 მლრდ ლარზე მეტი დაფარა. შედეგად, 2021 წლის მსგავსად ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელმა 90% შეადგინა. მნიშვნელოვანი პრობლემაა ის საკითხი, თუ რატომ არ მოხდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის დარჩენილი 10%-ის შემოწმება. 2022 წელს სულ ჩატარდა 14 ფინანსური, 26 შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი. ჩატარებული 26 შესაბამისობის აუდიტიდან, სამი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი იყო, რაც საკმაოდ კარგი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მხოლოდ ერთი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი ჩაატარა.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, 2018 წლიდან დაინერგა. ჩვეულებრივი შესაბამისობის აუდიტისგან განსხვავებით, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში, თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელიც კონცენტრირებულია ერთ უწყებაზე. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის განხორციელება ამცირებს ჩატარებული აუდიტების რაოდენობას და ამასთან, მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მიღებულ სარგებელსა და მოცული ორგანიზაციების რიცხვს, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

## ცხრილი N 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს ჩატარებული აუდიტების სია

14 ფინანსური აუდიტი	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

4	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
10	საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტი
11	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
13	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი
14	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს პროექტის „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ ფინანსური აუდიტი

## 26 შესაბამისობის აუდიტი

15	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის შესაბამისობის აუდიტი
16	ა(ა)იპ - ხელბურთის ეროვნული ფედერაციის შესაბამისობის აუდიტი
17	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
18	COVID-19 პანდემიის საპასუხოდ ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
19	სს „საქართველოს რკინიგზის“ შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
20	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) შესაბამისობის აუდიტი
21	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
22	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
23	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

24	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღების, გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
26	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
27	შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
28	შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
29	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
30	ქედის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
31	შუახევის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
32	ხულოს მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
33	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
34	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
35	გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
36	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
37	თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
38	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
39	ლენტების მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
40	ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

## 7 ეფექტიანობის აუდიტი

41	დაავადებების პრევენციის ეფექტიანობის აუდიტი
42	აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარებისა და მართვის ეფექტიანობის აუდიტი
43	საჯარო სექტორში დისტანციური მუშაობისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
44	შიდა სახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი
45	COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი საკარანტინო ზონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი


46	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი
47	პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ ეფექტიანობის აუდიტი

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სამინისტროების შემოწმება მირითადად მხოლოდ ფინანსური აუდიტის ჩატარებით შემოფარგლება მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის, რადგან ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტით უნდა იქნას მოცული.

საჯარო სექტორში ფინანსურ აღრიცხვაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები რომ აღინიშნება, ამ ფაქტზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ფინანსური აუდიტების განხორციელების შემდეგ გაცემული მოსაზრებები. 2020 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტიდან პირობითი მოსაზრება გაიცა 6 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 45% - 5 მოსაზრება კი უარყოფითი იყო (იხ. დიაგრამა N 15).


#### **დიაგრამა N 15. 2020 წელს ჩატრებული 11 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით**



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

2022 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 14 ფინანსური აუდიტიდან, უპირობო მოსაზრება გაიცა 2 შემთხვევაში, პირობითი მოსაზრება 6 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 43% - 6 მოსაზრება კი უარყოფითი იყო.


#### **დიაგრამა N 16. 2022 წელს ჩატრებული 14 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით**



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით, 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 63 ფინანსური აუდიტიდან, 62 შემთხვევაში დაიწერა პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 1 აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უზუსტობები და გამოითქვა უპირობო მოსაზრება (იხ. დიაგრამა N 17). პირობითი და უარყოფითი მოსაზრებების საკმაოდ დიდი რაოდენობა მკაფიოდ მეტყველებს საბიუჯეტო დაწესებულებებში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებზე. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მკაცრი მონიტორინგით, მომავალში შესაბამისი ხარვეზების რეციდივების გამოსარიცხად.


**დიაგრამა N 17. 2018 - 2021 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული  
მოსაზრების ტიპების სტატისტიკა**



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით, 2018-2022 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 77 ფინანსური აუდიტიდან, 74 შემთხვევაში დაიწერა პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 3 აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უზუსტობები და გამოითქვა უპირობო მოსაზრება.

#### დიაგრამა N 18. 2018 - 2022 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა




წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს, ძირითადი ფუნქცია საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაა. აღნიშნული ფუნქციის შესრულების გასაზომად ძირითადი ინდიკატორი - სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელია. სამსახური ორიენტირებულია შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი და ქმედითი რეკომენდაციების მომზადებაზე და ასევე, პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ რაც გაიცემა რეკომენდაციები, აუდიტის ობიექტების მიერ განხორციელდეს რეკომენდაციების შესრულება.

#### **დიაგრამა N 19. 2018 - 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების**

##### **მდგომარეობა**




წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ 2018-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების 17% ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 9% არ შესრულებულა. მნიშვნელოვანია ამ კუთხით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება, რომელიც შემოწმებულ ორგანიზაციებზე გაცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინებაში გამოიხატება. ის, რომ თანდათან საგრძნობლად მატულობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობაც და შესრულებაც, მოცემული უწყების ინსტიტუციურ გამლიერებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. 2018-2021 წწ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული

რეკომენდაციებიდან (2,800-ზე მეტი რეკომენდაცია), თითქმის 1/3 (32%) 2021 წლის აუდიტებზე მოდის.


#### დიაგრამა N 20. 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში


2018 – 2022 წლების მონაცემების მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების 47% სრულად არის შესრულებული, ხოლო 9% არ შესრულებულა.

#### დიაგრამა N 21. 2018 - 2022 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში


**დიაგრამა N 22. 2022 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების  
მდგომარეობა**



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეფუქტიანობის აუდიტის ჩატარების შემდეგ გაიცემა. ამასთან, 2018-2021 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებებიდან ეფუქტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მხოლოდ 24%-ია სრულად შესრულებული. შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების რაოდენობა 44%-ს, ხოლო ფინანსური აუდიტების ფარგლებში კი - 51%-ს შეადგენს.


**დიაგრამა N 23. 2018 - 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება  
აუდიტის სახეობების მიხედვით**



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ხოლო, 2018-2022 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებებიდან ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების 25%-ია სრულად შესრულებული, შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში - 52%, ხოლო ფინანსური აუდიტების ფარგლებში კი - 62%.

#### დიაგრამა N 24. 2018 - 2022 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით




წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის გამოყოფილი სახსრები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეულმა გადასახდელებმა 15,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს - 17,9 მლნ ლარი. მისი მატების ტემპი, ერთი მხრივ, თითქმის 1,3-ჯერ ჩამორჩა იმავე პერიოდში ქვეყნის მშპ-ის ნომინალური მატების ტემპს, ხოლო მეორე მხრივ, თითქმის ასეთივე პროპორციით გადაუსწრო ინფლაციის ტემპს. 2021 წელს სამსახურის მთლიანი ბიუჯეტის 80% თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მოდიოდა, ხოლო 2022 წელს 83%. ასევე, სამსახურის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით, 2021 წელს 411 000 ლარი დაიხარჯა, 2022 წელს კი გაცილებით ნაკლები - 337 000 ლარი.

#### დიაგრამა N 25. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის


##### სტრუქტურა



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

#### დიაგრამა N 26. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტის

##### სტრუქტურა



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2023 წლის გეგმის შესაბამისად დაგეგმილი 55 აუდიტორული შემოწმებიდან, 15 ფინანსური აუდიტია, 28 შესაბამისობის აუდიტი და 12 ეფექტიანობის აუდიტი. შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტები დაგეგმილია სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო იურიდიულ პირებში და არ არის ჩანიშნული არც ერთ სამინისტროში.

მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებები ხორციელდება სამინისტროების და თვითმმართველი ერთეულების დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებაში. მართალია, სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტები ახორციელებენ აღნიშნულ აუდიტორულ შემოწმებებს, რასაც შემდეგ თავში განვიხილავთ, მაგრამ მათი გადამოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს. მრავალი ფაქტორის გამო, შიდა აუდიტორის მიერ დაწერილი დასკვნა, ვერ იქნება ისეთი ობიექტური, როგორც გარე მაკონტროლებელი შემმოწმებლის მიერ შედგენილი ანგარიში, თუნდაც იმიტომ რომ შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თანამდებობრივად იმ მინისტრის დაქვემდებარებაშია, რომელ სამინისტროშიც ატარებს აუდიტორულ შემოწმებას. ვფიქრობთ, რომ სამინისტროებში მხოლოდ ფინანსური

აუდიტის ჩატარება შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან ყურადღების და შემოწმების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, რასაც ეფექტურიანობის და შესაბამისობის აუდიტი მოიცავს.

### **3.2. საგადასახადო და საბიუჯეტო ფინანსური კონტროლი**

საერთო სახელმწიფოებრივ ფინანსურ კონტროლზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ საგადასახადო კონტროლზე. ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური ახორციელებს საგადასახადო კონტროლს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 კარი არეგულირებს საგადასახადო კონტროლის ძირითად პრინციპებს.

პირის (იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი) საქმიანობის საგადასახადო კონტროლის განხორციელების უფლება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს აქვს. საგადასახადო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე კონტროლის და საგადასახადო შემოწმების სახით.

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლი ხორციელდება საგადასახადოს წარმომადგენელი პირის ბრძანების საფუძველზე. მიმდინარე კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ქრონომეტრაჟის, საგადასახადო მონიტორინგის, საკონტროლო შესყიდვის, სალარო აპარატების გამოყენების კონტროლის, დათვალიერებისა და ინვენტარიზაციის გზით.

საგადასახადო შემოწმების სახეებია: კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმება.

კამერალური საგადასახადო შემოწმების დანიშვნა ხდება, საგადასახადოს წარმომადგენელი პირის ბრძანების შესაბამისად. კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება, საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციისა და გადასახადის გადამხდელისაგან მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება შესაძლებელია გადამხდელის საქმიანობის მიმდინარე კონტროლსაც მოიცავდეს. გადასახადის გადამხდელს ევალება, გასვლითი საგადასახადო შემოწმების განხორციელებისას შემმოწმებლებს სამუშაო პირობები შეუქმნას.

მიმდინარე კონტროლისა და საგადასახადო შემოწმების მიზანია ბიუჯეტში გადახდილი თანხების სისწორის კონტროლი და დარღვევების შემთხვევაში ამ თანხების ამოღება. მიმდინარე კონტროლისა და საგადასახადო შემოწმების შედეგად ხორციელდება როგორც შემდეგი ასევე, მიმდინარე კონტროლი. საგადასახადო სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით დაწესებულია ჯარიმები და საურავები. გადამხდელი ცდილობს ნაკლებად დაარღვიოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები, რათა არ მოუწიოს დამატებითი თანხების ბიუჯეტში გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განხორციელდა გადამხდელებისათვის. ხანდაზმულობის ვადა შეიცვალა 6 წლიდან 3 წლამდე, რაც უფრო უმარტივებს გადამხდელებს აღრიცხვის პროცედურებს.

ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცესი საკმაოდ გამარტივდა 2018 წლიდან. წინა პერიოდებში მეწარმე წყვეტდა ფუნქციონირებას და ზედმეტად

გადახდილი თანხა რჩებოდა ბიუჯეტში. იმ შემთხვევაში თუ მეწარმე განცხადებას დაწერდა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, ინიშნებოდა მათი შემოწმება და უმრავლეს შემთხვევებში დარიცხული ჯარიმა უფრო მეტი გამოდიოდა, ვიდრე უკან დასაბრუნებელი თანხა. შესაბამისად, მეწარმეთა უმრავლესობა თავს იკავებდა განცხადების დაწერისაგან და ზედმეტად გადახდილი თანხა რჩებოდა ბიუჯეტში.

2018 წლიდან მნიშვნელოვნად გამარტივდა მეწარმეთა მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის ბიუჯეტიდან გამოტანის პროცესი. განცხადების დაწერის შემთხვევაში სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი სწავლობს წარმოქმნილი ზედმეტობის კანონიერებას და შესაბამისად ხორციელდება თანხის გადარიცხვა გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე.

2019 წლიდან კიდევ უფრო მეტად გამარტივდა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების პროცესი. დღგ-ს გადასახადის ნაწილში ზედმეტობის წარმოშობის შემთხვევაში, მარტივი განცხადების შევსების შემთხვევაში, ორ სამუშაო დღეში ხორციელდება თანხის დაბრუნება გადამხდელის ანგარიშზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს ამ სისტემის უარყოფითი მხარეებიც. იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ავტომატურად რიცხავს ზედმეტობაში არსებულ თანხას და ზედმეტობის წარმოქმნა ბევრი ფალსიფიკაციით არის შესაძლებელი, მოხდა საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა. მაგალითად, გამოიწერა ფიქტიური ანგარიშ-ფაქტურები, რის საფუძველზეც მიმღებმა მხარემ ფიქტიურად განახორციელა დღგ-ს ჩათვლა და შესაბამისად თანხა, რომელიც არ ეკუთვნოდათ მათ, გამოიტანეს ბიუჯეტიდან. მართალია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურის მიერ შემდეგ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ დიდი ოდენობით თანხების დაბრუნება ვერ განხორციელდა მათ მიერ.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ვერ გათვალეს ის მოსალოდნელი შედეგები, რასაც გამოიწვევდა არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის ქმედება, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ბიუჯეტს. როდესაც ხორციელდება სიახლეების დანერგვა, აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა

შეისწავლონ და გააანალიზონ ის რისკები, რაც შეიძლება მოყვეს გარდამავალ პროცესს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ბოლო პერიოდში გადასახადის გადამხდელების სასიკეთოდ. მას შემდეგ რაც ამოქმედდა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, მნიშვნელოვნად გამარტივდა იმ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა, ვისაც მინიჭებული აქვს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის არეალში მოქცეული არიან, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები და ასევე, ის გადამხდელები ვისაც მინიჭებული აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების ამოქმედებამდე ინდივიდუალური მეწარმეები წლიურად ბიუჯეტში იხდიდნენ დასაბეგრი შემოსავლის 20%-ს. აღნიშნული რეჟიმის ამოქმედების შემდეგ განხორციელდა ინდივიდუალური მეწარმეების დაყოფა შემოსავლების მიხედვით.


მიკრო ბიზნესის სტატუსით სარგებლობა შეუძლია ფიზიკურ პირს, რომლის მიერ კალენდარული წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი 30 000 ლარზე მეტი არ არის და ასევე, არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას. ანუ მიკრო ბიზნესის სტატუსით სარგებლობა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც ერთპიროვნულად ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. აღნიშნული სტატუსით სარგებლობის შემთხვევაში პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს ბიუჯეტში, რამაც ხელი შეუწყო ერთპიროვნული მწარმოებლების რიცხვის ზრდას საქართველოში.

ჩვენს მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რეგისტრირების შესახებ, წლების მიხედვით დინამიკაში. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ავაგეთ დიაგრამა (იხ. დიაგრამა N 27).

**დიაგრამა N 27. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012 – 2022**

**წლებში**

## მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012-2022 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ 2012 წელთან შედარებით, მიკრო ბიზნესის სტატუსით მოსარგებლეთა რაოდენობა 2022 წლამდე 2,5-ჯერ გაიზარდა, 2012 წელს მათი რაოდენობა 27 500 პირს შეადგენდა, ხოლო 2022 წლისთვის კი 68 827-მდე გაიზარდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი, არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მკვეთრი მატება. დიაგრამიდან ჩანს, რომ 2012 წლიდან 2022 წლის მანძილზე, ყოველწლიურად მატულობდა მოქმედი მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირთა რაოდენობა. მიკრო ბიზნესის სტატუსის ამოქმედებამ სტიმული მისცა ადგილობრივ მეწარმეებს საკუთარი, დამოუკიდებელი შრომით შეექმნათ დამატებული ღირებულება, რამაც ჩაანაცვლა იმპორტი და ხელი შეუწყო საქართველოში ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.


მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობის უფლება აქვს მეწარმე ფიზიკურ პირს ანუ ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც კალენდარული წლის მანძილზე 500 000

ლარზე მეტი შემოსავალი არ მიუღია. თავდაპირველ ეტაპზე მცირე მეწარმეთათვის საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრა 5 და 3 პროცენტი. ის მეწარმეები, რომელთა ერთობლივი შემოსავლის 60%-ზე ნაკლებსაც შეადგენდა ერთობლივი ხარჯი წლიური საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში იხდიდნენ ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო თუ ერთობლივი ხარჯი ერთობლივი შემოსავლის 60%-ს გადააჭარბებდა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მათთვის 3% იყო. 2018 წლის 1 ივლისიდან კიდევ უფრო შემცირდა მცირე მეწარმეთათვის საგადასახადო ტვირთი და საშემოსავლო გადასახადის ერთიან განაკვეთად 1% განისაზღვრა. ამასთან, მცირე მეწარმეთათვის კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლის ზღვარი 100 000 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 500 000 ლარი. აღნიშნული ცვლილებების შედეგად საკმაოდ ბევრ გადასახადის გადამხდელს მიეცა სტიმული გადასულიყვნენ მცირე ბიზნესის სტატუსზე.

**დიაგრამა N 28. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012 – 2022**

**წლებში**

## მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2012-2022 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ 2012 წლიდან 2018 წლის 1-ელ ივლისამდე აღინიშნება თითქმის ერთგვარი დინამიკა, წლების მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეთა რეგისტრაციის შესახებ (წმინდა მატება, წლის განმავლობაში ახლად რეგისტრირებულ პირთა რაოდენობას გამოკლებული წლის განმავლობაში რეგისტრაცია გაუქმებულ პირთა რაოდენობა).

2013 წლის მანძილზე რეგისტრირებულ მეწარმეთა რაოდენობამ 7137 პირი შეადგინა, 2014 წელში 8897, 2015 წელში 7753, 2016 წელში 7338, 2017 წელში 7803 პირი. 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2018 წლის 1-ელ ივლისამდე, დამატებით 3009 პირს მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, ხოლო მას შემდეგ რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება ამოქმედდა და 2018 წლის პირველი ივლისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთად 1% განისაზღვრა (ნაცვლად

ზემოთ ხსენებული 5 და 3%-ისა), საგრძნობლად იმატა მცირე ბიზნესის სტატუსით რეგისტრირებულთა რაოდენობამ. 2018 წლის პირველი ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დამატებით დარეგისტრირდა 9285 პირი, რაც სამჯერ მეტია 2018 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე რეგისტრირებულთა რაოდენობაზე. 2019 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 19059 პირი, 2020 წელს - 14111 პირი, 2021 წელს - 12946 პირი, ხოლო 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის პირველ ივლისამდე პერიოდში 21857 პირი.


2022 წლის ბოლოს მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობს 164055 ინდივიდუალური მეწარმე, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წლის ბოლოს მხოლოდ 21826 პირს შეადგენდა.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთად 1%-ის განისაზღვრა, იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოში ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მეწარმეების მსგავსი შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს. 2022 წლის ბოლოს საქართველოში რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების რაოდენობის 26%-ზე მეტი მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობს.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ნუსხაში, ექვემდებარება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრას.

**დიაგრამა N 29. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე გადამხდელთა რაოდენობა 2012 – 2022 წლებში**

## ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე გადამხდელთა რაოდენობა 2012- 2022 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

დიაგრამიდან ჩანს, რომ 2012 წლიდან 2022 წლის მანძილზე, ყოველწლიურად მატულობდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე გადამხდელთა რაოდენობა. 2022 წლის ბოლოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 7599 პირს შეადგინდა, მაშინ როდესაც 2012 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი 1919 პირი იყო.

საქართველოში სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით აქტიურად სარგებლობენ გადამხდელები, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ დიდი ხელშეწყობა აქვს ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებზე გადასვლამ, მნიშვნელოვნად გაამარტივა საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები და შესაბამისად მათი საგადასახადო კონტროლიც უფრო მარტივად ხორციელდება. აღნიშნული ხელს უწყობს საგადასახადო სტრუქტურების რესურსების გამოთავისუფლებას და მათ გადანაწილებას უფრო მეტად

მაღალრისკიან გადასახადის გადამხდელთა კონტიგენტზე, რაც საერთო ჯამში ქვეყნის მასშტაბით ფინანსური კონტროლის გაძლიერებას უწყობს ხელს.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს, რადიკალური საგადასახადო ცვლილებების განხორციელება ერთულებათ, რადგან, ან საზოგადოებაში უკმაყოფილება იქმნება ან საბიუჯეტო შემოსავლების კლებას აქვს ადგილი. ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმა უპრობლემოდ განხორციელდა და მისი შედეგიც მთელ საზოგადოებაზე იყო მორგებული.

საგადასახადო ცვლილებები ესტონეთმა 1994 წელს აქტიურად დაიწყო, როდესაც დიფერენცირებული გადასახადების ნაცვლად, საშემოსავლო გადასახადის განსაზღვრა, რომელსაც იხდიან ფიზიკური პირები, ფიქსირებული ტარიფით განხორციელდა. მოგების გადასახადის რეფორმა, რომელიც იურიდიულ პირებს ეხებათ ესტონეთში 2000 წელს ამოქმედდა, რომელიც დღეს მსოფლიოს მასშტაბით, აქტიურად გამოიყენება. რეფორმის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რონ მოგების გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვა კომპანიებს ევალებათ მისი განაწილებისას და არა მოგების მიღებისას.

კომპანიას შეუძლია მოგების ხარჯზე, განახორციელოს რეინვესტირება - გააფართოვოს წარმოება ან, დეპოზიტზე განათავსოს თანხა. მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება კალენდარული თვის ჭრილში, აქედან გამომდინარე, კომპანიებს შეუძლიათ წლის განმავლობაში ცვლილებები განახორციელონ მოგების თუ საინვესტიციო განაწილების გეგმებში.

საგადასახადო დაბეგვრის კუთხით, ესტონეთი EU-ს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანაა. ესტონეთში არ არსებობს ე.წ. „სუსტი კაპიტალიზაციის“ მარეგულირებელი ნორმები. საგადასახადო ადმინისტრირება რისკების მართვის პროგრამის შესაბამისად ხორციელდება, აქტიურად კონტროლდება გადასახადების დამალვის შემთხვევები და სანქციებიც საკმაოდ დიდია.

ესტონელებმა წარმატებით შეძლეს ტრანსნაციონალური, ჰოლდინგური კომპანიების საფინანსო ვალდებულებების თანმდევი საგადასახადო რისკების დაზღვევაც. ესტონელი მეწარმეების უმეტესობის აზრით, მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა გაამართლა. მოგების გადასახადის რეფორმის შემდგომ,

ესტონეთში აქტივების ლიკვიდურობა გაიზარდა, ინვესტიციებიდან უკუგებამ იმატა 17%-ით, მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა - TFP 8%-ით გაიზარდა და გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების წილი მთლიანი კაპიტალის მოცულობაში კი - 8,1%-ით.

ესტონეთში, ისევე როგორც საქართველოში, ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო, საგრძნობლად ხომ არ შეამცირებდა რეფორმა საბიუჯეტო შემოსავლებს? აღნიშნულ კითხვასაც მკაფიო პასუხი გაეცა: მოგების გადასახადიდან საბიუჯეტო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. მოგების გადასახადის კუთხით მხოლოდ ორი წლის მანძილზე იყო შესამჩნევი კლება, ხოლო 2001 წლიდან ესტონეთის ბიუჯეტში მოგების გადასახადის გადახდის ზრდის დინამიკა აღინიშნება.

2017 წლის 1-ლი იანვრიდან, საქართველოში მოქმედი იურიდიული პირების უმეტესობა, გადავიდა ესტონურ მოდელზე და მათი დასაბეგრი შემოსავალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით სხვაგვარად განისაზღვრა. 2017 წლამდე იურიდიული პირები წლიური მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში იხდიდნენ დასაბეგრი შემოსავლის 15%-ს. ამ პერიოდში მათი დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრებოდა, როგორც ერთობლივ შემოსავალს გამოკლებული ერთობლივი ხარჯი კალენდარული წლის განმავლობაში. ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგ, პირი მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს განაწილებული მოგება; გასწევს ისეთი ტიპის ხარჯს, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას; უსასყიდლოდ ახორციელებს საქონლის მიწოდებას, მომსახურების გაწევას ან ფულადი სახსრების გადაცემას; საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმაზე მეტი ოდენობით გასწევს წარმომადგენლობით ხარჯს.


მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ თუ საწარმოს აქციონერების მიერ არ ხორციელდება მოგების განაწილება და წლის განმავლობაში მიღებული მოგების რეინვესტირება ხდება საწარმოს კაპიტალში, საწარმოს არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა. ესტონურ მოდელზე გადასვლამდე მიუხედავად იმისა ხდებოდა თუ არა თანხის გატანა საწარმოდან, მეწარმეს მაინც ევალებოდა მოგების გადასახადის ბიუჯეტში გადახდა. ესტონურ მოდელზე გადასვლამ სტიმული მისცა მიღებული

მოგების რეინვესტირებას საწარმოს კაპიტალში და ადგილობრივი წარმოების გაფართოებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა N 30) წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მოგების გადასახადის მუხლი 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით დინამიკაში.

**დიაგრამა N 30. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი 2015 – 2022 წლებში**

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი  
მოგების გადასახადი 2015 - 2022 წლებში  
(მლნ. ლარი)**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ 2015 წელს საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადის თანხა 1 025.2 მლნ. ლარს შეადგენს. 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2015 წელთან შედარებით კიდევ 31 მილიონი ლარით მოიმატა, ხოლო მას შემდეგ რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საწარმოთა დაბეგვრის ესტონური მოდელი, მოგების გადასახადის ნაწილში ბიუჯეტში ნაკლები თანხა ჩაირიცხა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. 2017 წელს ბიუჯეტში გადახდილმა მოგების გადასახადმა 756.6 მლნ. ლარი

შეადგინა, მაშინ როდესაც, აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს 1 055.9 მლნ. ლარი იყო. 2017 წელს მოგების გადასახადის 300 მილიონ ლარამდე კლება 2016 წელთან შედარებით, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ესტონური მოდელით დაბეგვრის სფეროში მოექცა საქართველოს საწარმოების თითქმის 90% და წინა წლებისგან განსხვავებით მათი მოგება იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ აქციონერების მიერ მოხდება მოგების განაწილება, ხოლო თუ აქციონერების მიერ მიღებული მოგება რეინვესტირებული იქნება საწარმოს კაპიტალში, მათ მოგების გადასახადის გადახდა არ მოუწევთ. ესტონური მოდელის ამოქმედებამ, სტიმული მისცა აქციონერებს განეხორციელებინათ მიღებული მოგების რეინვესტირება და საწარმოს კაპიტალის გაზრდა, რაც გრძელვადიან პერიოდში ადგილობრივი წარმოების გაფართოებას უზრუნველყოფს. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით კიდევ 20 მილიონ ლარამდე შემცირდა ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით, უკვე 130 მილიონ ლარამდე იმატა მოგების გადასახადის ბიუჯეტში გადახდამ. როგორც მოსალოდნელი იყო, ესტონური მოდელის ამოქმედებამ თავდაპირველად გამოიწვია გადახდილი მოგების გადასახადის შემცირება, რადგან აქციონერებს მეტი სტიმული მიეცათ კაპიტალის რეინვესტირებისა, თუმცა გრძელვადიან პერიოდში გამოვლინდა დადებითი შედეგი, რადგან მოგების რეინვესტირებამ უზრუნველყო წარმოების გაფართოება, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერიოდში მეტი მოგების მიღების და ბიუჯეტში მეტი გადასახადის გადახდის საფუძველია. 2020 წლის მიხედვით საქართველოს ბიუჯეტში გადახდილმა მოგების გადასახადმა, პანდემიით გათვალისწინებული კრიზისისა და ლოკდაუნის მიუხედავად, 919.4 მლნ. ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი პანდემიამდელი, 2019 წლის მაჩვენებელზე 6.1 პროცენტით მეტია. 2021 წელს, საქართველოს ბიუჯეტში გადახდილმა მოგების გადასახადმა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 10.43 პროცენტით მოიმატა და 1015.3 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 90.11 პროცენტით გაიზარდა საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადის თანხა და 1930.2 მლნ. ლარი შეადგინა. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს ჩარიცხული მოგების გადასახადის თითქმის გაორმაგებული ოდენობა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე, ანუ ესტონური მოდელის

ამოქმედებამდე ჩარიცხული მოგების გადასახადის თანხაზე 874 მლნ. ლარით მეტია, მკაფიოდ მეტყველებს ესტონური მოდელის წარმატებულ მუშაობაზე საქართველოში. 2021 წელს მოგების გადასახადის წილმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში 8.9% შეადგინა, 2017 წლის 8.4%-ის ნაცვლად. საქართველოში ესტონური მოდელის დადებითი შედეგები მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოჩნდება, რაც იმედია, საერთო ჯამში ქვეყანაში, ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს.

განვიხილოთ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2022 წელს.

### **ცხრილი N 3. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები**

პერიოდი: 01.01.2022 - 01.01.2023-მდე

შემოსულობი	წლიური გეგმა	მიმდინარე შესრულება (ნაზარდი, სულ)	მიმდინარე შესრულება (ნაზარდი, მიზნობრივი გრანტების გარეშე)	მიმდინარე შესრულება (ნაზარდი, მიზნობრივი გრანტები)	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %-ში
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	16,357,411,000.00	16,450,247,430.56	16,337,385,579.92	112,861,850.64	100.6%
მ.შ. გადასახადები	14,964,700,000.00	14,976,686,124.77	14,976,686,124.77		100.1%
გრანტები	342,711,000.00	359,062,129.25	251,366,578.61	107,695,550.64	104.8%
<b>მ.შ., ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები</b>	<b>221,198,000.00</b>	<b>121,632,247.52</b>	<b>121,632,247.52</b>		<b>55.0%</b>
<b>სხვა გრანტები (სსიპ - დან მიღებული)</b>	<b>90,000,000.00</b>	<b>98,162,082.07</b>	<b>98,162,082.07</b>		<b>109.1%</b>
სხვა შემოსავლები	1,050,000,000.00	1,114,499,176.54	1,109,332,876.54	5,166,300.00	106.1%
არაფინანსური აქტივების კლება	300,000,000.00	202,833,501.33	202,833,501.33		67.6%
ფინანსური აქტივების კლება	150,000,000.00	144,228,875.04	144,228,875.04		96.2%
ვალდებულებების ზრდა	3,641,637,000.00	3,731,879,671.28	3,731,879,671.28		102.5%
საშინაო ვალდებულებების ზრდა	1,300,000,000.00	1,346,339,792.92	1,346,339,792.92		103.6%
საგარეო ვალდებულებების ზრდა	2,341,637,000.00	2,385,539,878.36	2,385,539,878.36		101.9%
<b>მ.შ., საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები</b>	<b>1,541,637,000.00</b>	<b>1,568,639,613.31</b>	<b>1,568,639,613.31</b>		<b>101.8%</b>

<b>ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები</b>	<b>800,000,000.00</b>	<b>816,900,220.05</b>	<b>816,900,220.05</b>			<b>102.1%</b>
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები სულ	20,449,048,000.00	20,529,189,478.21	20,416,327,627.57	112,861,850.64	100.4%	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

ის ფაქტი, რომ 2022 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილი მაჩვენებლის 100,4% შესრულდა, მთავრობის დადებითად წარმართულ საქმიანობაზე მეტყველებს.

#### ცხრილი N 4. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

პერიოდი: 01.01.2022 - 01.01.2023-მდე

გადასახდელები	წლიური ასიგნება	გადახდა (ნაზარდი, სულ)	გადახდა (ნაზარდი, მიზნობრივი გრანტების გარეშე)	გადახდა (ნაზარდი, მიზნობრივი გრანტები)	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %- ში	წლიური ვალდებულება (ნაზარდი, სულ)	წლის რესურსი
შრომის ანაზღაურება	1,789,436,452.00	1,792,064,954.82	1,782,209,178.57	9,855,776.25	100.1%	1,796,748,205.77	(7,311,753.77)
საქონელი და მომსახურება	1,855,904,852.97	1,870,858,621.38	1,826,127,252.19	44,731,369.19	100.8%	1,889,330,215.90	(33,425,362.93)
პროცენტი	763,197,000.00	746,805,276.06	746,805,276.06	-	97.9%	746,805,276.06	16,391,723.94
<b>მ,შ.,აგრძელებულებებზე</b>	<b>243,500,000.00</b>	<b>236,361,336.03</b>	<b>236,361,336.03</b>	-	<b>97.1%</b>	<b>236,361,336.03</b>	<b>7,138,663.97</b>
საშინაო ვალდებულებებზე	519,697,000.00	510,443,940.03	510,443,940.03	-	98.2%	510,443,940.03	9,253,059.97
სუბსიდიები	1,001,007,842.00	1,004,617,905.00	996,509,054.56	8,108,850.44	100.4%	1,008,913,723.24	(7,905,881.24)
გრანტები	1,311,443,763.00	1,260,617,955.23	1,254,339,356.79	6,278,598.44	96.1%	1,276,332,175.46	35,111,587.54
<b>მ,შ.,ავტონომი ური და ადგილობრივი თვითმმართვე ლი ერთეულების ბიუჯეტებს</b>	<b>941,524,974.00</b>	<b>936,837,535.95</b>	<b>936,837,535.95</b>	-	<b>99.5%</b>	<b>937,973,919.57</b>	<b>3,551,054.43</b>
სოციალური უზრუნველყოფა	6,052,846,384.00	6,052,095,213.98	6,051,973,138.53	122,075.45	100.0%	6,052,602,035.22	244,348.78
სხვა ხარჯები	2,629,632,279.03	2,623,099,142.93	2,600,487,911.11	22,611,231.82	99.8%	2,632,847,674.95	(3,215,395.92)
<b>მ,შ., კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირე ბული</b>	<b>1,128,759,272.00</b>	<b>1,136,794,412.17</b>	<b>1,128,834,523.56</b>	<b>7,959,888.61</b>	<b>100.7%</b>	<b>1,142,305,023.48</b>	<b>(13,545,751.48)</b>
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,226,337,032.00	3,304,432,824.15	3,283,278,875.10	21,153,949.05	102.4%	3,322,225,486.07	(95,888,454.07)
ფინანსური აქტივების ზრდა	505,596,800.00	489,436,512.95	489,436,512.95	-	96.8%	489,537,813.61	16,058,986.39

ვალდებულებების კლება	1,050,618,595.00	1,018,984,103.72	1,018,984,103.72	-	97.0%	1,018,984,103.72	31,634,491.28
მ. შ., სამინაო კრედიტორები	42,854,440.00	42,854,440.00	42,854,440.00	-	100.0%	42,854,440.00	-
საგარეო კრადიტორებ ი	1,007,764,155.00	976,129,663.72	976,129,663.72	-	96.9%	976,129,663.72	31,634,491.28
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სულ	20,186,021,000.00	20,163,012,510.22	20,050,150,659.58	112,861,850. 64	99.9%	20,234,326,710.00	(48,305,710.00)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ დაგეგმილთან შედარებით გადასახდელების, ფაქტობრივად თითქმის ყველა მუხლი პროცენტულად სრულად შესრულებულია 2022 წელს და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელები, დაგეგმილი მაჩვენებლის თითქმის 100%-ს შეადგენს.

რაც შეეხება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებას, ერთი წლის მანძილზე 881 405 050,25 ლარიდან 1 247 582 018,24 ლარამდე გაიზარდა (იხ. ცხრილი N 5).

#### ცხრილი N 5. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის

##### ცვლილება

პერიოდი: 01.01.2022 - 01.01.2023-მდე

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	ნაშთი 01.01.2022	მიმდინარე ნაშთი	ნაშთის ცვლილება
	881,405,050.25	1,247,582,018.24	366,176,967.99

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

#### ცხრილი N 6. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების ანგარიში

ათასი ლარი

1. სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი (დაზუსტებული)	881,405.05
თავისუფალი ნაშთი	880,255.0
ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)	1,150.0

2. სახელმწიფო ხაზინის აწგარიშებზე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი (ოპერატიული)	1,247,582.0
თავისუფალი ნაშთი	1,246,065.3
ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად (გრანტი)	1,516.7
მათ შორის:	
დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)	997.4
მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა	519.4
3. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: (გამოყენება-) (დაგროვება+)	366,177.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

#### ცხრილი N 7. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წ ლ იუ რი გეგმა	შესრულება
შემოსავლები	16,357,411.0	16,450,247.4
გადასახადები	14,964,700.0	14,976,686.1
გრანტები	342,711.0	359,062.1
სხვა შემოსავლები	1,050,000.0	1,114,499.2
ხარჯები	15,403,468.6	15,350,159.1
შრომის ანაზღაურება	1,789,436.5	1,792,065.0
საქონელი და მომსახურება	1,855,904.9	1,870,858.6
პროცენტი	763,197.0	746,805.3
სუბსიდიები	1,001,007.8	1,004,617.9
გრანტები	1,311,443.8	1,260,618.0
სოციალური უზრუნველყოფა	6,052,846.4	6,052,095.2


სხვა ხარჯები	2,629,632.3	2,623,099.1
ს ა მ პ ე რ ა ც ი ო ს ა ლ დ ო	953,942.4	1,100,088.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,926,337.0	3,101,599.3
ზრდა	3,226,337.0	3,304,432.8
კლება	300,000.0	202,833.5
გ თ ლ ი ა ნ ი ს ა ლ დ ო	(1,972,394.6)	(2,001,511.0)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებს თუ შევადარებთ წლების მიხედვით დინამიკაში, ცალსახად ჩანს რომ ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა შემოსულობების მოცულობამ (იხ. დიაგრამა N 31).

**დიაგრამა N 31. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2004 –**


**2021 წლებში (მლნ. ლარი)**



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა


რაც შეეხება, გადასახდელების მოცულობას ბუნებრივია, რომ შემოსულობების ზრდასთან ერთად გადასახდელების მაჩვენებელიც იზრდებოდა შესაბამის წლებში. განსაკუთრებით მკვეთრი მატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში, ბოლო პერიოდში აღინიშნება (იხ. დიაგრამა N 32).

**დიაგრამა N 32. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2004 – 2021 წლებში (მლნ. ლარი)**



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

**დიაგრამა N 33. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სახეების  
მიხედვით 2008 – 2021 წლებში (მლნ. ლარი)**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მუხლებში, ყველაზე დიდი წილი ხარჯებზე მოდის, შემდეგ არაფინანსურ აქტივებზე, ფინანსურ აქტივებზე და ბოლოს - ვალდებულებებზე.

ბოლო პერიოდში იმატა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნებებმა, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე, რაც განსაკუთრებით 2018 წლიდან აღინიშნება (იხ. დიაგრამა N 34).

#### დიაგრამა N 34. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაბრუნებები 2008 – 2021

წლებში (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

როდესაც მეწარმეს ბიუჯეტში გადასახდელი აქვს გადასახადი, აღნიშნულ თანხას ყოველდღიურად ერიცხება საურავი. 2013 წლამდე, საურავი შეადგენდა გადასახდელი გადასახადის თანხის 0,07%-ს, რაც 2013 წლიდან შემცირდა ჯერ 0,06%-მდე, ხოლო შემდეგ 2015 წლის ივლისიდან - 0,05%-მდე<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები, 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მაინც მაღალია.

<sup>17</sup> საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი., 2010 წ. 17 სექტემბერი, მუხლი 272, პუნქტი 4.

მეწარმე ისედაც ვერ იხდის გადასახადს და სახელმწიფო კიდევ უფრო უმძიმებს მას საგადასახადო ტვირთს ყოველდღიურად. ფაქტიურად, მეწარმემ ერთი წელი რომ ვერ გადაიხადოს თანხა ბიუჯეტში, საურავი გადასახდელი თანხის 18,25%-ს მიაღწევს.

$$365 \text{ დღე} \times 0,05\% = 18,25\%.$$

საქართველოში საბანკო საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია, მაგრამ მიუხედავად ამისა გადასახადის გადამხდელისთვის უმჯობესია, სესხი გამოიტანოს ბანკიდან და გადასახადი გადაიხადოს ბიუჯეტში, რადგან საბანკო სესხის განაკვეთი საშუალოდ 12%-ია, ხოლო საურავი წლიურად 18%-ზე მეტი გამოდის. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი საჭიროებს გადახედვას, რადგან ისედაც რთულ პირობებში მყოფი გადასახადის გადამხდელი, რომელიც ვერ იხდის ბიუჯეტში კუთვნილ გადასახადს, კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება საკმაოდ მაღალი საურავის დარიცხვის გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ საურავების ფისკალური ფუნქციის ეფექტიანობა თანდათან კლებულობს, რაც უკავშირდება ეკონომიკის და საგადასახადო კულტურისა და დისკიპლინის ზრდას. შესაბამისად, აღნიშნული ასპექტითაც შეიძლება მოხდეს საურავის განაკვეთის შემცირება და სიმძიმის ცენტრის თანდათან ფისკალურიდან მაკონტროლებელ ფუნქციაზე გადატანა.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ როდესაც მეწარმეს დავალიანება აქვს ბიუჯეტის მიმართ ერიცხება საურავი, ზედმეტობის არსებობის პირობებში დამატებითი სარგებლის დარიცხვა არ ხორციელდება. მაგალითად, სინგაპურში, საგადასახადო ზედმეტობის არსებობისას, ბარათზე ხორციელდება სარგებლის დარიცხვა, საბანკო ანაბრის მსგავსად. მნიშვნელოვანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ ერთობლივად განხორციელდეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და გადაიხედოს ყოველდღიურად დასარიცხი საურავის განაკვეთი.

მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ფუნქციონირებს ფინანსური სისტემის ერთ-ერთი წამყვანი სტრუქტურული რგოლი - ხაზინა. ხაზინის როლი ქვეყნის ფინანსების მობილიზაციაში საკმაოდ მაღალია, რადგან ხაზინის

მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფოებრივი კონტროლი, ფინანსების მობილიზაციასა და ხარჯვაზე. ხაზინის მთავარი არსი მდგომარეობს, სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსავლებისა და გასავლების კონტროლში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არის, ფინანსთა სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულება. სახელმწიფო ხაზინას ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშები და ანგარიშსწორებისათვის მინიჭებული აქვს საბანკო კოდი. სახელმწიფო ხაზინა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2015 წლიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სახაზინო სისტემაში ჩართულობასთან დაკავშირებით. 2015 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანილ იქნენ ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, მათ დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ჩათვლით, შეიქმნა ერთიანი სახაზინო კოდები. აღნიშნული რეფორმის შედეგად, უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა საბიუჯეტო სახსრების შემოდინებისა და გადინების პროცესი, რადგან სახაზინო სამსახურის ელექტრონული სისტემის საშუალებით არა მარტო სიცხადე შეემატა აღნიშნული თანხების მოძრაობას, ასევე ჩამოყალიბდა აღნიშნული რესურსების ოპერატიული კონტროლი, რომელიც ნაკლებ დროს მოითხოვს.

საპარლამენტო კონტროლის განხორციელების საფუძველს, საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს. პარლამენტის როლი საერთო სახელმწიფოებრივ ფინანსურ კონტროლში საქართველოში საკმაოდ მაღალია. პარლამენტის კომპეტენციაში შედის ბიუჯეტის დამტკიცება, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების ფორმირება. სამთავრობო უწყებების საფინანსო საქმიანობის კონტროლი პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ხორციელდება. პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებაა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღება.

საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის საქართველოში ჩამოყალიბებული სისტემა, ბევრ დადებითთან ერთად, მრავალ უარყოფით ელემენტსაც შეიცავს. ჩვენს მიერ განხილულ იქნა საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები და გამოკვეთილ იქნა ხარვეზები, რომელიც საჭიროებს აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, სისტემაში არსებული ხარვეზების დროული გამოსწორება, რათა მომავალში ხელი შეეწყოს სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

### **3.3. უწყებრივი ფინანსური კონტროლი (სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი)**

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რეგულირდება საბიუჯეტო ორგანიზაციებში უწყებრივი საფინანსო კონტროლის განხორციელების პრინციპები, განისაზღვრება სახელმწიფო შიდა საფინანსო კონტროლის სისტემისათვის მნიშვნელოვანი სტანდარტები და მეთოდოლოგია.

საქართველოში, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემისჩამოყალიბება რეგულირდება საქართველოს კანონით, რომელიც 2011 წლის 9 დეკემბრის „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საფუძველზე რეგულირდება. ასევე, შიდა აუდიტის სფეროში მოქმედებს შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტები:

1. შიდა აუდიტის მეთოდოლოგია - „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება;
2. სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო - „სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N592 დადგენილება;
3. შიდა აუდიტის სტანდარტები - „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 განკარგულება;
4. შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი - „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1016 განკარგულება.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია“ შემუშავებულია ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია, მე-20 საუკუნის ბოლოს შემუშავდა ევროპის ქვეყნებისათვის, რომელთაც სურდათ ევროკავშირში გაწევრიანება. ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის აუცილებელ მოთხოვნას შიდა კონტროლის გამართული სისტემების არსებობა წარმოადგენდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი - IMF და მსოფლიო ბანკი - WB მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ, ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების დონეს.

მსოფლიო ბანკი საქართველოში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ორგანიზაციაა მსოფლიოს მასშტაბით. მსოფლიო ბანკი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შეარს უჭირს ძლიერი ინსტიტუტების ფორმირების საკითხში მთავრობებს, რომლებიც გააუმჯობესებენ ფისკალურ ზედამხედველობას, უზრუნველყოფენ ბიუჯეტირების პროცესის სიჯანსაღეს, სოციალური სერვისების მაღალი დონით მიწოდებას და ა.შ.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განახორციელებული პროექტები (მათი რაოდენობა 100-ს აღემატება) მიმართულია ქვეყნის განვითარებისაკენ. ამასთან, ყოველი პროექტი, როგორც წესი, უზრუნველყოფილია საკმაოდ იაფი ფულადი რესურსით, ხოლო ბანკის ექსპერტები აქტიურად მონაწილეობენ რეფორმის პროცესში პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში.

საქართველოს საგარეო ვალის დიდი ნაწილი სწორედ მსოფლიო ბანკზე და მის სპეციალიზებულ ინსტიტუტებზე მოდის. მსოფლიო ბანკის პირდაპირ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება და მაღალი გადახდისუნარიანობა. იმისათვის, რომ საქართველო იყოს მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე და შეძლოს კრედიტორებთან ანგარიშსწორება, საჭიროა მსოფლიო ბანკის ინვესტიციები ისეთი სფეროების განვითარებას მოახმაროს, რომლებიც ქვეყანას მაღალ კონკურენტუნარიანობას მოუტანს.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა მოკლე დროში შემუშავებულიყო ახალი კანონები ქვეყნის დონეზე ფინანსური კონტროლის კუთხით და საბანკო სისტემისთვის. ამასთანავე, ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო 15 მლნ-ანი სესხი, რომელიც ეკონომიკის

რეაბილიტაციას, კერძოდ ბანკებისა და საგადასახადო სამსახურების რეორგანიზაციასა და განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 1991 წლიდან ჩაერთო დამოუკიდებელი საქართველოს საქმიანობაში და უკვე 1992 წლიდან საქართველო გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მიზანს საქართველოში წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად რეკომენდაციების გაწევა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ კუთხით საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებებასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და ფინანსურ კონტროლზე ორიენტირებაა.

საქართველომ 1994 წლიდან დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების რეალიზაცია. შემუშავდა „ანტიკრიზისული პროგრამა”, რის საფუძველზეც მოხერხდა საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, ინფლაციის დათრგუნვა, ეროვნული პროდუქტის სტაბილური ზრდა, გატარდა ფულადი რეფორმა, ფასებისა და საშინაო და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური პერიოდულობით შედგენა, ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნა, სახელმწიფო ბანკების პრივატიზება და საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შედეგად ქვეყნისთვის გადამხდელუნარიანი იმიჯის შექმნა.

დაწესებულების ყველა ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემის დახვეწილად ფუნქციონირებაზე. ჯეროვნად წარმართული შიდა კონტროლის სისტემის ფარგლებში დაწესებულებაში უნდა არსებობდეს მენეჯერული იერარქია, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელთა უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულებები.

შიდა კონტროლის სისტემაში მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა. საბიუჯეტო სახსრების განაწილება უნდა განხორციელდეს პრიორიტეტების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფოში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის სტრუქტურიზებასა და დახვეწას, ჰარმონიზაციის ცენტრის საშუალებით უწყობს ხელს.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი აუდიტის სუბიექტი, ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც დამოუკიდებელია აუდიტის დაგეგმვის დროს, ასევე, განხორციელებისა და ანგარიშგების ეტაპზე. შიდა აუდიტორის საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე სახის ზემოქმედება აკრძალულია.

შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

- ა) საქართველოს სამინისტროებში;
- ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;
- გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომელთა ჩამონათვალს და რომლებშიც შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა;
- დ) მუნიციპალიტეტის მერიაში - შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მერიის დებულების საფუძველზე.<sup>18</sup>

ზემოთ აღნიშნული დაწესებულებები, შეიმუშავებენ ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის სტრუქტურას. ფინანსურ მართვასა და კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელი ყველა სტრუქტურულ ერთეულში და ასევე, აღნიშნული დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სტრუქტურაში.

იმისათვის, რათა დაწესებულების ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ფინანსური კონტროლის სათანადოდ განხორციელება, ახდენს რისკის გამოკვეთასა და შეფასებას; აყალიბებს დაწესებულების მიზნებსა და ამოცანებს; ხელს უწყობს მონაცემთა დაცვისა და მართვისათვის სისტემის შექმნას; ახორციელებს უფლებამოსილებების გადანაწილებას; შიდა აუდიტორების რეკომენდაციებზე და ასევე, სხვა შეფასებებზე დაყრდნობით იღებს შესაბამის ზომებს სისტემის გასაუმჯობესებლად.

<sup>18</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, თავი I, მუხლი 4, პუნქტი 1.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანია, დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევა. FMC გულისხმობს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, რის საფუძველზეც ხორციელდება დასახული მიზნების მიღწევა. სისტემის დანერგვის არსი საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესებაში მდგომარეობს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სახელმწიფო შიდა ფინანსურ კონტროლს ძირითადად, ორი ტიპის განსაზღვრება გააჩნია. მაგალითად: ბელგიაში, ლუქსემბურგში, ესპანეთში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი განისაზღვრება, როგორც საჯარო ადმინისტრირების არეალში მოქმედი სისტემა, სხვა ქვეყნებში მაკედონიაში, ხორვატიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მონტენეგროსა და სხვა სახელმწიფოების დონეზე შიდა კონტროლი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო სექტორის ყველა მმართველი პირის აუდიტის და შიდა კონტროლის პროცესში ჩართულობა და მონიტორინგის განხორციელებაა უზრუნველყოფილი. პირველი შემთხვევის დროს, ქვეყნებს აქვთ სპეციალური კონტროლის ორგანოები, მაგალითად: ესპანეთში - Intervention General de la Administracion del Estado (IGAE), ლუქსემბურგში და ბელგიაში - Inspection Generale des Finances. აღნიშნული ორგანოები არ არიან დამოკიდებულნი ხელისუფლებაზე. აღნიშნულ სისტემებს მოიხსენიებენ, როგორც ცენტრალიზებულ შიდა კონტროლის სისტემებს. მეორე შემთხვევაში, საჯარო სექტორში მომუშავე პირებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული რისკების მოგვარება ევალებათ. ასეთ სისტემებს დეცენტრალიზებულ შიდა კონტროლის სისტემებს უწოდებენ. ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული შიდა კონტროლის მექანიზმები - ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს ცენტრალიზებული სისტემა, ჩამოყალიბებულია შიდა კონტროლის სპეციალურად შექმნილი უწყებები, ხოლო ქვეყნებში, სადაც დეცენტრალიზებული სისტემა ფუნქციონირებს - პასუხისმგებლობა შიდა კონტროლის პროცედურებზე დანაყოფების მმართველ პირებზეა გადანაწილებული.

საფრანგეთში, 2011 წლიდან, შიდა კონტროლის მართვის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელებზე გადავიდა და აქედან გამომდინარე, საჯარო სამსახურის მმართველი პირების პასუხისმგებლობები გაიზარდა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებში, მაგალითად: ლუქსემბურგში, ბელგიაში, ესპანეთში, მაკედონიაში, ხორვატიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, სლოვენიაში, ლიტვაში, ავსტრიაში, კვიპროსში, ლატვიაში, ჩეხეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, სლოვაკეთში შიდა კონტროლის ძირითადი პრინციპები გაწერილი არის საკანონმდებლო აქტებში ან ფინანსურ დოკუმენტებში. მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს ფედერალური ბიუჯეტის კანონი, პორტუგალიაში სახელმწიფო შიდა ფინანსური სისტემების შესახებ დეკრეტი, ფინეთში - სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ დეკრეტი, სლოვენიაში - სახელმწიფო ფინანსების შესახებ კანონი, საფრანგეთში - ადმინისტრაციაში შიდა აუდიტისა და კონტროლის შესახებ დეკრეტი და ა.შ.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განხორციელება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს შეუწყობს შიდა კონტროლის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და მიღწეულ იქნება დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება.

შიდა კონტროლის სისტემის გამართული მუშაობა, შესაძლებლობას აძლევს მენეჯერებს, სწორად განისაზღვროს დაწესებულებების მიზნები, რომელთა მიღწევაც მოხდება დროულად.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილად ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტის ფუნქციაა, შეაფასოს, რამდენად ადეკვატურად არის განსაზღვრული დაწესებულების მიზნები, რამდენად მარტივად არის შესაძლებელი მენეჯერებისათვის სწორი ფინანსური ინფორმაციის მოძიება და სხვა.

ჰარმონიზაციის ცენტრალური ერთეული (Central harmonization unit), იმისათვის ყალიბდება, რათა განხორციელდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის კოორდინირებულად წარმართვა. ასეთ ერთეულს შიდა რისკისა და კონტროლის მართვის საბჭოს (Council for Internal Control and Risk Management) უწოდებენ ფინეთში, ლიტვაში მოიხსენიებენ, როგორც ცენტრალიზებულ შიდა აუდიტორულ სამსახურს

(Centralized Internal Audit Service), ფინანსების ინსპექტორატის (Inspectorate of Internal Finance) სახელით არის ცნობილი პორტუგალიაში, ჩვენს ქვეყანაში კი ჰარმონიზაციის ცენტრი ეწოდება.

აღნიშნული ერთეული პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის, შიდა აუდიტორებისთვის მეთოდოლოგიის და ასევე, სტანდარტების ჩამოყალიბებაზე, სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შექმნაზე, ტრენინგების და კურსების მოწყობაზე, მაგალითად: ფინეთში, ბელგიაში, ლატვიაში, პორტუგალიაში, ლიტვაში, საფრანგეთში, სლოვენიაში, მონტენეგროში, ხორვატიაში.

ქვეყნებში, სადაც შიდა კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემა ფუნქციონირებს, აღნიშნული ერთეულები ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შედიან და იმართებიან დამოუკიდებელი მრჩევლებით შემდგარი საბჭოს ან კომიტეტის მიერ. ქვეყნებში, სადაც შიდა კონტროლის სისტემა ცენტრალიზებული სახით არის ჩამოყალიბებული, აღნიშნული ამოცანის შესრულება, ერთიან სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება, მაგალითად: საბერძნეთში, ავსტრიაში, კვიპროსში.

ჰარმონიზაციის ცენტრს ძირითადად მაკოორდინირებელი როლი აკისრია, რაც გულისხმობს მის აქტიურ თანამშრომლობას საბიუჯეტო დაწესებულებებთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, ხაზინასთან და იმ მხარეებთან, რომლებიც ჩაბმულნი არიან რეფორმის მიმდინარეობის პროცესში.

ჰარმონიზაციის ცენტრის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფს, მისი მოწყობა ფინანსური მართვისა და კონტროლის განვითარების მიმართულებით და ასევე, შიდა აუდიტის დახვეწის მხრივ.

დაწესებულების ხელმძღვანელის ვალდებულებაა, შექმნას კონტროლის გარემო, რომელიც მოიცავს მართვის პროცესებსა და მეთოდებს, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიზნების ჩამოყალიბებას, თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

რისკის მართვისათვის დაწესებულების ხელმძღვანელი განსაზღვრავს პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს დასახული ამოცანების შესრულებაზე და

ასევე, უზრუნველყოფს რისკის შესამცირებლად სათანადო პროცედურების განხორციელებას.

კონტროლის ღონისძიებების გატარების არსი მდგომარეობს რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირებაში, კონტროლის ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯები ნაკლები უნდა იყოს მისაღებ სარგებელზე.

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს, მოვალეობების ისეთ გადანაწილებას, რომ ერთი და იგივე პირს არ ევალებოდეს უფლებამოსილების მინიჭება, საქმიანობის განხორციელება და კონტროლი. კონტროლის ღონისძიებები გულისხმობს ხელმოწერის ორმაგი სისტემის დანერგვას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს, ზედამხედველობას, განხორციელებული ოპერაციების დოკუმენტურად შენახვას და ა.შ.

დაწესებულებაში უნდა დაინერგოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც შექმნის წინაპირობებს უახლესი და სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის და თანამშრომლებს მისცემს საშუალებას, თავიანთი პასუხისმგებლობების შესახებ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი, წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფინანსური მართვისა და კონტროლის გამჭვირვალობა.

კონტროლი არის ნებისმიერი საკითხისათვის სავალდებულო ეტაპი. შიდა კონტროლი აუცილებელია, რათა ორგანიზაციაშ უზრუნველყოს რისკების მართვა. შიდა აუდიტის ფორმით, შიდა კონტროლი ვლინდება საჯარო სექტორში, იგი აუმჯობესებს რისკის მართვას და უზრუნველყოფს დაწესებულების დასახული ამოცანების შესრულებას. შიდა აუდიტის მიზანია მენეჯერებისთვის რეკომენდაციების მიწოდება იმის შესახებ, რამდენად ჯანსაღია შიდა კონტროლის სისტემები. შიდა აუდიტის მოქმედების სფეროა როგორც საფინანსო, ასევე, საოპერაციო საქმიანობა. შიდა აუდიტის ჩატარება გულისხმობს, როგორც ფინანსური, ასევე, შესაბამისობის, სისტემური, ეფექტიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებას. ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება ხორციელდება ფინანსური აუდიტის მეშვეობით, სახელმწიფოს თანხების, მატერიალური ფასეულობების ხარჯვის, მართვისა და გამოყენების კანონიერების შესწავლა - შესაბამისობის აუდიტის საშუალებით,

სახელმწიფო პროგრამების დანერგვის, ფინანსური და სხვა სახსრების განაწილებისა და ხარჯვის ანალიზი - ეფექტიანობის აუდიტის შედეგად, სისტემური აუდიტის მეშვეობით ხორციელდება კონტროლის სისტემისა და ფინანსური მართვის შეფასება, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცედურების და სისტემის დაცულობა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეშვეობით ფასდება.

მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების ხელმძღვანელის ვალდებულებაა, რომელიც, ასევე მოიცავს აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებას.

შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას დასახული მიზნების მიღწევაში. შიდა აუდიტი ახორციელებს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების შეფასებას, კონტროლის სისტემის და ფინანსური მართვის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

შიდა აუდიტორი უფლებამოსილია შემოწმების მიმდინარეობისას მიიღოს ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია. თანამშრომლები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ შიდა აუდიტორს შემოწმების განხორციელებისას.

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი განსაზღვრავს ჩასატარებელი აუდიტის სახეს, მოქმედების არეალს, აუდიტორთა რაოდენობას და აუდიტის განხორციელების სიხშირეს. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს, წარმართავს აუდიტორთა საქმიანობას, ახდენს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებას, მონიტორინგს ახორციელებს აუდიტის ობიექტის მხრიდან რეკომენდაციების შესრულებაზე.

შიდა აუდიტორული შემოწმების სახეებია: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.<sup>19</sup>

ჰარმონიზაციის ცენტრი უწყებების აუდიტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებასა და ჰარმონიზებას უზრუნველყოფს. CHU

<sup>19</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, თავი III, მუხლი 22, პუნქტი 3.

ახორციელებს, სახელმწიფო უწყებრივი საფინანსო კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, შიდა აუდიტორთათვის სახელმძღვანელოების შემუშავებას, სხვა სახელმწიფოთა ჰარმონიზაციის ცენტრებთან ურთიერთობების დამყარებას, სხვადასხვა შეხვედრების წარმართვას, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის წარდგენას და სხვა.

CHU ახორციელებს, სახელმწიფო სფეროს შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დახვეწას, პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავებას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დახვეწას, ფინანსური კონტროლის და მართვის სისტემისათვის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნას, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციას, შიდა აუდიტორთათვის ტრენინგების ჩატარებას, შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს, კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის განხილვას.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორული პროცედურების განხორციელება მარეგულირებელი აქტების შესაბამისად უზრუნველყოფს, შიდა აუდიტის დაგეგმვას, ორგანიზაციების სტრატეგიული მიზნების წარმატებულ განხორციელებას და დახვეწილი კონტროლის სისტემის ფუნქციონირებას.

სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემას, ზოგიერთ ქვეყანაში განმარტავენ, როგორც საჯარო ადმინისტრირების ერთიან კონტროლის სისტემას, ნაწილ ქვეყნებში, როგორც პროცესს, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელთა შიდა კონტროლში ჩართულობას და მონიტორინგის ხელმისაწვდომობას.

შიდა აუდიტი, მონიტორინგისა და შეფასების ნაწილია და, იძლევა რწმუნებას ხელმძღვანელობისთვის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების შესახებ, აფასებს ფინანსური კონტროლის და მართვის სისტემის დანერგვას.

შიდა აუდიტის პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით

არის დამტკიცებული. მეთოდოლოგია აყალიბებს წესებს აუდიტის სუბიექტის მიზნების, ამოცანების და უფლებამოსილების შესასრულებლად.

შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს დაწესებულების ყველა სახის საქმიანობა.

იმისათვის რათა, აუდიტორებმა შეძლონ საქმიანობის ეფექტურად განხორციელება, მნიშვნელოვანია დაცული იქნას შიდა აუდიტის პრინციპები.

შიდა აუდიტორული შემოწმების წარმართვა ხდება შემდეგი ეტაპების განხორციელებით: დაგეგმვა, განხორციელება, ანგარიშგება და მონიტორინგი.

დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება საქმიანობის შესწავლა და დოკუმენტირება, რისკების გამოვლენა და შეფასება, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და დამტკიცება, აუდიტის ობიექტის პირველ პირებთან შეხვედრების განხორციელება.

შიდა აუდიტის ობიექტის განსაზღვრის შემდეგ, უნდა მოხდეს აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს დაწესებულების საჭიროებები, თაღლითობის არსებობის რისკი, წინასწარი აუდიტის შედეგები და გამოსაყენებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებამდე აუცილებელია განხორციელდეს წინასწარი კვლევა. წინასწარი კვლევა შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ინფორმაცია შესამოწმებელი პროცესების შესახებ.

დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელოვანი საკითხია, შიდა აუდიტორთა განსაზღვრა, ვინც უნდა განახორციელოს შემოწმება.

შიდა აუდიტის მიზნები და შესამოწმებელი ობიექტის მასშტაბი, არის გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტი. შემოწმების მიზნები უნდა იყოს მიღწევადი, წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს და პირობებს უნდა ქმნიდეს სრულყოფილი აუდიტორული ანგარიშის მოსამზადებლად.

მიზნების მკაფიოდ განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს შესამოწმებელი სფეროების არეალი. მოქმედების სფერო ადგენს შემოწმების ვადას, შესამოწმებელ პროცესს, აუდიტის სახეს, საქმიანობის პერიოდს, რომელიც უნდა

შემოწმდეს. აუდიტორი თავად საზღვრავს შემოწმების სფეროს, მასშტაბებს, თუმცა აღნიშნული შესაბამისობაში უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრულ აუდიტის მიზნებთან.

შემოწმების დაწყებამდე, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას ამტკიცებს, რომელიც არის დაგეგმვის ეტაპის შეჯამება.

შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების ეტაპზე, ხდება აუდიტის ქმედებების და ანალიტიკური პროცედურების განხორციელება, მიგნებების და მტკიცებულებების მოპოვება.

შემოწმების ჩასატარებლად აუდიტორი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს და ტექნიკებს, რომელიც აღწერილი უნდა იყოს ინდივიდუალურ გეგმაში. აუდიტორმა შემოწმების პროცესში, შესაძლოა გამოიყენოს: გასაუბრება, კითხვარები, პროცესების ვიზუალური აღწერა, დაკვირვება, დოკუმენტების შესწავლა.

შიდა აუდიტორები მტკიცებულებების შეგროვების და დოკუმენტირების პროცესში ვალდებული არიან დაიცვან პროფესიული სტანდარტები. აუდიტორი ახდენს საქმიანობების პროცესის დოკუმენტირებას, რომელიც მოიცავს მიზნების და წინასწარი ქმედებების განსაზღვრას, ასევე, საბოლოო ანგარიშის შედგენას და წარდგენას. შემოწმებისას შექმნილი დოკუმენტები არის ორი სახის, მუდმივი და მიმდინარე შიდა აუდიტის ფაილები.

სამუშაო დოკუმენტები ასევე მოიცავს: ინფორმაციას შიდა აუდიტის ობიექტის შესახებ, სხვადასხვა ანალიტიკურ მასალებს, მიგნებების ფურცლებს, კითხვარებს, მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების ასლებს, გამოკითხულ თანამშრომელთა სიებს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტაციას.

შიდა აუდიტის მტკიცებულება არის ყველა იმ ინფორმაციის ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც აუდიტორი აკეთებს დასკვნას შემოწმების ამოცანებთან მიმართებაში. მტკიცებულება სარწმუნოა თუ მოპოვებულია პირდაპირი კალკულაციის, შესწავლის და შემოწმების შედეგად.

მტკიცებულებები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: მატერიალური, აღწერითი, დოკუმენტური, ანალიტიკური.

მიგნებების ფურცელი, დამხმარე ინსტრუმენტია აუდიტორისთვის შემოწმების განხორციელებისას. მიგნებების ფურცელი მოიცავს ინფორმაციას მიგნების შინაარსის, მიზეზის, რისკების, რეკომენდაციების, აუდიტის ობიექტის პასუხის შესახებ.

ანგარიშგების ეტაპი, მოიცავს აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელთან მიგნებების წარდგენას და ანგარიშის პროექტის მომზადებას, ასევე, დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, აუდიტის სუბიექტის უფროსის მხრიდან ხელმძღვანელისთვის საბოლოო ანგარიშის წარდგენას.

აუდიტორული ანგარიში არის დოკუმენტი, რომელშიც აისახება შემოწმების შედეგები და რეკომენდაციები. აუდიტორული ანგარიში არის შიდა აუდიტორული შემოწმების საბოლოო შედეგი.

სრულყოფილად შედგენილი შიდა აუდიტორული ანგარიში, დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი წარედგინება აუდიტის ობიექტს, რათა მან გამოთქვას მოსაზრება, პროექტში ასახულ მიგნებებთან მიმართებაში. შიდა აუდიტის ობიექტი შეიძლება არ დაეთანხმოს ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ მიგნებებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის შეთანხმების შემდეგი ეტაპი არის, დასრულებული შიდა აუდიტის დასკვნის შედგენა. საბოლოო შიდა აუდიტორული დასკვნა არ უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეთანხმებული არ იქნება აუდიტის ობიექტის წარმომადგენლებთან.

საბოლოო შიდა აუდიტორული ანგარიშის წარდგენის შემდეგ, აუდიტის ობიექტი ადგენს რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, რომელსაც შემდეგ წარუდგენს შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელ პირებს.

შიდა აუდიტის სუბიექტის მხრიდან ხორციელდება, რეკომენდაციების შესასრულებლად შედგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, რომელიც აისახება წლიურ ანგარიშში.

წლიური ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს: წლიური გეგმის შესრულება, შიდა აუდიტის სუბიექტის მუშაობის შედეგების შეჯამება, მონიტორინგის შედეგები,

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობა, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტის სუბიექტთან.

„სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ.<sup>20</sup>

უწყებრივი აუდიტის შეფასებაზე დაყრდნობით, მუშავდება რეკომენდაციები, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ეფექტურ მუშაობას.

დაწესებულების შიდა აუდიტის სუბიექტი, დამოუკიდებლად და ობიექტურად, ახორციელებს შიდა აუდიტის პროცესს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში, საჯარო დაწესებულებებში, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის არქონამ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა, შიდა ფინანსური კონტროლის სრულყოფილად მომუშავე სისტემის გარეშე ძალზედ რთულია.

საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ფაქტობრივად 2010 წელს დაიწყო.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციაა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შემოწმება. მიუხედავად ამისა, აუცილებელია საჯარო დაწესებულებებში შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირება, რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვერ შეძლებს ყველა საბიუჯეტო დაწესებულებაში ჩაატაროს აუდიტი. შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად ხარჯვისათვის აუცილებელია, დაწესებულებებში ფუნქციონირებდეს შიდა აუდიტის სამსახური.

<sup>20</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, თავი I, მუხლი 2.


სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განხილვისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სახელმწიფო ხაზინაზე. ფინანსური ინფორმაციის მოპოვებისათვის აუცილებელია სახაზინო ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა. სახაზინო სამსახურის სისტემების გამოყენება აუცილებელია რათა, მაკონტროლებელმა პირებმა შეძლონ გაწეული ხარჯების შედარება ბიუჯეტთან მიმართებაში.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა შიდა აუდიტის სუბიექტები, საქართველოში მოქმედ 10 სამინისტროში. ჩვენს მიერ გამოკითხულ იქნა, დაწესებულებების შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები კითხვარის საფუძველზე (დანართი N 1 - კითხვარი საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის), რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ შიდა აუდიტის სისტემა საქართველოში ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს ეფექტიანად და ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების დასახული მიზნების მიღწევას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურას შიდა აუდიტის დეპარტამენტი 2014 წლიდან დაემატა, ხოლო მანამდე აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციას თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ასრულებდა. ამ დროისათვის, თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, დასაქმებულია 6 თანამშრომელი, რაც საკმაოდ მცირე რაოდენობაა, სამინისტროში განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისა და დაწესებულების მმართველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცედურების გაუმჯობესების ხელშესაწყობად. თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის მიერ, 2020 წელს ჩატარდა 2 აუდიტორული შემოწმება, 2021 წელს - 1, ხოლო 2022 წელს კი - 2 აუდიტორული შემოწმება. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულია ყველა სახის შიდა აუდიტორული შემოწმება - სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. შიდა აუდიტორული შემოწმებების სახეობებიდან 2021 და 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების 100% სისტემურ აუდიტს უჭირავს. შიდა აუდიტორული შემოწმებების პარალელურად, აუდიტორთა მიერ ხორციელდება წინა


პერიოდებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და ასევე, საკონსულტაციო საქმიანობა.

**დიაგრამა N 35. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის  
დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 36. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის  
დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე - რა პრობლემებს აწყდებიან, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები, აუდიტის განხორციელების პროცესში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებმა პასუხის გაცემას თავი აარიდეს. ასევე, მათ არ გვიპასუხეს კითხვაზე - რის შეცვლას ისურვებდნენ მომავალში უფრო მეტად ხარისხიანად და ეფექტურად შიდა აუდიტორული შემოწმებების ჩასატარებლად. აღნიშნული ფაქტი ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ მნიშვნელოვანი საკითხებია, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ცვლილებებს და დახვეწას საჭიროებს. აუცილებელია, აუდიტორებს ნაკლები შეფერხებები შეექმნათ აუდიტის განხორციელების პროცესში და უფრო მეტად შედეგიანად განხორციელდეს შემოწმებები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შიდა აუდიტის სუბიექტი 2010 წელს შეიქმნა, რომელშიც ამჟამად 5 აუდიტორია დასაქმებული. 2020 წლის მანძილზე 3 აუდიტორული შემოწმება ჩატარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ, 2021 წელსაც 3 და 2022 წლის წლიური გეგმის მიხედვითაც 3 აუდიტორული შემოწმება დაიგეგმა. ასევე, 2020 და 2021 წლებში, ხორციელდებოდა წინა წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ტარდება ყველა სახის აუდიტორული შემოწმება, გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან საბიუჯეტო დაწესებულებების უმეტესობაში არის ინფორმაციული ტექნოლოგიების განმახორციელებლი აუდიტორების დეფიციტი და შესაბამისად, ხელი ეშლება აღნიშნული სახის აუდიტორული შემოწმებების ჩატარებას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს ყურდღებას, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის არ განხორციელების შედეგად დიდია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი რისკები დარჩეს აუდიტორების ყურადღების მიღმა, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში,


2021 წელს ჩატარებულ იქნა მხოლოდ შესაბამისობის აუდიტი, ხოლო 2022 წლის შემოწმებათა შორის 67% კვლავ შესაბამისობის აუდიტზე მოდის და დარჩენილი 33% კი - სისტემურ აუდიტორულ შემოწმებებზე.

**დიაგრამა N 37. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული  
შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 38. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული  
შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში, მათ პრობლემებს უქმნით შიდა აუდიტის ობიექტების მხრიდან აუდიტის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე და აღქმა იმისა, რომ აუდიტორული შემოწმება დაწესებულებისთვის მმართველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებისკენ მიმართული საქმიანობაა. ჩვენს კითხვაზე, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ აუდიტორები დაწესებულებაში, მათ გვიპასუხეს, რომ მნიშვნელოვანია შიდა აუდიტორული საქმიანობის გაძლიერება საკონსულტაციო საქმიანობის განვითარების მიმართულებით.


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული 2010 წელს გენერალური ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა და მასში დასაქმებულია 5 ადამიანი. 2020 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 5 აუდიტორული შემოწმება, 2021 წელსაც 5 და 2022 წლის მანძილზე კი 3 აუდიტორული შემოწმება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შიდა აუდიტის

სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროში ტარდება ფინანსური, შესაბამისობის, ეფექტიანობის და სისტემური აუდიტორული შემოწმებები, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი მათთან არასდროს ჩატარებულა. 2021 წელს, აღნიშნული სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, მხოლოდ ერთი სახის - შესაბამისობის აუდიტი ჩატარდა, ხოლო 2022 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს შორის 67% შესაბამისობის აუდიტზე მოდის, ხოლო დარჩენილი 33% - სისტემურ აუდიტზე.

**დიაგრამა N 39. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები  
(პროცენტი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 40. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა  
 აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების  
 სახეობები  
 (პროცენტი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

ჩვენს კითხვაზე, რა პრობლემებს აწყდებიან აუდიტორები შემოწმების განხორციელების პროცესში, მათ გვიპასუხეს, რომ არსებული საკადრო დეფიციტის პირობებში მთავარ გამოწვევას კონკურსის წესით კვალიფიციური კადრების შერჩევა წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევა მნიშვნელოვანი ნაწილია დეპარტამენტის წლიური გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად.


კითხვაზე, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ აუდიტორები სამინისტროში, რათა მომავალში უფრო მეტად ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელდეს შიდა აუდიტორული შემოწმების პროცედურები, პასუხად აღინიშნა, რომ დღეისათვის პრობლემად რჩება სამინისტროს საშუალო რგოლის მენეჯმენტის მიერ შიდა აუდიტის ფუნქციისა და მნიშვნელობის არასწორი აღქმა, რაც აუდიტორებს ხელს უშლის საქმიანობის ჯეროვნად განხორციელებაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შიდა აუდიტის დეპარტამენტი 2011 წელს, გენერალური ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა და მასში დასაქმებულია 11 ადამიანი. 2020 წელს ფინანსთა სამინისტროს, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 7

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა, 2021 წელს 10 და 2022 წელს კი - 4 აუდიტორული შემოწმება.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროში ყველა სახის შიდა აუდიტორული შემოწმება ტარდება. 2021 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმებების 40% სისტემურ აუდიტზე მოდის, 20-20% - ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტზე, ხოლო 10-10% - ეფექტიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტზე. ფინანსთა სამინისტროს, 2022 წლის შემოწმებების 50% სისტემურ აუდიტს უჭირავს, ხოლო 20-20% - ისევ ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტს და 10% - ეფექტიანობის აუდიტს.

**დიაგრამა N 41. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 42. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით კითხვაზე, რა პრობლემებს აწყდებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები შემოწმების განხორციელების პროცესში, პასუხად აღინიშნა რომ პრობლემატური საკითხია, დასაქმებული კადრების კომპეტენცია და ისურვებდნენ თანამშრომელთა კონტიგენტის შეცვლას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, აუდიტის დეპარტამენტი 2014 წელს შეიქმნა და ამჟამად მასში დასაქმებულია 14 თანამშრომელი. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2020 წელს ჩატარდა 7 აუდიტორული შემოწმება, 2021 წელს - 6 და 2022 წელსაც - 6 აუდიტორული შემოწმება.


2021 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს შორის, 30-30% ეფექტიანობის და ფინანსურ აუდიტს უჭირავს, 25% - შესაბამისობის აუდიტს, ხოლო 15% - სისტემურ აუდიტს. 2022 წლის აუდიტორული შემოწმებების 35-35% ფინანსურ და სისტემურ აუდიტზე მოდის, ხოლო 15-15% - შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც სხვა სამინისტროებში, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არ ტარდება ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რაც საფუძველია იმ ფაქტისა, რომ მნიშვნელოვანი საკითხები რჩება შემოწმების გარეშე.

**დიაგრამა N 43. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის  
დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 44. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის  
დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

კითხვაზე, თუ რა პრობლემებს აწყდებიან აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები აუდიტის განხორციელების პროცესში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს. ასევე, მათ არ გვიპასუხეს კითხვაზე, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ სამინისტროში, რათა მომავალში უფრო მეტად ხარისხიანად და ეფექტურად ჩატარდეს, შიდა აუდიტორული შემოწმებები. აღნიშნული ფაქტი ბადებს ეჭვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მნიშვნელოვანი ხარვეზებია, რისი გამოსწორებაც დიდ ძალისხმევას საჭიროებს.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურულმა ერთეულმა 2022 წლის მანძილზე 8 აუდიტორული შემოწმება ჩაატარა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2021 და 2022 წლებში ჩატარებულ იქნა ორი სახის - შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი. 2021 წელს, ისევე როგორც 2022 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს შორის 87,5% შესაბამისობის აუდიტს უჭირავს, ხოლო 12,5% - ეფექტიანობის აუდიტს.

**დიაგრამა N 45. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა N 46. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა  
აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2022 წელს ჩატარებული შემოწმებების სახეობები**



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

**ცხრილი N 8. საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტების  
მიერ ჩატარებული შემოწმებების სახეობები პროცენტულად 2021 – 2022 წლებში**

შემოწმებების სახეობები	საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტების მიერ ჩატარებული შემოწმებების სახეობები პროცენტულად 2021 – 2022 წლებში											
	თავდაცვის სამინისტრო		გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		შინაგან საქმეთა სამინისტრო		ფინანსთა სამინისტრო		განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	
	წელი		წელი		წელი		წელი		წელი		წელი	
	2021	2022	2021	2022	2021	2022	2021	2022	2021	2022	2021	2022
	სისტემური აუდიტი	100%	100%		33%		33%	15%	35%	40%	50%	
	შესაბამისობის აუდიტი			100%	67%	100%	67%	25%	15%	20%	20%	87,5%
												87,5%

ეფექტიანობის აუდიტი						30%	15%	10%	10%	12,5%	12,5%
ფინანსური აუდიტი						30%	35%	20%	20%		
ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი									10%		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სამინისტროების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს სამინისტროების გამოკითხვის შედეგად კარგად ჩანს, რომ 2021 და 2022 წლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის მიერ ჩატარდა, და აღნიშნულიც მხოლოდ 2021 წელს. სისტემური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებები თითქმის ყველა სამინისტროში ტარდება, ხოლო ფინანსურ და ეფექტიანობის აუდიტორულ შემოწმებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. მნიშვნელოვანია, პარმონიზაციის ცენტრის აქტიური მუშაობა, რათა კანონმდებლობით განსაზღვრული ხუთივე სახის აუდიტორული შემოწმებები აქტიურად ტარდებოდეს საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოწმების და კონტროლს მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები რასაც ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი მოიცავს.

#### ცხრილი N 9. საქართველოს სამინისტროებში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმებები რაოდენობრივად 2020 – 2022 წლებში

სამინისტროს დასახელება	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	2	1	2
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	3	3	3
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5	5	3
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	7	6	6
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	7	10	4

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სამინისტროების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით

გამოკითხული 10 სამინისტროდან ჩვენს კითხვებზე, პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; იუსტიციის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. აღნიშნული ფაქტი ამყარებს ჩვენს ვარაუდს საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების დამოუკიდებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით, რაც გარკვეულ, პასუხგასაცემ კითხვებს აჩენს ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტების საქმიანობის მიმართ.

სახელმწიფო აუდიტისა და სამინისტროების შიდა აუდიტის სამსახურების ურთიერთთანამშომლობისა და კოორდინაციის პრობლემა, მოქმედებათა თანხვედრის ხარისხი, საერთო-სახელმწიფოებრივი და უწყებრივი ინტერესების რეალიზაციის ასპექტით, მორალური რისკის მატარებელი ფაქტორია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ინტერესთა აბსოლუტური თანხვედრის არარსებობა წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების არარაციონალურად, უწყებრივი და პირადი ინტერესების მიზნით გამოყენების რისკის შემცველობის, შესაძლებლობის ძირითად პირობას. ამით ფაქტობრივად დასტურდება ჩვენი ჰიპოთეზა მორალური რისკის არსებობაზე საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან, მათ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით.

ამის გარდა, აღნიშნულ ჰიპოთეზას კიდევ უფრო მეტად ამყარებს შემდეგი გარემოება: ვერტიკალური სუბორდინაციის არსებობა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების პირველ პირებსა და მათდამი დაქვემდებარებულ შიდა აუდიტის დეპარტამენტებს შორის. კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, თუმცა რეალურად შიდა აუდიტის სუბიექტები დაწესებულების ხელმძღვანელებს ექვემდებარებიან. ფაქტობრივად, „დამოუკიდებელი” აუდიტორები ამოწმებენ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, ვის დაქვემდებარებაშიც იმყოფებიან, რაც ამ ასპექტითაც სამართლებრივი კოლიზიის მატარებელია.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საბიუჯეტო დაწესებულებებში, სადაც არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები, აუცილებლად უნდა შეიქმნას ასეთი სამსახურები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ დაწესებულებებში შეიქმნას ორგანო, ვის მიმართაც იქნება პასუხისმგებელი შიდა აუდიტის სუბიექტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას აუდიტორთა დამოუკიდებლობა და ობიექტურობა.

ამასთან, მორალური რისკის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული თანამდებობის პირის დანიშვნა და განთავისუფლება ეფუძნებოდეს უწყების (სამინისტროს) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთობლივ ე.წ. კონდომინიუმის (ერთობლივი განკარგვის, ხელმძღვანელობის) და კონტრასიგნატურის პრინციპს. ამ შემთხვევაში, უწყების ხელმძღვანელი ერთპიროვნულად ვერ შეძლებს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნასა და განთავისუფლებას, რაც აუდიტის სუბიექტის მიერ შემოწმებების უფრო მეტად ობიექტურად და სამართლიანად ჩატარებას შეუწყობს ხელს. ასევე, აღნიშნული პრინციპის ამოქმედების შემთხვევაში, უწყების ხელმძღვანელს გაუჩნდება მეტი მოტივაცია, აუდიტის პროცესს დაქვემდებარებული საკითხები, უფრო მეტად მოწესრიგებული და გამჭვირვალე გახადოს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში, რათა მომავალში აუდიტორული შემოწმების შედეგად ნაკლები პრობლემები წარმოჩინდეს.

პრობლემატურია საკითხი, რომელიც ეხება აუდიტის ობიექტის მხრიდან აუდიტორთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. მნიშვნელოვანია აქტიურად განხორციელდეს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რათა აუდიტორთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, აუდიტის ობიექტის საქმიანობის გაჯანსაღებაში აისახოს და მხოლოდ ფურცელზე არ დარჩეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ ხუთივე სახის აუდიტს მხოლოდ ერთეული დაწესებულებები ახორციელებს. რადგან კანონით განსაზღვრულია შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგი სახეობები: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი - მიზანშეწონილად მიგვაჩნია შიდა

აუდიტის სუბიექტების ხელმძღვანელები ორიენტირებულნი იყვნენ ყველა სახეობის აუდიტის ჩატარებაზე, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს დაწესებულებისათვის ის არსებითი საკითხები რის შემოწმებაც მათ კანონის საფუძველზე ევალებათ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საუკეთესო დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებიც კი არ მუშაობენ შიდა აუდიტის ობიექტებთან, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ჰიპოთეზას. შიდა აუდიტის სუბიექტების ქცევა ძირითადად გარე აუდიტორების ქცევის მსგავსია. შიდა აუდიტორის მოვალეობაა აუდიტის ობიექტთან ერთად რისკების იდენტიფიცირება და არა ჩასაფრებულ მდგომარეობაში აუდიტის ობიექტის შემოწმება.

მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მხოლოდ ფინანსური აუდიტორული შემოწმებების ჩატარება სამინისტროებში ამყარებს ჰიპოთეზას სახელმწიფო ფინანსების კონტროლის განხორციელების ინსტიტუციურ უზრუნველყოფაში არსებულ ხარვეზებთან მიმართებაში. ქვეყნის მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებების უგულებელყოფა სამინისტროებში, შემოწმების მიღმა ტოვებს ისეთ მნიშვნელოვან რისკებს და საფრთხეებს, რასაც აღნიშნული აუდიტორული შემოწმებები მოიცავს.

ფინანსური მართვა და კონტროლი პირდაპირ კავშირშია პროგრამულ ბიუჯეტირებასთან. ფინანსური მართვა და კონტროლი გულისხმობს, დაწესებულების ფინანსურ და ასევე, არაფინანსურ ოპერაციებს. პროგრამული ბიუჯეტირება ისევე, როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა გულისხმობს მაქსიმალური შედეგის მიღწევას მინიმალური დანახარჯებით. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური მართვა და კონტროლი კავშირშია პროგრამულ ბიუჯეტირებასთან, ჰარმონიზაციის ცენტრს აქტიური კონტაქტი უნდა ჰქონდეს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტთან.

არსებული მდგომარეობის გაანალიზებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ შიდა აუდიტის სისტემის დახვეწისათვის აუცილებელია, როგორც სტრუქტურული ისე ფუნქციური გაძლიერება. მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედ დაწესებულებებში ჩამოყალიბდეს შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის ერთიანი მიდგომა და ასევე, ცნობიერების ამაღლება შიდა აუდიტის შესახებ.

შიდა აუდიტის გამართულად ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია მისი დამოუკიდებლობა. ამის მისაღწევად აუცილებელია, სათანადო დებულებების შემუშავება. ასევე, მნიშვენლოვანია საქართველოში მოქმედ საბიუჯეტო დაწესებულებებში, გაიმიჯნოს შიდა აუდიტის და ინსპექტირების ფუნქციები და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობაზე აქტიურად იზრუნონ დაწესებულების ხელმძღვანელებმა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის დასაწყისში ძირითად მიზნად დასახული იქნა, თანამედროვე საქართველოში ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებების შესწავლა და განხორციელების თეორიული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ნაშრომში დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- ფინანსების კონტროლის ფუნქციის კავშირის განსაზღვრა ფინანსების სხვა ძირითად ფუნქციებთან;
- ფინანსების კონტროლის ფუნქციის რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა, სახელმწიფო საბიუჯეტო, შიდა სამეურნეო და საბანკო კონტროლის სისტემაში;
- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ საქართველოში, განხორციელებული, ფინანსების კონტროლის ინსტიტუციური რეფორმის მნიშვნელობის დაკონკრეტება;
- ფინანსების მაკონტროლებელი ორგანიზაციების სტრუქტურის და ძირითადი ფუნქციების საფინანსო სისტემის რენტაბელობასა და ეფექტიანობასთან კავშირის შესწავლა და სათანადო წინადადებების შემუშავება.

ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით და ჩვენი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- ფინანსების საკონტროლო ფუნქციის წარმატებით განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული მენეჯმენტის მიღწეულ დონეზე. ჩვენი აზრით, ვინაიდან, ფირმის მენეჯმენტის ძირითადი ნაწილებია: დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი, ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელებაც ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებობს მჭიდრო, ორგანული კავშირი.

- ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი მის ფუნქციებში ვლინდება. ჩვენ ცალსახად ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: განმანაწილებელ, მარეგულირებელ და კონტროლის ფუნქციებს. ამასთან, მათი ერთდროული განხორციელება წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და

ეროვნული შემოსავლის ეფექტიანი განაწილების, რეგულირებისა და კონტროლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

- ფინანსების საკონტროლო ფუნქციას მჭიდრო კავშირი აქვს, განმანაწილებელ და მარეგულირებელ ფუნქციებთან. მიგვაჩნია, რომ ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ეროვნულ მეურნეობაში არსებულ საფინანსო დისციპლინასა და საგადასახადო კულტურაზე.

- საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის დანერგვა, რადგან იზრდება აუდიტის შედეგად მიღებული სარგებელი და შემოწმებული ორგანიზაციების რიცხვი და ასევე, მცირდება ჩატარებული აუდიტების რაოდენობა.

- საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, 2018-2022 წლების საქმიანობის შეფასებამ გამოავლინა მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს ერთგვარი ცალმხრივი, ტენდენციური ხასიათი. კერძოდ, შემოწმებამ აჩვენა, რომ მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, სამინისტროების შემოწმება, ფაქტიურად მხოლოდ, ფინანსური აუდიტის ჩატარებით შემოიფარგლება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებები, ხორციელდება მხოლოდ სამინისტროების და თვითმმართველი ერთეულების დაქვემდებარებაში შემავალ იურიდიულ პირებში. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტები ახორციელებენ ზემოთ აღნიშნულ აუდიტორულ შემოწმებებს, მათი გადამოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს. თუნდაც იმიტომ, რომ შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თანამდებობრივად იმ მინისტრის დაქვემდებარებაშია, რომელ სამინისტროშიც ატარებს აუდიტორულ შემოწმებას, შიდა აუდიტორის მიერ დაწერილი დასკვნა, შეიძლება ვერ იყოს ისეთი ობიექტური, როგორც გარე მაკონტროლებლის მიერ შედგენილი ანგარიში. ფაქტობრივად ვაწყდებით საერთო-სახელმწიფოებრივი და უწყებრივი ინტერესების გარკვეულ აცდენას, ინტერესთა კოლიზიას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მორალური რისკის გამოვლენა სახელმწიფო

საფინანსო კონტროლის სისტემაში და რის თაობაზეც ჩვენს მიერ გამოთქმული ჰქონილობა, სამწუხაროდ, დადასტურდა.

- აუცილებლად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიდგომა შემოწმების სახეებთან მიმართებაში. სამინისტროეფბში მხოლოდ ფინანსური აუდიტის ჩატარება, შესაძლოა საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგან ყურადღების და შემოწმების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, რასაც ეფექტურობის და შესაბამისობის აუდიტი მოიცავს.

- საჯარო სექტორში ფინანსურ აღრიცხვაში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე, მეტყველებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ფინანსური აუდიტების განხორციელების შემდეგ გაცემული უარყოფითი მოსაზრებების რაოდენობა. 2020 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტებიდან მოსაზრებების 45% უარყოფითი იყო. 2018-2022 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 77 ფინანსური აუდიტიდან, მხოლოდ 3 აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უზუსტობები და გამოითქვა უპირობო მოსაზრება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს კონტროლი, გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, რათა აღმოფხვრილ იქნას საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებები.

- მნიშვნელოვან პრობლემად გვესახება, მდგომარეობა, რომლითაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელი რჩება. 2018-2022 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების 25% ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 9% არ შესრულებულა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა გააუმჯობესოს საქმიანობა ამ კუთხით, რათა გაცემული დასკვნა მხოლოდ ფურცელზე არ დარჩეს და რეალური შედეგი გამოიღოს. აუდიტორული შემოწმების მიზანი სწორედ გამოვლენილი ნაკლოვანებების დროული გამოსწორებაა, რაც საბოლოო ჯამში დაწესებულებების ეფექტიანად მუშაობას უწყობს ხელს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად ჯამურად 20 მლრდ ლარზე მეტის დაფარვა

განხორციელდა, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის 90%-ს შეადგენს. პრობლემატური საკითხია, თუ რატომ არ მოხდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის დარჩენილი 10%-ის შემოწმება.

- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებზე გადასვლამ, არა მარტო გაამარტივა საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები, არამედ ხელი შეუწყო საგადასახადო სტრუქტურების რესურსების გამოთავისუფლებას და მათ გადანაწილებას უფრო მეტად მაღალრისკიან გადასახადის გადამხდელთა კონტიგენტზე. რაც საერთო ჯამში ქვეყნის მასშტაბით ფინანსური კონტროლის გაძლიერების საწინდარია.

- 2017 წლიდან, იურიდიული პირების მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ამოქმედებამ სტიმული მისცა აქციონერებს, განეხორციელებინათ მიღებული მოგების რეინვესტირება და საწარმოს კაპიტალის გაზრდა, რაც გრძელვადიან პერიოდში ადგილობრივი წარმოების გაფართოებას უზრუნველყოფს. როგორც მოსალოდნელი იყო, ესტონური მოდელის ამოქმედებამ, თავდაპირველად გადახდილი მოგების გადასახადის შემცირება გამოიწვია, თუმცა გრძელვადიან პერიოდში გამოვლინდა დადებითი ტენდენცია, რაც თავის მხრივ მეტი მოგების მიღების და ბიუჯეტში მეტი გადასახადის მობილიზების საფუძველია. 2021 წელს 2017 წელთან შედარებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული მოგების გადასახადი 34.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ყველა სხვა სახის გადასახადი ერთად - მხოლოდ 26.6 პროცენტით. საქართველოში ესტონური მოდელის დადებითი შედეგები მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოჩნდება, რაც, საერთო ჯამში ქვეყანაში, ფისკალური ეფექტის ზრდასთან ერთად, ადგილობრივი წარმოების განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

- პრობლემურად რჩება საგადასახადო საურავის განაკვეთი, რომელიც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,05%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ საურავის ფისკალური ფუნქცია მცირეა, კარგი იქნება იგი დაუკავშირდეს საკონტროლო ფუნქციას და განისაზღვროს 0,02%-ის ოდენობით.

- საჯარო დაწესებულებებში, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის არქონა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებას, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. აუცილებელია ხელი შეეწყოს შიდა აუდიტის სუბიექტების ჩამოყალიბებას

საქართველოს საბიუჯეტო დაწესებულებებში, რადგან, შეუძლებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ყველა საბიუჯეტო დაწესებულებაში ჩაატაროს შემოწმება.

- საქართველოს სამინისტროებში, შიდა აუდიტის სუბიექტებში დასაქმებული კადრების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. სამინისტროებში განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისათვის არ არის გამოყოფილი საკმარისი პოზიციები, ახალი კადრების დასასაქმებლად, რაც შესაბამის სამინისტროებში განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისათვის არ არის საკმარისი, რის გამოც დაწესებულებების მმართველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებას ხელი ეშლება. პრობლემის არსებითი გადაჭრისათვის აუცილებელია აგრეთვე, რომ შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული გააჩნდეს ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას.

- ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე - რა პრობლემებს აწყდებიან, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები, აუდიტის განხორციელების პროცესში, გამოკითხულ სუბიექტთა უმრავლესობამ, პასუხის გაცემას თავი აარიდა. ასევე, მათ თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან კითხვაზე - რის შეცვლას ისურვებდნენ რათა მომავალში უფრო მეტად ხარისხიანად და ეფექტურად ჩატარებულიყო შიდა აუდიტორული შემოწმებები. აღნიშნული ფაქტი ამყარებს მოსაზრებას, რომ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქცია-მოვალეობები, საკადრო უზრუნველყოფა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა არსებით გაუმჯობესებას საჭიროებს, შესაბამისად აუდიტორების მიერ აუდიტის განხორციელების პროცესში და შემოწმებების უფრო მეტად შედეგიანად განსახორციელებლად საჭიროა ჰარმონიზაციის ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვანი გააქტიურება.

- IIA 1100 სტანდარტის დარღვევად უნდა ჩაითვალოს, ის ფაქტი, რომ აუდიტორები, პასუხისმგებელნი არიან დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ გაწერილია, რომ შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, რეალურად შიდა აუდიტის სუბიექტები დაწესებულების ხელმძღვანელების დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

შესაბამისად, მივდივართ იმ მდგომარეობამდე, რომ აუდიტორები ამოწმებენ დაწესებულების ხელმძღვანელს და ამავდროულად მის დაქვემდებარებაში არიან. იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას შიდა აუდიტორთა დამოუკიდებლობა, აუცილებლად უნდა განხორციელდეს სათანადო დებულებების შემუშავება;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს დაწესებულებებში, გაძლიერდეს აუდიტის განხორციელების კულტურის დანერგვა და შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობა არ ჰგავდეს, ჩასაფრებულ მდგომარეობაში, აუდიტის ობიექტის შემოწმებას. ასევე, საქართველოში მოქმედ საბიუჯეტო დაწესებულებებში, უნდა გაიმიჯნოს შიდა აუდიტის და ინსპექტირების ფუნქციები;
- აუცილებელია გაიზარდოს აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა მათთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ ხუთივე სახის აუდიტორული შემოწმება საბიუჯეტო დაწესებულებებში აქტიურად ტარდებოდეს;
- შიდა აუდიტის სისტემის დახვეწისათვის აუცილებელია, როგორც ფუნქციური ისე სტრუქტურული გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოქმედ დაწესებულებებში, ჩამოყალიბდეს შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის ერთიანი მიდგომა და ასევე, მოხდეს ცნობიერების ამაღლება შიდა აუდიტის თაობაზე.
- ფინანსურ მაჩვენებლებსა და შიდა სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შიდა ფინანსური კონტროლის განხილვა მრავალფუნქციონალურად - რაც კონტროლის არა მარტო საწარმოში, არამედ მისი ცალკეული ცენტრების ჭრილში განხორციელებასაც გულისხმობს.
- კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიების უმეტესობაში, არ ხორციელდება შიდა სამეურნეო პროცესების მონიტორინგი, რაც საერთო ჯამში, რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის არაეფექტიანი და არაეკონომიური გამოყენების წინაპირობაა.

- საქართველოს საფინანსო კონტროლის სისტემაში, არსებული პრობლემების დასაძლევად მნიშვნელოვანია, მომავალში გაგრძელდეს კვლევები როგორც საერთო სახელმწიფოებრივი და უწყებრივი ფინანსური კონტროლის, ასევე, შიდა სამეურნეო და საბანკო კონტროლის კუთხით. აუცილებელია, ჩატარდეს კვლევები საქართველოს საფინანსო მაკონტროლებელი ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, ფაქტიურად მიღებული შედეგების შეფასებითა და წინა პერიოდების მონაცემებთან შედარებით, რათა გამოკვეთილ იქნეს დინამიკა, რამდენად ხდება ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მსოფლიო პრაქტიკაში არსებული სიახლეების დანერგვა, რაც საერთო ჯამში ქვეყნის საფინანსო სფეროს გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., ქურხული ლ. 2010. ეკონომიკური ფსიქოლოგია. „მერიდიანი“, თბილისი.
2. არჩვაძე ი. 2000. ეკონომიკა და დრო. თბილისი.
3. არჩვაძე ი. 2012. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები. „მერიდიანი“, თბილისი.
4. არჩვაძე ი. 2012. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები: 2003-2011. საქართველოს განვითარების კვლევების ინსტიტუტის ოფიციალური საიტი. [www.gdri.ge](http://www.gdri.ge). თბილისი.
5. ადეიშვილი გ., თავაძე ლ., ალადაშვილი მ., უერთაშვილი ნ., ყირიმლიშვილი ნ. 2009. ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი.
6. ბაკაშვილი ნ. 2015. ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი. თბილისი.
7. ბასარია ვ., ბასარია რ. 2003. გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურობა? თბილისი.
8. ბასილაა კ., ლიპარტია ზ. 2012. ფინანსური კონტროლი, თბილისი.
9. ბასილაა კ., ლიპარტია ზ. 2012. ფინანსური კონტროლი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამოცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
10. ბერიშვილი ხ. 2018. საერთაშორისო ბიზნესის მართვა. უნივერსალი. თბილისი.
11. ბერიძე თ. 2018. დისერტაცია - სახელმწიფო აუდიტის ეფექტურად განხორციელების პრობლემები ევროინტეგრაციისა და ეკონომიკური ზრდის პირობებში. ბათუმი.
12. ბიძინაშვილი დ. 2016. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი N10. გორი.
13. ბოლქვაძე ბ. 2009. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. გამოცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
14. ბოჭორიშვილი ქ., წიკლაური თ., ციმაკურიძე ს. 2015. (ქართულად თარგმნეს) თანამედროვე მენეჯმენტი. თბილისი.

15. გაბიძაშვილი ბ. 2006. სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
16. გადელია დ. 2010. ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი.
17. გადელია დ. 2006. კორპორაციათა ფინანსები. გამომცემლობა „ფინანსები“. თბილისი.
18. გელაშვილი მ. 2014. ფინანსური კონტროლი. ახალციხე.
19. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. 2012. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი 1, თავი მე-4. საფინანსო პოლიტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
20. გვენეტაძე ლ. 2007. ფინანსების ზოგადი თეორია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი.
21. გიორგობიანი მ. 2011. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები ნობელის პრემიის ლაურეატების შრომების მიხედვით. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №14. თბილისი.
22. გრიშიკაშვილი ა. 2014. ნობელიანტი ეკონომისტები. თბილისი.
23. ელიაძე თ. 2014. სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო სამართლებრივი რეგულაციები. თბილისი.
24. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ. 2009. ფინანსების თეორია. გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“. თბილისი.
25. ვანჭორნი ჯ.ს., ვაჟოვიჩი ჯ.მ. უმცროსი. 2008. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. მეთორმეტე გამოცემა. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი.
26. ვაშაკიძე ზ., კალანდაძე მ. 2008. საქართველოში მოქმედი გადასახადები. თბილისი.
27. ვაშაკიძე ზ., ჩხივაძე ლ., გიორგაძე ვ. 2000. საინვესტიციო პოლიტიკა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენცია. წიგნი 1. ეთგო. თბილისი.
28. ზაქარიაძე ი., შეყილაძე ზ. 2006. საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი საჯარო სექტორში. თბილისი.
29. თურმანიძე ა. 2006. ფინანსური ურთიერთობის აქტუალური საკითხები. გამომცემლობა „თბილისი“. თბილისი.
30. იმედაშვილი გ. 2010. საგადასახადო საქმე. თბილისი.

31. ინგოროვა ა., ცავა გ. 2010. ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები, პრაქტიკა.  
ტომი 1. გამომცემლობა „გრაალი“. თბილისი.
32. ინგოროვა ა., ცავა გ. 2011. ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები, პრაქტიკა.  
ტომი 2. გამომცემლობა „გრაალი“. თბილისი.
33. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. (2022). თანამედროვე საბანკო საქმე. თეორია და პრაქტიკა.  
თბილისი, თსუ.
34. კოპალეიშვილი თ., ჩიქვილაძე მ. 2011. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
35. კუპრავა თ. 2012. რისკების მართვა და განვითარებადი ბაზრები. თბილისი.
36. ლიპარტია ზ. და სხვა. 2013. კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგია. ტომი  
2. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
37. ლიპარტია ზ. 2015. საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის  
მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები. შრომები საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი, N 3. თბილისი.
38. მენქიუ გრ. 2010. ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი.
39. მესხია ი. 2006. სახელმწიფო ფინანსების კონტროლი. საქართველოს კონტროლის  
პალატა. თბილისი.
40. მესხია ი., ჭიოტაშვილი დ. 2012. საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი.  
თბილისი.
41. მიქელაშვილი მ. 2019. საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები  
საქართველოში. ჟურნალი ეკონომიკა, N 10-12. თბილისი.
42. მონტგომერი რ. 1999. აუდიტი. თბილისი.
43. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. 2016. ფინანსები. თბილისი.
44. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქსაძე ფ. 2009. საბანკო საქმე. თბილისი.
45. მურჯიკნელი მ., გრიგალაშვილი ლ. 2008. დებულება: ძირითადი საშუალებების,  
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და  
ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ. გადასახადები და  
აღრიცხვა: მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი. 1987-9156 ნოემბერი, N21. თბილისი.

46. ნამჩავაძე ბ. 2014. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. *Forbes Georgia*. თბილისი.
47. ნარმანია დ. 2010. საქართველოს საჯარო ფინანსების მდგომარეობა და ტენდენციები. ჟურნალი „ლიბერალი“. თბილისი.
48. ნარმანია დ. 2011. საბიუჯეტო პოლიტიკა საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები. ჟურნალი „ბანკები და ფინანსები“. თბილისი.
49. ოთინაშვილი რ., გერსამია ა. 2012. კორპორაციების დაბეგვრის თავისებურებები. სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, N 1. თბილისი.
50. ოქრუაშვილი ც 2006. კომერციული ბანკის მენეჯმენტი. თბილისი.
51. ოქრუაშვილი ც 2009. კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი. თბილისი.
52. ოქრუაშვილი ც 2009. საბანკო ზედამხედველობის სრულყოფისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N2. თბილისი.
53. ოქრუაშვილი ც 2014. საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6. თბილისი.
54. ოქრუაშვილი ც 2014. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N2. თბილისი.
55. როგავა ზ. 2002. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამარტალი. თბილისი.
56. როგავა ზ. 2011. საშემოსავლო გადასახადი. თავი I. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5 (17). თბილისი.
57. როუზენი ჰ. ს. 2006. საჯარო ფინანსები. თბილისი.
58. სილაგაძე ა. და სხვა. 2006. მიკროეკონომიქსი. თავი 13. გადასახადები და სახელმწიფო დანახარჯები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
59. სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი მ. 2008. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. „ინოვაცია“. თბილისი.

60. ტერაშვილი ნ. 2020. საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2020 წელს შეტანილი ცვლილებების კომენტარები. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო-ანალიტიკური ჟურნალი, N 20. თბილისი.
61. ტერმინთა განმარტება საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის. 2018. თბილისი.
62. ურიდია გ. 2017. საგადასახადო საქმე. თბილისი.
63. ქავთარაძე ნ. 2012. პროგრამული ბიუჯეტის არსი და მისი დანერგვის მნიშვნელობა საქართველოში. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. თბილისი.
64. ქისტაური ლ., ქისტაური შ. 2001. ფულის, ფინანსების, კრედიტის, პროცენტის თეორიები და ანტითეორიები. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი.
65. ქოქიაური ლ. 2014. ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი. ტომი 1. წიგნი 1. სტუ. თბილისი.
66. ქოქიაური ლ. 2014. ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი. ტომი 1. წიგნი 2. სტუ. თბილისი.
67. ღუდუშაური ქ. 2009. კომერციული ბანკის კომპლექსური მენეჯმენტის მოდელი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა. II. გვ: 180-185. თბილისი.
68. ღუდუშაური ქ. 2009. ბანკის ინვაციური მენეჯმენტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინოვაციების ცენტრის სამეცნიერო შრომების კრებული. მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო. გვ: 190-192. თბილისი.
69. ღუდუშაური ქ. 2012. კომერციული ბანკის აუდიტის სრულყოფის მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N 5. გვ: 183-190. თბილისი.
70. ღუდუშაური ქ. 2013. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის გზები. სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები. გვ: 35-39. გორი.
71. ღუდუშაური ქ. 2014. აუდიტის ჩამოყალიბება და ევოლუცია. ჟურნალი „ეკონომიკა“

და ბიზნესი”. N 4. გვ: 171-184. თბილისი.

72. ღუდუშაური ქ. 2014. საგადასახადო პოლიტიკა: თეორიული საფუძვლები და სრულყოფის მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”. N 6. გვ: 173-190. თბილისი.
73. ღუდუშაური ქ. 2014. ფასიანი ქაღალდების აუდიტის სრულყოფის საკითხები საქართველოში. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მეცნიერებული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“. გვ: 57-64. გორი.
74. ოქრუაშვილი ც., ღუდუშაური ქ. 2015. ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”. N 4. გვ: 167-180. თბილისი.
75. ღუდუშაური ქ. 2023. საბანკო სექტორის ფინანსური კონტროლი. ჟურნალი „ეკონომისტი”. N 1. გვ: 190-197. თბილისი.
76. ყამარაული ს. 2010. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი.
77. ყირიმლიშვილი ნ. 2005. ფინანსები. თბილისი.
78. შავიშვილი ი. 2007. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები. თბილისი.
79. ჩანტლაძე ვ. 1987. ფინანსების თეორიის საკითხები. რუსულიდან თარგმნეს ც. ოქრუაშვილმა და მ. ჭირაქაძემ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
80. ჩანტლაძე ვ. 1995. ფინანსური მეცნიერების საფუძვლები. გამომცემლობა „ისარი“. თბილისი.
81. ჩიკვილაძე მ. 1998. საგადასახადო სამსახური - რეალობა და პერსპექტივა. ჟურნალი საქართველოს რესპუბლიკა, N 113. თბილისი.
82. ჩიხლაძე ო. 2003. ფინანსური კონტროლის როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საქართველოს კონტროლის პალატა. ჟურნალი სახელმწიფო და კონტროლი, N3. თბილისი.
83. ცავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. 2006. ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი.
84. ცავა გ., ხანთაძე გ. 2014. საბანკო საქმე. თბილისი.

85. ცერცვაძე გ. 2010. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების კომენტარები. უურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები”, N7 (127). თბილისი.
86. ცერცვაძე, ა. 2018. ეკონომიკის ისტორია. სასწავლო კურსი. რიდერი. თბილისი.
87. ციგროშვილი თ., ყიფიანი ე. 2001. საწარმოთა ფინანსები. თბილისი.
88. ცირამუა ე. 2009. აუდიტი, თეორია, მეთოდიკა, ტექნიკა. თბილისი.
89. ძნელაძე ლ. 2013. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. ბათუმი.
90. ხომერიკი თ. 2006. მენეჯმენტი. თბილისი.
91. ხარიტონაშვილი ჯ. 2019. ეკონომიკური აზრის ისტორია. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
92. ხორგუაშვილი თ. 2009. ხაზინის როლი და ადგილი ფინანსურ სისტემაში. საერთაშორისო სამეცნიერო უურნალი ინტელექტუალი, N9. თბილისი.
93. ჯიბუტი ა. და სხვა. 2010. საჯარო ფინანსები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
94. Association of Practice Management Educators. 2004. Business Aspects of Optometry.
95. Babu S., Shailendra N. Gajanan., Arne Hallam J. 2016. Nutrition Economics.
96. Basar T., Pau L. F. 1984. Dynamic Modelling and Control of National Economics 1983.
97. Birchall A. 1991. Financial Analysis and Control, Financial Awareness for Students and Managers.
98. Bliss C.J., Intriligator M.D. 1989. Public Enterprise Economics.
99. Bolton W. 1995. Engineering and Commercial Functions in Business.
100. Bruce Hey R. 2017. Performance Management for the Oil, Gas, and Process Industries.
101. Bull R. J. 1968. Accounting in Business.
102. Bull R. 2007. Financial Ratios.
103. Burns P., Morris P. 1994. Business Finance. A Pictorial Guide for Managers.
104. Butterworth-Heinemann. 2013. An Introduction to the Mathematics of Finance.
105. Butterworth-Heinemann. 2002. Maximizing Profitability with Safety Culture Development.

106. Caprio G. 2012. Safeguarding Global Financial Stability.
107. Caprio G. 2012. Key Global Financial Markets, Institutions, and Infrastructure.
108. Chiswick B., Miller P. 2014. Economics of International Migration.
109. Chorafas D. 2007. Risk Accounting and Risk Management for Accountants.
110. Chorafas D. 2006. IFRS, Fair Value and Corporate Governance, The Impact on Budgets, Balance Sheets and Management Accounts.
111. Chorafas D. 2006. Strategic Business Planning for Accountants, Methods, Tools and Case Studies.
112. Chorafas D. 2004. Economic Capital Allocation with Basel II, Cost, Benefit and Implementation Procedures.
113. Clayton E. 1964. Agrarian Development in Peasant Economies.
114. Dillon M., Griffith C. 2001. Auditing in the Food Industry, From Safety and Quality to Environmental and Other Audits.
115. Dugdale D., Stephen L. 2010. Budgeting Practice and Organizational Structure.
116. Fraumeni B. 2019. Measuring Economic Growth and Productivity.
117. Friend J.K., Jessop W.N. 1977. Local Government and Strategic Choice.
118. Gorman M. M. 1991. Database Management Systems.
119. Hartley W. C. F. 1987. An Introduction to Business Accounting for Managers.
120. Hingley W. 1989. Accounting.
121. Holland N. 1987. The New Institutional Economics and Development.
122. Holland N. 1989. Taxation, Technology, and the User Cost of Capital.
123. Hoyle K., Whitehead G. 1979. Business Statistics and Accounting.
124. Humphrey C., Lee B. 2004. The Real Life Guide to Accounting Research, A Behind-the-Scenes View of Using Qualitative Research Methods.
125. James D.E., Jansen H.M.A., Opschoor J.B. 1978. Economic Approaches to Environmental Problems.
126. James D Gwartney., Stroup R. 1983. Macroeconomics.
127. Johnson Roy E. 2001. Shareholder Value - A Business Experience.

128. Karamjeet P. 2013. Managing Extreme Financial Risk, Strategies and Tactics for Going Concerns.
129. Kaufmann M. 2016. Successes and Failures of Knowledge Management.
130. Kelly A. 2006. Managing Maintenance Resources.
131. Kiran D.R. 2016. Total Quality Management, Key Concepts and Case Studies.
132. Kumar R. 2014. Strategies of Banks and Other Financial Institutions. Theories and Cases.
133. Loader D. 2002. Controls, Procedures and Risk.
134. Luis Eugenio Di Marco. 1972. International Economics and Development.
135. Makinen Gail E. 1981. Money, Banking, and Economic Activity.
136. McDonald M. 1998. Marketing Plans.
137. Melvin M., Norrbin S. 2017. International Money and Finance.
138. Nikolova M. 2020. Behavioral Economics for Tourism.
139. Nurdin G. 2008. International Business Control, Reporting and Corporate Governance, Global business best practice across cultures, countries and organizations.
140. Pierce David G., Tysome Peter J. 1985. Monetary Economics. Theories, Evidence and Policy.
141. Press A. 1977. Financial Decision Making Under Uncertainty.
142. Previts G., Robinson T. 2004. Research in Accounting Regulation.
143. Reckers P. 2005. Advances in Accounting.
144. Sandford C. T. 1984. Economics of Public Finance.
145. Schmidt R. 2013. Software Engineering.
146. Schwab K. 2018. The Global Competitiveness Report. World Economic Forum.
147. Sentlowitz M. 1986. Business Mathematics.
148. Shah M., Nair C. S. 2013. External Quality Audit, Has It Improved Quality Assurance in Universities?
149. Shogren J. 2013. Encyclopedia of Energy. Natural Resource, and Environmental Economics.

150. Smith J. 2007. *Handbook of Management Accounting*.
151. Staszkiewicz P., Staszkiewicz L. 2014. *Finance. A Quantitative Introduction*.
152. Stowell D. 2012. *Investment Banks, Hedge Funds, and Private Equity*.
153. Swan J. 2015. *Practical Financial Modelling, The Development and Audit of Cash Flow Models*.
154. Timothy Sale J. 2006. *Advances in International Accounting*.
155. Tresch R. 2002. *Public Finance. A Normative Theory*.
156. Trotman-Dickenson D.I. 1983. *Public Sector Economics*.
157. Turner C. 2009. *Corporate Governance*.
158. Turner C. 2004. *International Funds*.
159. Veseth M. 1984. *Introductory Macroeconomics*.
160. Vinturella J., Erickson S. 2002. *Raising Entrepreneurial Capital*.
161. Webb J. 2008. *Strategic Information Management*.
162. Welch B. 1998. *Electronic Banking and Treasury*.
163. Williams T. 2011. *An Introduction to Trading in the Financial Markets. Technology: Systems, Data, and Networks*.
164. Yanushevsky R., Yanushevsky C. 2018. *Applied Macroeconomics for Public Policy*.
165. Yescombe E. R. 2013. *Principles of Project Finance*.
166. Гранберг А. Г. 2001. *Основы региональной экономики*. Висшая школа экономики.
167. Добрынина А. И., Тарасевича Л. С. 1998. *Экономическая теория*. Под. ред. Изд. Питер Ком. Санкт-Петербург.
168. Дробозиной М. Л. А. 1997. *Финансы, Денежное обращение. Кредит*. Под. ред. Изд ЮНИТИ.
169. Романовского М. В., Врублевской О. В., Сабанти М. Г. М. 2001. *Финансы*. Под. Ред. Изд. Перспектива. Изд. Юрайт.
170. Кушнарёв Т. В. 2003. *Теория портфеля Гарри Марковица и модель оценки доходности финансовых активов*.

171. Пасеков П. Ю. 2002. Применение теорий Марковица к портфелю механических торговых систем.
172. Бусленко Н. П. Пер. с англ. (совм. Хауснером С. Б. и Карром Г.) 1965. Симскрипт. Алгоритмический язык для моделирования. Под ред. чл.-кор.
173. Манном А. С., Маршаком Т. А. и др. 1967. Отраслевые экономико-математические модели. Анализ производственных процессов.

**ოფიციალური მასალები:**

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. საბანკო ზედამხედველობის მიზითადი პრინციპები. თბილისი. 2006.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N69/04. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ. 2013 წლის 28 ივნისი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2020.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2021.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2022.
6. საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ. 2008 წლის 26 დეკემბერი.
7. საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. 2009 წლის 18 დეკემბერი.
8. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2010 წლის 17 სექტემბერი.
9. საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ. 2010 წლის 26 მარტი.
10. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. 2016 წლის 08 ივნისი.
11. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. 1996 წლის 23 თებერვალი.

12. საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 1999 წლის 23 ივლისი.
13. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 1994 წლის 28 ოქტომბერი.
14. საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ. 2001 წლის 08 ივნისი.
15. საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. 2004 წლის 11 თებერვალი.
16. საქართველოს კონსტიტუცია. 2010 წელი.
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება N133. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. 2017 წლის 21 მარტი.
18. საქართველოს მთავრობის დადგენილება N593. შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 2016 წლის 26 დეკემბერი.
19. საქართველოს მთავრობის განკარგულება N2250. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. 2018 წლის 26 ნოემბერი.
20. საქართველოს მთავრობის განკარგულება N284. პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე. 2010 წლის 10 მარტი.
21. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. 2009 წლის 24 სექტემბერი.
22. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N223. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე. 2016 წლის 14 სექტემბერი.
23. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N385. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე. 2011 წლის 8 ივლისი.
24. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N323. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N904 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ,

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.  
2013 წლის 27 სექტემბერი.

25. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში. 2021 წელი.
26. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში. 2022 წელი.
27. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში. 2023 წელი.
28. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა.
29. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა.
30. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა.
31. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 200 - დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
32. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 320 - არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს.
33. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 450 - აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება.
34. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 500 - აუდიტის მტკიცებულება.
35. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 550 - დაკავშირებული მხარეები.
36. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გამოწვევები საქართველოში: შეფასება და რეკომენდაციები. 2014. თბილისი.
37. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი 2014 წელი.
38. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი 2015 წელი.
39. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი 2016 წელი.
40. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი 2017 წელი.
41. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2018 წელი.
42. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი კონსოლიდაციის გარეშე 2019 წელი.

43. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2020 წელი.
44. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2021 წელი.
45. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი 2022 წელი.

ინტერნეტ წყაროები:

- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
- [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
- [www.sao.ge](http://www.sao.ge)
- [www.mof.ge](http://www.mof.ge)
- [www.treasury.ge](http://www.treasury.ge)
- [www.fas.ge](http://www.fas.ge)
- [www.rs.ge](http://www.rs.ge)
- [www.saras.gov.ge](http://www.saras.gov.ge)
- [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)
- [www.economy.ge](http://www.economy.ge)
- [www.nalogi.ru](http://www.nalogi.ru)
- [www.taxationinferews.ru](http://www.taxationinferews.ru)

## **დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:**

1. ღუდუშაური ქ. 2009. კომერციული ბანკის კომპლექსური მენეჯმენტის მოდელი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა, II. გვ: 180-185. თბილისი.
2. ღუდუშაური ქ. 2009. ბანკის ინოვაციური მენეჯმენტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ინოვაციების ცენტრის სამეცნიერო შრომების კრებული. მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო. გვ: 190-192. თბილისი.
3. ღუდუშაური ქ. 2012. კომერციული ბანკის აუდიტის სრულყოფის მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, N 5. გვ: 183-190. თბილისი.
4. ღუდუშაური ქ. 2013. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის გზები. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის, მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები. გვ: 35-39. გორი.
5. ღუდუშაური ქ. 2014. აუდიტის ჩამოყალიბება და ევოლუცია. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, N 4. გვ: 171-184. თბილისი.
6. ღუდუშაური ქ. 2014. საგადასახადო პოლიტიკა: თეორიული საფუძვლები და სრულყოფის მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, N 6. გვ: 173-190. თბილისი.
7. ღუდუშაური ქ. 2014. ფასიანი ქაღალდების აუდიტის სრულყოფის საკითხები საქართველოში. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის, მეხუთე საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“. გვ: 57-64. გორი.

8. ოქრუაშვილი ც., ღუდუშაური ქ. 2015. ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N 4. გვ: 167-180. თბილისი.
9. ღუდუშაური ქ. 2023. საბანკო სექტორის ფინანსური კონტროლი. ჟურნალი „ეკონომისტი“. N 1. გვ: 190-197. თბილისი.
10. ღუდუშაური ქ. 2023. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ჟურნალი „ეკონომისტი“. N 3. თბილისი.
11. Gudushauri K. 2023. Tax Financial Control in Georgia. The “Economics & Law” journal. Volume: 5, Issue: 2.

**დანართი N 1 - კითხვარი საქართველოს სამინისტროების შიდა აუდიტის  
სუბიექტებისთვის**

1. რომელ წელს შეიქმნა შიდა აუდიტის დეპარტამენტი სამინისტროში და მანამდე იყო თუ არა სხვა სტრუქტურული ერთეული, მაგალითად: სამმართველო, სამსახური ან სხვა ერთეული, რომელიც ასრულებდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის ფუნქციებს?

**პასუხი** -----

-----

-----

2. რამდენი ადამიანია დასაქმებული სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში?

**პასუხი** -----

-----

-----

3. 2020 წლის მანძილზე რამდენი აუდიტი ჩატარდა (ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა), სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ?

**პასუხი** -----

-----

-----

4. 2021 წლის მანძილზე რამდენი აუდიტი ჩატარდა (ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა), სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ?

პასუხი -----  
-----  
-----

5. 2022 წლის მანძილზე რამდენი აუდიტი ჩატარდა (ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა), სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ?

პასუხი -----  
-----  
-----

6. რომელი სახის შიდა აუდიტორული შემოწმებები ტარდება სამინისტროს, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ?

- 1) სისტემური აუდიტი
- 2) შესაბამისობის აუდიტი
- 3) ეფექტიანობის აუდიტი
- 4) ფინანსური აუდიტი
- 5) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი

პასუხი -----  
-----  
-----

7. რა პროცენტული წილი უჭირავს თითოეული სახის აუდიტორულ შემოწმებას (სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი) სამინისტროს

შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2021 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს შორის?

**პასუხი** -----

-----

-----

8. რა პროცენტული წილი უჭირავს თითოეული სახის აუდიტორულ შემოწმებას (სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი) სამინისტროს, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2022 წელს ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებს შორის?

**პასუხი** -----

-----

-----

9. რა პრობლემებს აწყდებიან, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები, აუდიტის განხორციელების პროცესში, რაც მათ ხელს უშლის შემოწმების ხარისხიანად და სრულყოფილად ჩატარებაში?

**პასუხი** -----

-----

-----

10. რის შეცვლას ისურვებდით, სამინისტროში, რათა მომავალში უფრო მეტად ხარისხიანად და ეფექტურად ჩატარდეს შიდა აუდიტორული შემოწმებები?

**პასუხი** -----

-----

-----

